

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი  
ლექსიკოგრაფია

ანტონინა კაპანაძე

განმარტებითი, ორენოვანი და კომბინირებული ტიპის ლექსიკონების  
ეფექტიანობის კვლევა ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელებში

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი,  
პროფესორი თინათინ მარგალიტაძე

თბილისი

2016

შინაარსი

შესავალი .....	5
I თავი. ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევა-თანამედროვე თეორიული ლექსიკოგრაფიის ახალი მიმართულება (ლიტერატურის მიმოხილვა)	
1.1 შესავალი.....	13
1.2 თეორიული ლექსიკოგრაფია და მისი კომპონენტები.....	15
1.3 ლექსიკონების ტიპები.....	21
1.4 კორპუსის ლინგვისტიკა.....	27
1.5 ლექსიკონის მომხმარებლების კვლევები.....	35
1.5.1 მეთოდები.....	35
1.5.2 კვლევა ინფორმაციის მოძიების საჭიროებაზე ანუ რას ეძებს მომხმარებელი.....	37
1.5.3 ლექსიკონის გამოყენების სიხშირე.....	37
1.5.4 კვლევების ძირითადი მიმართულებები.....	38
1.5.4.1 ლექსიკონები სიტყვების მნიშვნელობისთვის და მართლწერისთვის.....	41
1.5.4.2 კვლევები ლექსიკონების გამოყენების პროცესზე (მოძიების პროცესი).....	41
1.5.4.3 სხვა კვლევები.....	44
1.5.4.4 კვლევები ლექსიკონის ტიპების ეფექტურობაზე.....	45
1.6 ლექსიკონის მნიშვნელობა კითხვის პროცესში.....	47
1.7 კვლევა ლექსიკონის გამოყენების სტრატეგიების შესახებ.....	52
1.8 ლექსიკოგრაფების პარადოქსი.....	57
1.8.1 დასკვნები: რამდენად ეფექტურია ლექსიკონი?!.....	58
II თავი. ლექსიკონების როლი თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში (კვლევის შედეგები)	
2.1 შესავალი.....	61
2.2 კითხვარი.....	62

2.3 კვლევა.....	65
2.3.1 ლექსიკონების ტიპები.....	67
2.3.2 სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში ინფორმაციის წარმოდგენის ხარისხი.....	68
III თავი. განმარტებითი, ორენოვანი და კომბინირებული ლექსიკონების ეფექტიანობის განსაზღვრა ინგლისური ენის ქართველი შემსწავლელებისათვის (ექსპერიმენტის დაგეგმვა)	
3.1 შესავალი.....	70
3.2 ლაუფერისა და ჰადარის ექსპერიმენტი.....	72
3.2.1 ტესტის შერჩევა.....	73
3.2.2 ექსპერიმენტის მსვლელობის წესები.....	74
3.2.3 შედეგები.....	75
3.2.4 დასკვნა.....	78
3.3 იუჟენ ჩენის მიერ ჩინეთში ჩატარებული ექსპერიმენტი.....	80
3.3.1 კვლევის საგანი.....	81
3.3.2 ცდისპირები.....	81
3.3.3 მეთოდოლოგია.....	82
3.3.4 შემოწმების პროცედურა.....	83
3.3.5 შედეგები.....	84
3.4. ჩვენი ექსპერიმენტის დაგეგმვა.....	85
3.4.1 კვლევის საგანი.....	85
3.4.2 ცდისპირები.....	86
3.4.3 მეთოდოლოგია.....	87
3.4.4 ტესტის შერჩევა.....	88

3.4.5 შემოწმების პროცედურა.....	105	
3.4.6 შედეგები.....	105	
IV თავი. განმარტებითი, ორენოვანი და კომბინირებული ლექსიკონების ეფექტიანობის განსაზღვრა ინგლისური ენის ქართველი შემსწავლელებისათვის (ექსპერიმენტის შედეგები)		
4.1 კვლევის მიზანი.....	107	
4.2 ცდისპირები.....	108	
4.2.1 ენის ცოდნის განმსაზღვრელი ტესტი.....	108	
4.3 მეთოდოლოგია.....	121	
4.4 ექსპერიმენტის მიმდინარეობა.....	122	
4.5 შეფასების პროცედურა.....	123	
4.6 შედეგები.....	142	
4.7 შედეგების ანალიზი.....	146	
4.8 დასკვნა.....	148	
V თავი. ორენოვანი ლექსიკონებისა და თარგმანის მნიშვნელობა უცხო ენების სწავლებისათვის (ინგლისური ენის მაგალითზე).....		150
დასკვნა და რეკომენდაციები.....	157	
დანართები.....	160	
ბიბლიოგრაფია.....	178	

## შესავალი

ლექსიკოგრაფია ისეთივე დიდი ხნისაა, როგორც თავად კაცობრიობა. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის 2340 წელს აქადელებმა შეადგინეს აქადურ-შუმერული ლექსიკონი, რომელსაც ენათმეცნიერები პროტო-ლექსიკონს უწოდებენ. საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა ლექსიკონების შექმნის ტექნიკა, იქმნებოდა სხვადასხვა ტიპის ლექსიკონები: ორენოვანი, განმარტებითი, სასწავლო, დარგობრივი, სინონიმებისა და ანტონიმების, ფრაზეოლოგიური ერთეულების, ფრაზული ზმნების ლექსიკონები და ა.შ. ასევე იხვეწებოდა სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებში მასალის წარმოდგენისა და დალაგების პრინციპები, სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციების დართვის პრინციპები და სხვა. თანამედროვე ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი ფილოლოგიისა და კულტურის სინთეზია. ენა გადამწყვეტ როლს ასრულებს ამა თუ იმ ხალხის იდენტობისა და კულტურის განსაზღვრაში. მისი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ეროვნული თვითმყოფადობის ჩამოყალიბება და შენარჩუნებაა. ლექსიკონი უმთავრესი ინსტრუმენტია ამ იდენტობის შესაცნობად და წარმოსაჩენად. ნებისმიერი ერის კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი მისი ენის წყალობით რეალიზდება, ენა კი მთელი თავისი სისავსითა და სიმდიდრით ლექსიკონებშია დაუნჯებული. ლექსიკონის, როგორც ერის კულტურული სახის გამომხატველი ნაშრომის განსაკუთრებული როლის აღიარებამ, ლექსიკონთა კორპუსების კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობის გაცნობიერებამ განაპირობა ლექსიკოგრაფიული აქტივობის უპრეცედენტო აღმავლობა მე-20 საუკუნეში. შეიქმნა მრავალი ლექსიკოგრაფიული ცენტრი, გაფართოვდა თეორიული და კვლევითი მუშაობა ლექსიკოგრაფიის დარგში, გაიზარდა გამოშვებული ლექსიკონების ტიპები (მარგალიტაძე 2008).

ლექსიკოგრაფიისადმი ისეთი დიდი ინტერესი, როგორც თანამედროვე ეპოქაშია, ძველად არ ყოფილა. როდესაც 1960 წელს იუნესკო (UNESCO) დაინტერესდა, თუ რა მდგომარეობა იყო ლექსიკოგრაფიის სფეროში მსოფლიოს

მასშტაბით, აღმოჩნდა, რომ იმ პერიოდისათვის არ მოიპოვებოდა თეორიული კვლევები ლექსიკოგრაფიის დარგში, მეცნიერები ნაკლებად შეისწავლიდნენ საკითხებს, რომლებიც ლექსიკონების შექმნას ან მათ გამოყენებას უკავშირდებოდა. იუნესკოს ლექსიკოგრაფიული კვლევებით დაინტერესებამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა დარგის სწრაფ განვითარებას და თეორიული ხასიათის კვლევების მოზღვაებას, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა თანამედროვე თეორიული ლექსიკოგრაფიის დონე.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ქვემადას (Quemada), ჩემპანის (Chapman), მიგლიორინის (Migliorini), ჰულბერტის (Hulbert), გარვინისა (Garvin) და სხვათა შრომებმა თეორიულ და პრაქტიკულ ლექსიკოგრაფიაში, კიდევ ერთხელ ცხადყო გაზრდილი ინტერესი ლექსიკოგრაფიის დარგისადმი, რომელმაც ფართო ასპარეზზე გამოსვლისა და აკადემიური ლექსიკონების შექმნის საჭიროება მოიტანა.

უდავოა, რომ ლექსიკოგრაფია ურთულესი დარგია. ამის შესახებ ბევრმა ლექსიკოგრაფმა გამოთქვა საკუთარი აზრი. ყველაზე ცნობილ გამონათქვამად შეიძლება სკალიგერის (Scaliger) ხუმრობა გავიხსენოთ, რომელმაც კრიმინალის დასჯის ორიგინალური მეთოდი შემოგვთავაზა. ეს ითვალისწინებდა არა თავის მოკვეთას, ან შრომა-გასწორების კოლონიას, არამედ ლექსიკონის შედგენას, რადგან მას ეს პროცესი ტანჯვა-წამების ტოლფასად მიაჩნდა.

ჩვენი ეპოქის მეცნიერი გლისონი (Gleason) ამბობს: „ლექსიკონის შექმნის პროცესი მოსაწყენი, დამღლელი და უზომოდ შრომატევადია.“

რა არის ამ სირთულეების მიზეზები?!

1. ლექსიკონზე მუშაობის სირთულე, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ ლექსიკოგრაფმა უნდა იცოდეს არა მხოლოდ ლექსიკური სემანტიკის თეორიები, არამედ გრამატიკა, სტილისტიკა და ა.შ. ლექსიკონში ყველანაირი ლინგვისტური თუ არალინგვისტური ინფორმაციაა, რომელიც ენის ფუნქციონირებას განაპირობებს. ლექსიკოგრაფია დღეს არის

ერთ-ერთი დინამიკურად განვითარებადი ინტერდისციპლინური დარგი, რომელიც მოიცავს როგორც ლინგვისტურ თეორიებს, ისე ბუნებრივი ენის დამუშავებისა და კორპუსული ლინგვისტიკის მეთოდებსა და თეორიებს.

2. მართალია, ლექსიკოგრაფი ქმნის სამეცნიერო ნაშრომს, მაგრამ მისი შრომის შედეგი უფრო პრაქტიკულ სახეს იღებს იმდენად, რამდენადაც მისი შემოქმედების ნაყოფს გამოიყენებენ როგორც აკადემიური წრეების წარმომადგენელი, ასევე გაუთვითცნობიერებელი მომხმარებელიც. ყველაზე აკადემიური ლექსიკონიც კი დაწერილია საზოგადოებისათვის, რომლისთვისაც მოძიებული ინფორმაციაა მთავარი. ჩვეულებრივი მომხმარებელი ლექსიკონს მთლიანად არ გადაიკითხავს, იგი მხოლოდ კონკრეტულ სიტყვებს მიმართავს. მაშასადამე, მნიშვნელობისა და ეფექტური ლექსიკოგრაფიის საფუძველი, რა თქმა უნდა, კარგი თეორიაა, მაგრამ ლექსიკონი იქმნება მომხმარებლისათვის, რომელსაც ლექსიკოგრაფიის თეორია და მასთან დაკავშირებული პრობლემები ნაკლებად აინტერესებს. ამიტომ თითოეული სალექსიკონო სიტყვა-სტატია უნდა იყოს დამოუკიდებელი და ლექსიკოგრაფმა უნდა გაითვალისწინოს როგორც ლექსიკოგრაფიის თეორიული, ასევე პრაქტიკული ასპექტები, რაც, რასაკვირველია, დამატებით სირთულეს უქმნის მას. რაც შეეხება მეთოდებს, მათ განხილვებს და აღწერებს იშვიათად თუ შევხვდებით. პრაქტიკაში თითოეული ლექსიკონის შექმნა ხშირად საკუთარ შეცდომებზეა აგებული. ლექსიკოგრაფიული ანალიზისა და წარმოდგენის პრობლემები თითქმის ყველა ენაში ზოგადია. მიუხედავად ლექსიკოგრაფიული პრინციპებისა, თითოეული ენა თავისი სპეციფიკით განისაზღვრება, თითოეულ ლექსიკოგრაფიულ პროექტს უამრავი მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება გააჩნია, განპირობებული მისი მიზნის, კულტურული ფონისა და ტრადიციის, პოტენციური მომხმარებლის, ავტორების შესაძლებლობებისა და უპირატესობის გათვალისწინებით.

ლექსიკოგრაფის შრომა უაღრესად შემოქმედებითია, რადგან ლექსიკოგრაფი ცდილობს შემოგვთავაზოს გადაუჭრელი პრობლემების ახლებური ხედვა.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან თეორიული ლექსიკოგრაფიის ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა: ლექსიკოგრაფიის ზოგადი თეორია, ენობრივი მონაცემების კომპიუტერული დამუშავება, ლექსიკოგრაფიის ჟანრები, ლექსიკოგრაფიის ისტორია, ლექსიკონების რეცენზირება / კრიტიკული განხილვა და სხვა, ევროპის ქვეყნებში დაემატა ახალი მიმართულება, კერძოდ, ლექსიკონის მომხმარებლებისა და ლექსიკონის გამოყენების მეცნიერული კვლევა (რომელიც მოიცავს ლექსიკონების გამოყენების სწავლების საკითხებსაც).

მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ ეს ემპირიული კვლევები გამოიწვევდა რევოლუციას ლექსიკოგრაფიაში, რაც ერთი მხრივ გამოავლენდა ლექსიკონის მომხმარებლის უფრო ზუსტ რაოდენობას, ხოლო მეორე მხრივ აღწერილი პროცესი საფუძვლად ჩაეყრებოდა სალექსიკონო სიტყვა-სტატიებზე მუშაობას მომხმარებლის მოთხოვნების გათვალისწინებით და ლექსიკონის გამოყენების საკონსულტაციო კურსების შექმნას. ასეთი კვლევების მიზანი, ამავდროულად, იყო ლექსიკონების მისადაგება სხვადასხვა სოციალურ კლასთან, ასაკობრივ ჯგუფთან და სხვა. მართლაც, ლექსიკონის მომხმარებლებზე ორიენტაცია, მათი საჭიროებებისა და ლექსიკონების გამოყენების უნარ-ჩვევების ანალიზი გადაიქცა უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად ლექსიკონების დაგეგმვის, ლექსიკონების სამეცნიერო აპარატის შემუშავებისა და შედგენის პროცესში. ბოლო წლებში განსაკუთრებით ბევრი თეორიული ექსპერიმენტი შემუშავდა და ჩატარდა ლექსიკონების ეფექტიანობის გამოსავლენად. საქართველოში კი ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი ლექსიკონის ქართველი მომხმარებლების კვლევის ერთ-ერთი პირველი მცდელობაა.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია ექსპერიმენტის გზით სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების ეფექტიანობის დადგენა ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელებში.

უცხო ენების სწავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, მით უფრო თანამედროვე



გლობალიზაციის ეპოქაში. დღეს, როგორც არასდროს, ქართულ სახელმწიფოს სჭირდება უცხო ენების მცოდნე სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მათი აღზრდა კი წარმოუდგენელია ვრცელი აკადემიური ორენოვანი ლექსიკონებისა და უცხო ენების სწავლების სწორად შერჩეული მეთოდების გარეშე. ორენოვანი ლექსიკონები და უცხო ენების სწავლების მეთოდოლოგია მნიშვნელოვნად გადაეჯაჭვა ერთმანეთს, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.

კლასიკური ენების სწავლებისას უმთავრესი მეთოდი, როგორც ინგლისში, ასევე ევროპის სხვა ქვეყნებშიც, გახლდათ გრამატიკულ-მთარგმნელობითი. გასული საუკუნის 20 - 30-იანი წლებიდან, როდესაც ინგლისური ენის, როგორც უცხო ენის, სწავლება აქტუალური გახდა, სწავლების მეთოდოლოგია და სასწავლო სახელმძღვანელოებიც, დიდწილად, სწორედ ზემოხსენებულ ტრადიციულ მეთოდს დაეფუძნა და როგორც პედაგოგებმა, ისე ენათმეცნიერებმა და განმანათლებლებმა სწორედ მას მიმართეს. მოგვიანებით წარმოიშვა უცხო ენის სწავლების ალტერნატიული მეთოდები, რომელთაც მეტად დააკნინეს თარგმანის როლი, უცხო ენის სწავლებისას ნაკლებად გამოიყენებოდა მშობლიური ენა, რამაც ბუნებრივად მიგვიყვანა ორენოვანი / თარგმნითი ლექსიკონების გამოყენების უარყოფამდე, ხოლო ძირითადი აქცენტი განმარტებითი, ანუ მონოლინგვური ლექსიკონების გამოყენებაზე გადავიდა. ეს პრაქტიკა გავრცელდა საქართველოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებშიც.

მოგვიანებით, დასავლეთი კვლავ დაუბრუნდა წარსულში აპრობირებულ მთარგმნელობით მეთოდს, თუმცა იგი მოდიფიცირდა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. უცხოელი მეცნიერები, ამ საკითხების გამოკვლევის მიზნით, უფრო შორს წავიდნენ და დაიწყეს, უცხო ენების სწავლებისას, სხვადასხვა მეთოდოლოგიის ეფექტიანობის ემპირიული კვლევები. აღნიშნული კვლევების დიდი ნაწილი, სწორედ ლექსიკონების გამოყენების ეფექტიანობას უკავშირდება, რადგან უცხო ენების სწავლებისას ყველაზე დიდი მნიშვნელობა სწორედ ლექსიკონებს ენიჭება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი ლექსიკონების ეფექტიანობის კვლევის ერთ-ერთი

პირველი მცდელობაა ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელელებში, რაც განსაზღვრავს ნაშრომის აქტუალობასა და სიახლეს.

**სადოქტორო ნაშრომის კვლევის მიზანი იყო:** 1) გამოგვევლინა, ზოგადად, სხვადასხვა ლექსიკონების გამოყენების სტრატეგია საქართველოში; 2) უშუალოდ უცხო ენების სწავლებისას განგვესაზღვრა იმ ლექსიკონის ტიპი, რომელიც ლექსიკის ათვისებისას ყველაზე ეფექტიანია ქართველი მკითხველისათვის.

სადისერტაციო თემა მოიცავს რამოდენიმე ეტაპს, მათ შორის როგორც კვლევების ჩატარებას, ასევე სპეციალური მასალის მომზადებას. კვლევის პირველ ეტაპზე ქ. თბილისში ჩატარდა გამოკითხვა ლექსიკონის გამოყენების სტრატეგიაზე, სპეციალურად მომზადებული კითხვარით. კვლევის მეორე ეტაპზე კი მომზადდა და ჩატარდა ექსპერიმენტი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის მიზანი იყო იმის გამოკვლევა, (1) თუ სამი ტიპის ლექსიკონიდან - ერთენოვანი ანუ განმარტებითი ლექსიკონი, ორენოვანი / თარგმნითი ანუ ინგლისურ-ქართული, და კომბინირებული ანუ განმარტებით-თარგმნითი, რომელშიც ინგლისური სიტყვა ახსნილია როგორც ინგლისურენოვანი განმარტებით, ისე ეკვივალენტით ქართულ ენაზე - რომელია ყველაზე ეფექტიანი ქართველი მომხმარებლისათვის და (2) რამდენად შედეგიანია თითოეული ლექსიკონი, ერთი მხრივ, უცხო სიტყვების სწორად გაგებისათვის (comprehension), ხოლო მეორე მხრივ, მათი დამახსოვრებისა და სწორად / სწორ კონტექსტში გამოყენებისათვის (production), და ბოლოს, (3) უნდა ისწავლებოდეს თუ არა ლექსიკონების გამოყენება.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საბოლოო მიზანი იყო სათანადო თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება უცხო ენების, კერძოდ კი ინგლისური ენის სწავლების საკითხებთან დაკავშირებით, აგრეთვე ლექსიკონების ეფექტიანობის განსაზღვრა ლექსიკოგრაფიული ინტერესებიდან გამომდინარე.

იმედი გვაქვს, ჩვენი კვლევა წახალისებს საქართველოში თეორიული ლექსიკოგრაფიის ახალი მიმართულების - ლექსიკონების მომხმარებლებისა და ლექსიკონის მოხმარების მეცნიერული კვლევის - განვითარებას, ხოლო კვლევის შედეგები გათვალისწინებულ იქნება როგორც უცხო ენების სწავლებისას, ასევე ლექსიკონების დაგეგმვის ყველა ეტაპზე.

წინამდებარე დისერტაციის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევის მიმართულებით შექმნილი თეორიული ნაშრომები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ლექსიკოგრაფიის ამ მნიშვნელოვანი მიმართულების განვითარების საქმეში (Miller&Gildea 1987; Summer 1988; Nesi 1996; Harvey and Yuill 1997; Bogaards&Van Der Kloot 2001).

უშუალოდ ჩვენს ექსპერიმენტს სათავედ დაედო ლაუფერისა და ჰადარის მიერ შემუშავებული ექსპერიმენტი (Laufer & Hadar 1997), რომელიც მათ 1997 წელს ჩაატარეს ისრაელში და იმავე ექსპერიმენტის მოდიფიცირებული ვერსია, რომელიც 2011 წელს იუჟენ ჩენმა ჩაატარა ჩინეთში (Yuzhen Chen 2007). აღნიშნული ორი ექსპერიმენტის საფუძველზე შევიმუშავეთ კვლევის ჩვენეული ვერსია, რომელიც 2014 წლის ოქტომბერში ჩავატარეთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის საბოლოო ანალიზისა და შედეგების დათვლისას გამოვიყენეთ ექსელისა (**Microsoft Excel**)<sup>1</sup> და **SPSS**-ის (statistical package for social sciences)<sup>2</sup> პროგრამები, რომლებიც დაგვეხმარა მონაცემთა ბაზების ფორმირებისა და დამუშავებისათვის, აგრეთვე მონაცემთა სიხშირული ანალიზისა და სხვადასხვა სახის გრაფიკული ჩანაწერების წარმოდგენისათვის.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავისა და დასკვნისაგან. **შესავალში** განხილულია ნაშრომის ძირითადი საკვლევო თემა, მიზნები, ნაშრომის სიახლე და აქტუალურობა; **I თავი - ლექსიკონის**

---

<sup>1</sup> ელექტრონულ ცხრილების დამუშავების კომპიუტერული პროგრამა

<sup>2</sup> სტატისტიკური კომპიუტერული პაკეტი სოციალური მეცნიერებებისათვის

მომხმარებლების კვლევა - ეთმობა მნიშვნელოვანი თეორიული ნაშრომების მიმოხილვას თეორიული ლექსიკოგრაფიის ამ ახალ სფეროში; II თავში - ლექსიკონების როლი თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში (კვლევის შედეგები) - წარმოდგენილია ქ. თბილისში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა ლექსიკონების გამოყენების სტრატეგიის გამოვლენა საქართველოში; III და IV თავები - განმარტებითი, ორენოვანი და კომბინირებული ლექსიკონების ეფექტიანობის განსაზღვრა ინგლისური ენის ქართველი შემსწავლელებისათვის - ეთმობა უნივერსიტეტში ჩატარებულ ექსპერიმენტს. მე-3 თავში მოცემულია ექსპერიმენტის დეტალური დაგეგმვა, მეოთხე თავში კი გაანალიზებულია კვლევის შედეგები; V თავში - ორენოვანი ლექსიკონებისა და თარგმანის მნიშვნელობა უცხო ენების სწავლებისათვის - შეჯამებულია კვლევის შედეგები და მოცემულია რეკომენდაციები საქართველოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში უცხო ენების სწავლების გაუმჯობესებისათვის. ნაშრომს დართული აქვს საერთო დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და დანართები. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერულად ნაბეჭდი ტექსტის 186 გვერდს.

## I თავი

### ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევა - თანამედროვე თეორიული ლექსიკოგრაფიის ახალი მიმართულება

(ლიტერატურის მიმოხილვა)

#### 1.1 შესავალი

ლექსიკონით დაინტერესება უხსოვარი დროიდან იწყება, მას შემდეგ, რაც ადამიანს გაუჩნდა სურვილი სხვა მოდგმის ხალხებთან კომუნიკაციისა და დაინტერესდა მათი კულტურით.

ლექსიკონებით დაინტერესება განსაკუთრებით აქტუალური გახდა ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში. დღეს უცხო ენის შესწავლას, კერძოდ, ინგლისური ენისას, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა, რაც გამოწვეული უნდა იყოს გლობალიზაციის პროცესით. ინგლისურს აქვს ლინგვა ფრანკას ფუნქცია დღევანდელი მსოფლიოსათვის, რადგან აკადემიური ლექსიკონების დახმარებით შესაძლებელი ხდება საფუძვლიანი განათლების მიღება.

ლექსიკოგრაფია ბერძნული სიტყვაა (lexikos – სიტყვისა, სიტყვასთან დაკავშირებული და - grapho – ვწერ) და აღნიშნავს ენათმეცნიერების დარგს, რომელიც ქმნის ლექსიკონებს და ამუშავებს მათ შედგენასთან დაკავშირებულ მრავალ მეცნიერულ პრობლემასა თუ საკითხს. ლექსიკოგრაფია აღრიცხავს ლექსიკონების ტიპებს (განმარტებითი, თარგმნითი, დარგობრივი და სხვა), ავლენს მათ მსგავსება-განსხვავებებს, აყალიბებს მათი შედგენის მეცნიერულ პრინციპებს, მაგალითად: სიტყვანის მოცულობის დადგენა, ლექსიკონში სიტყვათა განლაგება (ბუდობრივი ან ანბანური), სიტყვა-სტატიის აგების პრინციპები, სიტყვის სემანტიკური დახასიათება და მრავალი სხვა.

ლექსიკონი მეტად კომპლექსური ნაშრომია, რომელშიც თავმოყრილია ამა თუ იმ ენის სიტყვები და მათი მნიშვნელობები. სიტყვის მნიშვნელობა, როგორც

ვიციტ, სამყაროს შემეცნების პროცესთან არის დაკავშირებული და მისი სირთულე და მრავალწახნაგოვანება თვით შემეცნების პროცესის სირთულით არის განპირობებული. სამყაროს შემეცნება არ არის მექანიკური პროცესი. სიტყვების მნიშვნელობებში ფიქსირდება არა სამყაროს სარკისებური ასახვის შედეგი, არამედ ამა თუ იმ ენის მატარებლების კოლექტიური წარმოდგენები საგნებზე, მოვლენებსა თუ მიმართებებზე. სამყაროს ხედვის ლინგვისტური სურათები განსხვავდება სხვადასხვა ენაში. სიტყვის მნიშვნელობებში ყველაზე ნათლად ჩანს იმ მიმართებათა ნაირსახეობა და სირთულე, რაც არსებობს ადამიანს, გარემომცველ სამყაროსა და ენას შორის. სამყაროს აღქმის უნიკალური, მხოლოდ მოცემული ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელი სურათი ილექება კონკრეტული ენის სიტყვების მნიშვნელობებში და დოკუმენტირებულია ამ ენის ლექსიკონებში. ენისა და მნიშვნელობის ფენომენის სირთულე, მისი მჭიდრო კავშირი ადამიანის ცნობიერებასთან და სამყაროს შემეცნებასთან, განსაზღვრავს, ზოგადად ლექსიკოგრაფიისა და კერძოდ - ლექსიკონის სირთულეს (თ. მარგალიტაძე 2008).

ლექსიკონის მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში ყოველდღიურად იზრდება, მსჯელობენ მის სარგებლიანობასა და ხელმისაწვდომობაზე. ყველა სხვადასხვა კუთხით აფასებს ამ ერთობ მნიშვნელოვან ფენომენს: ლექსიკოგრაფები ცდილობენ გამართლება მოუძებნონ სისუსტეებს, რადგან მათ იციან, რარიგ რთული და შრომატევადია მისი შექმნა. ლინგვისტები ეძებენ სხვადასხვა ნაკლს მის გასაკრიტიკებლად. დადებითად განწყობილი მხოლოდ მომხმარებელია, რომელიც მზადაა გულმოდგინედ მიიღოს ყოველივე, რასაც შესთავაზებენ, იმ ფაქტის მიუხედავად, რამდენად გამოსადეგია ესა თუ ის ლექსიკონი მისი მიზნებისთვის.

XVI – XVII საუკუნიდან მოყოლებული ლექსიკონს მრავალმხრივად გამოიყენებენ. მისი მომხმარებლები იყვნენ უცხოელი მოგზაურები, ახალგაზრდები და მოხუცები, რომელთაც განათლებასთან ხელი არ

მიუწვდებოდათ. აღსანიშნავია, რომ ამ დროს არც ლექსიკონი იყო ზუსტი და ინფორმაციული და არც საზოგადოება იყო მზად მისი მოხმარებისთვის.

დღესდღეობით ლექსიკონს - ცოდნის საგანძურს - მრავალფეროვანი საზოგადოება მრავალმხრივი მიზნებისთვის გამოიყენებს. მომხმარებელი მზად უნდა იყოს ლექსიკონების მოხმარებისათვის. მან უნდა იცოდეს, თუ რა ტიპის ლექსიკონთან აქვს შეხება და რას მიიღებს მისგან. იგი უნდა შეიმეცნებდეს სამყაროს, რათა ჩასწვდეს სალექსიკონო დეფინიციებს. სხვა შემთხვევაში, ისინი აწყდებიან უამრავ სირთულეს: ვერ პოულობენ სიტყვას, ვერ გეზულობენ განმარტებას და ვერ ახერხებენ ცნების ინტერპრეტაციას. ლექსიკონის მომხმარებლები უნდა დახელოვნდნენ მათ გამოყენებაში. გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს მკვლევრების ყურადღების ცენტრში მოექცა ლექსიკონის მომხმარებლებისა და ლექსიკონის გამოყენების მეცნიერული შესწავლა. ამ მიმართულებით ძალიან ბევრი კვლევა ჩატარდა.

ნაშრომში შევხებით ყველაზე მნიშვნელოვან კვლევებს და შევეცდებით გიჩვენოთ, თუ რა წვლილი შეიტანეს ლინგვისტებმა და ლექსიკოგრაფებმა ლექსიკონების შექმნასა და განვითარებაში. აღსანიშნავია ცალკეულ მეცნიერთა დვაწლი ამ ფრიად საყურადღებო საქმეში.

### 1.2 თეორიული ლექსიკოგრაფია და მისი კომპონენტები

ქართულ აკადემიურ წრეებში ლექსიკოგრაფიის სტატუსის განსაზღვრა მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ვთვლი რომ ლექსიკოგრაფიის, როგორც დარგის, მეცნიერებად არმიჩნევა სერიოზულ პრობლემას უქმნის დარგის მომავალს საქართველოში. ბათუმის პირველ საერთაშორისო ლექსიკოგრაფიის სიმპოზიუმზე ქართველმა ლექსიკოგრაფებმა გააკეთეს მიმართვა საქართველოს მთავრობისა და აკადემიური საზოგადოებისადმი, რომელშიც ლექსიკოგრაფიის სტატუსთან დაკავშირებული პრობლემა ასე ჩამოყალიბდა: „ლექსიკოგრაფიის შრომის შედეგი არსებითად არ არის

მიკუთვნებული სამეცნიერო კატეგორიას საზოგადოდ და, კერძოდ კი, დღევანდელი კონკურსებისა და სარეიტინგო შეფასებების დროს, მაშინ როდესაც სალექსიკონო სიტყვა-სტატია ხშირად უფრო ფართო სამეცნიერო კვალიფიკაციას გულისხმობს, ვიდრე რომელიმე კონკრეტული კვლევითი სტატია; ლექსიკოგრაფიულ შრომასა და მის პროდუქტს დღემდე არა აქვს მინიჭებული ღირსეული კონკურენტის უფლება საგრანტო კონკურსების პირობებში“ (<http://blog.dictionary.ge/archives/114>).

ქართველი ლექსიკოგრაფების მიმართვას იმავე წელს მხარი დაუჭირა ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის მმართველმა საბჭომ, რომლის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა, პროფ. ჯეფრი უილიამსმა, საქართველოში გამოაგზავნა საყურადღებო წერილი. ქვემოთ მოყვანილია მცირე ფრაგმენტი ამ წერილიდან: „...ენა გადამწყვეტ როლს ასრულებს ამა თუ იმ ხალხის იდენტობისა და კულტურის განსაზღვრაში. ეროვნული თვითმყოფადობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში ენას ცენტრალური როლი ეკუთვნის, ხოლო ლექსიკონი წარმოადგენს უმთავრეს ინსტრუმენტს ამ იდენტობის შესაცნობად და წარმოსაჩენად.

... აკადემიურ წრეებში ლექსიკოგრაფიის მნიშვნელობას ხშირად აკნინებენ, მიიჩნევენ რა მას მხოლოდ ხელობად და არა სამეცნიერო დისციპლინად. ამგვარი წარმოდგენა ლექსიკოგრაფიაზე არამცთუ უმართებულოა, არამედ სახიფათოც. ლექსიკოგრაფი არა მარტო შეისწავლის ენას, როგორც კომუნიკაციის ძირითად საშუალებას, არამედ ლექსიკონის სახით თავად ქმნის იმ ინსტრუმენტს, რომლითაც ენა და მასში უკუფენილი კულტურული ფასეულობები ხელმისაწვდომი ხდება როგორც შესწავლისათვის, ისე საზოგადოების მიერ მისი სრულად აღქმისა და დაფასებისათვის“.

რა არის ლექსიკოგრაფია? ლექსიკოლოგიის ნაწილი? გამოყენებითი ენათმეცნიერების ნაწილი? დამოუკიდებლად არსებული დარგი?



ძნელია მოიძებნოს ლექსიკოგრაფიის ორი ისეთი განმარტება, რომელიც მეტ-ნაკლებად ახლოსაა ერთმანეთთან და არ არის ურთიერთგამომრიცხავი, გნებავთ, ურთიერთსაწინააღმდეგოც კი.

დისკუსიას იმის შესახებ, არის თუ არა ლექსიკოგრაფია მეცნიერება, დაემატა საკამათო თემა - არსებობს თუ არა ლექსიკოგრაფიის თეორია?

1983 წელს გამართულ ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის ერთ-ერთ პირველ კონგრესზე გერმანელმა ენათმეცნიერმა, ჰერბერტ ვიგანდმა, წარმოადგინა თავისი მოსაზრებები ლექსიკოგრაფიის ზოგადი თეორიის სტრუქტურისა და შინაარსის საკითხებზე (Wiegand 1984). ვიგანდის აზრით, ლექსიკოგრაფია არ არის ლექსიკოლოგიის ნაწილი, რადგან, თეორიულად, იგი არ არის მხოლოდ ლექსიკოლოგიით განპირობებული და ნასაზრდოები. ვიგანდი ლექსიკოგრაფიას არც გამოყენებითი ენათმეცნიერების შტოდ განიხილავს, რადგან ლექსიკოგრაფია, მისი აზრით, არ არის მხოლოდ ლინგვისტური თეორიებისა და მეთოდების გამოყენება პრაქტიკაში. ლექსიკოგრაფიის თეორიას ვიგანდი განიხილავს არა ლექსიკოგრაფიის, არამედ მეტალექსიკოგრაფიის ნაწილად.

მეტალექსიკოგრაფია კი, ვიგანდის აზრით, ოთხ კომპონენტს მოიცავს: 1. ლექსიკოგრაფიის ისტორია; 2. ლექსიკოგრაფიის ზოგადი თეორია; 3. ლექსიკონების გამოყენების კვლევა; 4. ლექსიკონების კრიტიკული განხილვა.

იმავე კონგრესზე, ჯონ სინკლერმა, კორპუსული ლინგვისტიკის ერთ-ერთმა პიონერმა და კობილდის პროექტის ფუძემდებელმა, წარმოადგინა მოხსენება თემაზე: „ლექსიკოგრაფია, როგორც სამეცნიერო საგანი“ (Sinclair 1984). ნაშრომში ჯ. სინკლერმა დააყენა ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო პროგრამის შექმნის საკითხი, რაც პრაქტიკული საქმიანობის აკადემიურ დისციპლინად გარდაქმნას შეუწყობდა ხელს, ლექსიკოგრაფიას მჭიდრო ურთიერთკავშირში განიხილავდა საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, კომპიუტერულ ლინგვისტიკასთან, ზოგად ენათმეცნიერებასთან და ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკასთან.

25 წლის შემდეგ ევროპელ ლექსიკოგრაფთა ასოციაციის სამეცნიერო ჟურნალის - „ლექსიკოგრაფიის საერთაშორისო ჟურნალის“ საიუბილეო გამოცემაში, ცნობილი სამხრეთ-აფრიკელი ლექსიკოგრაფი, რუფუს გოუვსი (Gouws 2012), დანაწევრებით აღნიშნავს, რომ ჯ. სინკლერისა და ჰ. ვიგანდის საპროგრამო გამოსვლებს მნიშვნელოვანი გაგრძელება არ მოჰყოლია აღნიშნული ჟურნალის ფურცლებზე. გოუვსის აზრით, ეს ნაწილობრივ იმანაც განაპირობა, რომ რამდენიმე ავტორიტეტული და გავლენიანი ევროპელი ლექსიკოგრაფი - სიუ ეტკინსი, მაიკლ რანდელი (Atkins and Rundell 2008) და ანრი ბეჟუანი (Bejoint 2010) კატეგორიულად უარყოფენ ლექსიკოგრაფიის თეორიის არსებობას, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ლექსიკოგრაფიის თეორიის საკითხების შემდგომ განხილვასა და განვრცობაზე.

2009 წელს გამოცემულ წიგნში “Lexikographie und Wörterbuchforschung” ენგელბერგი და ლემნიცერი (Engelberg and Lemnitzer 2009) ასევე მიჯნავენ ლექსიკოგრაფიის პრაქტიკას, რომლის მიზანია ლექსიკონების შექმნა და ლექსიკოგრაფიის თეორიას, რომელიც მიმართულია ლექსიკოგრაფიასა და ლექსიკონებზე. ისინი მიიჩნევენ, რომ თეორიული ლექსიკოგრაფია არ არის გამოყენებითი ენათმეცნიერების დარგი. მათი აზრით, ლექსიკოგრაფია შემდეგ თემატიკას მოიცავს: ლექსიკონების სტრუქტურა; ლექსიკონების შედგენა; ლექსიკონების გამოყენება (ლექსიკონების გამოყენების დიდაქტიკის ასპექტების ჩათვლით); ლექსიკონების რეცენზირება; ლექსიკოგრაფიის ისტორია.

თ. მარგალიტაძე ლექსიკოგრაფიის თეორიაში შემდეგ კომპონენტებს გამოყოფს:

1. **ზოგადი ნაწილი.** თეორიული ლექსიკოგრაფიის ეს ნაკვეთი მოიცავს: ლექსიკოგრაფიის რაობისა და ფუნქციების განსაზღვრას. ასევე იმ თეორიებს, რომელთა ცოდნა აუცილებელია კვალიფიციური ლექსიკოგრაფისათვის, მაგ. ლექსიკური სემანტიკის თეორიებს (ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკა, სტრუქტურალისტური სემანტიკა, კოგნიტიური სემანტიკა); სიტყვის მნიშვნელობის კვლევის მეთოდებს; ელექტრონულ კორპუსებსა და მათ გამოყენებას თანამედროვე ლექსიკოგრაფიაში; სხვადასხვა კომპიუტერულ

პროგრამებს დიდი მოცულობის ელექტრონულ კორპუსებთან სამუშაოდ (მაგ. სიტყვათშეხამებითი მოდელების პროგრამა - Sketch Engine) და სხვა.

2. **ლექსიკოგრაფიის ისტორია.**

3. **ლექსიკოგრაფიის ჟანრები**, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების შექმნის პრინციპებს (დიდი განმარტებითი ლექსიკონები, ისტორიულ პრინციპებზე შექმნილი ლექსიკონები, დიდი ორენოვანი ლექსიკონები, ერთენოვანი, ორენოვანი და მრავალენოვანი სასწავლო ლექსიკონები, განმარტებითი და თარგმნითი დარგობრივი / სპეციალიზებული ლექსიკონები და სხვა). აქვე შედის ელექტრონული ლექსიკოგრაფია და ის ცვლილებები, რაც მან მოიტანა სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების შედგენის პრინციპების თვალსაზრისით.

4. **ლექსიკონების გამოყენების კვლევა** (რომელიც მოიცავს ლექსიკონების გამოყენების სწავლების საკითხებსაც). ბოლო წლებში ბევრი თეორიული ექსპერიმენტი შემუშავდა და ჩატარდა ლექსიკონების ეფექტიანობის გამოსავლენად. ლექსიკონის მომხმარებლების საჭიროებებისა და ლექსიკონების გამოყენების უნარ-ჩვევების შესწავლა გადაიქცა უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად ლექსიკონების შექმნისას.

5. **პრაქტიკული ლექსიკოგრაფია.** ამ ნაწილში შედის პრაქტიკული ლექსიკოგრაფიული პროექტების განხორციელების ეტაპების დაგეგმვის, წყაროების შერჩევის, მასალის მოძიებისა და ანალიზის, მაკრო და მიკროსტრუქტურული გადაწყვეტილებების მიღების, სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების სიტყვა-სტატიების შექმნის მეთოდოლოგია და სხვა (თ. მარგალიტაძე 2013).

ლექსიკოგრაფია თეორიისა და პრაქტიკის ერთობლიობაა. სწორედ ეს სინთეზი აქცევს დარგს აკადემიურ დისციპლინად. აკადემიური ლექსიკოგრაფია არის ლექსიკოგრაფიული თეორიით აღჭურვილი პრაქტიკა, ხოლო მეცნიერი-ლექსიკოგრაფი არის ადამიანი, რომელიც ფლობს ლექსიკოგრაფიის თეორიას

და ისე ქმნის ლექსიკონს. ლექსიკოგრაფია არ არის ლექსიკოლოგიის ნაწილი და არ საზრდოობს მხოლოდ ლექსიკოლოგიური თეორიებით. ვიგანდის მაგალითი რომ მოვიშველიოთ, სიხშირული ლექსიკონის შესაქმნელად სტატისტიკური კვლევის მეთოდების ცოდნაა საჭირო, ან მაგალითად, ვალენტობის ლექსიკონებში გრამატიკა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ლექსიკა; ასევე გასათვალისწინებელია წარმოთქმის, ჟესტების ლექსიკონები; დარგობრივი / სპეციალიზებული ლექსიკონები და სხვა. ლექსიკოგრაფია არ შეიძლება განვიხილოთ გამოყენებითი ენათმეცნიერების დარგად, ამ ტერმინის ვიწრო მნიშვნელობით, რადგან ლექსიკოგრაფია არ არის მხოლოდ ლინგვისტური თეორიების გამოყენება პრაქტიკაში. ყოველი თეორია, ლინგვისტური თუ ლექსიკოგრაფიული, ტრანსფორმირდება პრაქტიკაში ლექსიკოგრაფიული საჭიროებისათვის და ყოველი ლექსიკოგრაფიული პრაქტიკა წარმოშობს ახალ გამოცდილებას, რომელიც ავსებს და გარდაქმნის არსებულ თეორიებს. ლექსიკოგრაფია გამოყენებითი ენათმეცნიერების დარგია (ამ ტერმინის ფართო გაგებით), რომელიც ენობრივი პრობლემების თეორიულ და ემპირიულ კვლევებს ეფუძნება.

ლექსიკოგრაფიის არსს ყველაზე კარგად გადმოსცემს ლექსიკოგრაფიის თეორეტიკოსის, გერმანელი მეცნიერის, ჰაუსმანის სიტყვები:

“Lexicography is a scientific practice aiming to bring dictionaries into existence”  
„ლექსიკოგრაფია სამეცნიერო საქმიანობაა, რომლის მიზანაც ლექსიკონების შექმნაა“.

მაშასადამე, ლექსიკონების გამოყენებისა და ლექსიკონის მომხმარებლების კვლევა - თეორიული ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ამ მიმართულებით საქართველოში სამეცნიერო სამუშაოები ჯერ არ ჩატარებულა, ამდენად, მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა და ჩატარებული კვლევების შესწავლა.

## 1.3 ლექსიკონების ტიპები

ლექსიკოგრაფიის, როგორც დარგის, სირთულემ განსაზღვრა ის მრავალფეროვნება, რაც ლექსიკონების კლასიფიკაციისას იჩენს თავს.

ლექსიკონები განსხვავებული კრიტერიუმების გათვალისწინებით სხვადასხვა კატეგორიებად იყოფა. ლინგვისტურ ლიტერატურაში ლექსიკონების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დაყოფა დიაქრონიული და სინქრონიული ლექსიკონების გამოყოფაა. დიაქრონიული ლექსიკონები, ფორმისა და მნიშვნელობის მიხედვით, სიტყვების (ლექსემების) ისტორიას და მათ განვითარებას განიხილავს. დიაქრონიული ლექსიკონები, თავის მხრივ, ორ განშტოებას გვამღევს: ისტორიულსა და ეტიმოლოგიურს. ისტორიული ლექსიკონები, ისტორიული პერიოდის გათვალისწინებით, სიტყვის ფორმისა და მნიშვნელობის ცვლილებებზე აკეთებენ აქცენტს, ხოლო ეტიმოლოგიური ლექსიკონები სიტყვების წარმომავლობას იკვლევენ. აღსანიშნავია, რომ დიაქრონიული ლექსიკოგრაფიის ეს ორი მხარე მუდამ მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს.

ეტიმოლოგიური ლექსიკონები უფრო მეტად სიტყვის ფორმით ინტერესდებიან, ვიდრე მნიშვნელობით (თუმცა სემანტიკური შესაბამისობა სიტყვების შედარებისას არსებითია). მაშასადამე, ეტიმოლოგიური ლექსიკონები, მნიშვნელობის თვალსაზრისით, სქემატურ მინიშნებებს გვამღევს. ისტორიულ ლექსიკონში კი სემანტიკური განვითარების ფაზები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სიტყვის ფორმის განვითარება. ეტიმოლოგიური ლექსიკონები გვხვდება ზოგადი (შეიცავენ ზოგადი ენის სიტყვებს) და სპეციალიზებული.

სინქრონიული ლექსიკონები აღწერენ ამა თუ იმ ენის ლექსიკას მისი განვითარების რომელიმე ეტაპზე. სინქრონიული არ ნიშნავს „თანამედროვეს“, ნებისმიერი ეპოქა ენის განვითარებისას სინქრონულად მოიაზრება. სინქრონიული ლექსიკონი შეიძლება აღწერდეს ძველი ან საშუალო ინგლისური პერიოდის ენას. ძველი და საშუალო ინგლისური არ არის თანამედროვე, მაგრამ ის ლექსიკონები, რომლებიც ინგლისური ენის განვითარების ამ ეტაპებს

ანალიზებენ - სინქრონული ლექსიკონებია. აუცილებელია, რომ ენის ლექსიკონი იყოს რეპრეზენტაციული და ასევე აუცილებელია, მას ვრცელი და განსხვავებული ტექსტები დაედოს საფუძვლად. ენა მუდმივად იცვლება და ეს ნიშნავს, რომ ტექსტების კორპუსები, რომლებსაც ლექსიკოგრაფი საკუთარი სამუშაოს საფუძვლად იყენებს, სრული გაგებით სინქრონული არ არის. მაშასადამე, ლექსიკონის „სინქრონულობა“ პირობითია, თუმცა ეს პირობითობა კონცეფციის სარგებლიანობასა და სისწორეს სავსებით არ აკნინებს. ეს ვარაუდი (ან გამოცდილება) არამარტო ლექსიკოგრაფიაში, არამედ ლინგვისტიკაშიც დასაშვებია.

ლექსიკონები ასევე იყოფა ზოგად (არასპეციალიზებულ) და სპეციალიზებულ ლექსიკონებად. ზოგადი ლექსიკონები ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს აღწერს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა სიტყვა შეტანილია ლექსიკონში. კონკრეტული სიტყვების განაწილება შესაბამის ლექსიკონში ლექსიკოგრაფის უფლებამოსილებაა.

სპეციალიზებულ ლექსიკონებს შორის მოიაზრება დიალექტური ლექსიკონი, რომელიც ზეპირ მასალაზე, სხვადასხვა კითხვარებზე, ან წერილობით წყაროებზე (თუ ტექსტები ამ დიალექტზე მოიპოვება წერილობითი სახით), ან ორივეს საფუძველზე შეიძლება შეიქმნას. თუ არსებობს დიალექტური ტექსტები, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქას მიეკუთვნება, ამ შემთხვევაში დიალექტურმა ლექსიკონმა შეიძლება ისტორიული ხასიათი მიიღოს. ზოგ სალექსიკონო სიტყვა-სტატიას ენციკლოპედიური ნიშან-თვისებაც აქვს დიალექტურ ლექსიკონში, რადგან ლექსიკონის მომხმარებლისათვის აღსანიშნი (დენოტატი) უცნობია და საჭიროა ვრცელი განმარტების დართვა სალექსიკონო სიტყვა-სტატიისათვის. ხშირად დიალექტურ ლექსიკონებში გეოგრაფიული ინფორმაცია გვხვდება, ამიტომ მალკიელი (Malkiel 1962) სასურველად მიიჩნევს დიალექტური ლექსიკონებისათვის რუკებისა და ატლასების დართვას. დიალექტური ლექსიკონები ორი პრინციპით შეიძლება შეიქმნას: 1. ლექსიკონი სრულად აღწერს ერთ დიალექტს სხვა დიალექტთან მიმართების გარეშე. 2. ლექსიკონი იქმნება სხვა დიალექტების შესაბამისი

მასალის ანალიზის საფუძველზე. სპეციალიზებული ლექსიკონის ჩამონათვალში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სლენგის, ჟარგონის ლექსიკონებს. ეს „სოციალური დიალექტები“ უმეტეს შემთხვევაში სტანდარტული ენის მრავალსახეობებია. სპეციალიზებული ლექსიკონები სათანადო ლექსიკის აღსაწერად კონტრასტულ მეთოდს უფრო ხშირად გამოიყენებენ, ვიდრე გეოგრაფიული დიალექტების ლექსიკონები.

სპეციალიზებული ლექსიკონების მნიშვნელოვანი ტიპია ტერმინოლოგიური ლექსიკონები, რომლებიც მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა სფეროს მოიცავს. ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს ენციკლოპედიური ხასიათი აქვთ და ბევრ ენციკლოპედიურ ელემენტს შეიცავენ, რომელიც მკაცრი მრავალფეროვნებით და კონტრასტული მეთოდით აღიწერება.

სპეციალიზებული ლექსიკონების ერთ-ერთი სახეობაა სიმფონია ლექსიკონები, ანუ კონკორდანსები, უცხო სიტყვათა ლექსიკონები, შემოკლებული სიტყვების, აკრონიმებისა და აბრევიატურების ლექსიკონები, რომელთაც აბრევიატურის ლექსიკონს უწოდებენ. სპეციალიზებული ლექსიკონების კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ფრაზეოლოგიური ერთეულების ლექსიკონი, რომელშიც თავმოყრილია და აღწერილია მყარი შესიტყვებები, ანდაზები და სხვა. აქვე ერთიანდებიან სინონიმებისა და ანტონიმების ლექსიკონები.

სემასიოლოგიური ტიპის ლექსიკონებს უპირისპირდება ონომასიოლოგიური პრინციპით შექმნილი ლექსიკონები, რომლებშიც სიტყვები დალაგებულია არა ანბანთრიგზე, არამედ თემატურად. ამგვარ ლექსიკონებს თეზაურუსებს ვუწოდებთ.

ლექსიკონის უმთავრესი მიზანია დაეხმაროს მკითხველს მისთვის გაუგებარი გამონათქვამის გაგებაში. ამ სირთულეების მიზეზი მრავალია: გამონათქვამი შეიძლება ჯერ კიდევ არაა დამკვიდრებული (ნეოლოგიზმი), ან შეიძლება ნასესხები სიტყვაა უცხო კულტურიდან (ეგზოტიზმი), ან არასწორად გამოყენებული გამოთქმაა (ბარბარიზმი), ან გამონათქვამი ეკუთვნის გეოგრაფიულ დიალექტს (რეგიონალიზმი, დიალექტიზმი), ან ნაწილია მყარი

შესიტყვებისა, ან არქაიზმებია (ისინი შეიძლება არსებულ ლექსიკონებში მოვიძიოთ).

სპეციალიზებული ლექსიკონის ანტონიმს არასპეციალიზებული ლექსიკონი წარმოადგენს. ტერმინი „ზოგადი-არასპეციალიზებული“ ლექსიკონების ზომას არ ნიშნავს, ასეთ ლექსიკონებს ესაქმებათ როგორც ზოგად, ასევე სტანდარტულ ენასთან.

ზოგადი ლექსიკონები სტანდარტულ-აღწერით და ინფორმაციულ ლექსიკონებად იყოფა. თავის მხრივ, ორივე აღწერილობითი ხასიათისაა.

სტანდარტულ-აღწერილობით ლექსიკონს ნორმატიული ხასიათი აქვს, რადგან ლექსიკოგრაფი ლექსიკონის შექმნისას ითვალისწინებს არამარტო იმ ფაქტს, რომ მომხმარებელი ამ სიტყვების შესახებ იძიებს ინფორმაციას, არამედ იმასაც, რომ ამ სიტყვათა მონაცემებს, რათა შეძლოს ახალი ტექსტების შეთხზვა. ის აღწერს თანამედროვე ავტორებისა და ამ ენის მატარებლებში რეალიზებულ სტანდარტულ ენას.

ინფორმაციული ლექსიკონი განსხვავდება სტანდარტულ-აღწერილობითი ლექსიკონისგან. ის აღწერს უფრო მეტს, ვიდრე სტანდარტული, რადგან მასში შედის ჟარგონული, დიალექტური, არქაიზმული, ენციკლოპედიური და ტექნიკური ინფორმაცია.

ლექსიკონების ტიპოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სასწავლო ტიპის ლექსიკონებს, რომლებიც ასევე იყოფა ლექსიკონებად სკოლის მოსწავლეებისათვის, ენის ცოდნის საშუალო დონის მქონე შემსწავლელებისათვის, საშუალოზე მაღალი დონის მქონე შემსწავლელებისათვის და ა.შ. ასეთი ტიპის ლექსიკონში შეზღუდულია სიტყვების რაოდენობა და იგი სიხშირული პრინციპით განისაზღვრება. სიხშირული პრინციპით განისაზღვრება ლექსიკონში შეტანილი სიტყვების პოლისემიური მნიშვნელობების, ფრაზეოლოგიური ერთეულების აღწერა და სხვა. აღსანიშნავია, რომ ლექსიკონის მომხმარებლებზე ჩატარებული კვლევების



მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ სასწავლო ლექსიკონებზე ჩატარდა, რაც ალბათ ამ ჟანრის პოპულარობაზე მეტყველებს. სასწავლო ლექსიკოგრაფია, როგორც ჟანრი, გასული საუკუნის 20-იან წლებში წარმოიშვა იაპონიაში. აღნიშნული მიმართულების ჩამოყალიბებას ინგლისური ენის მსოფლიო მასშტაბით შესწავლამ და გავრცელებამ მისცა ბიძგი. პირველი სასწავლო ლექსიკონები შეიქმნა იაპონიაში, ტოკიოში, „ინგლისური ენის სწავლების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (Tokyo Institute for Research in English Teaching), რომლის დირექტორიც იყო ჰაროლდ პალმერი 1923–1936 წლებში.

სასწავლო ლექსიკოგრაფიის, როგორც ახალი ჟანრის განვითარება, ინგლისური ენის სწავლების საჭიროებამ წარმოშვა. 1927 წელს ზემოხსენებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს დაევალა ინგლისური ენის „ლექსიკური მინიმუმის“ შემუშავება (controlled vocabulary). ამ ლექსიკურ მინიმუმში უნდა შესულიყო ის სიტყვები (1000 სიტყვა, 1500 სიტყვა, 2000 სიტყვა), რომელთა ცოდნაც ენის შემსწავლელს კომუნიკაციის დამყარების საშუალებას მისცემდა.

„ლექსიკური მინიმუმის“ კვლევა საკმაოდ რთული პროცესი აღმოჩნდა და ამ მიმართულებით ორი განსხვავებული მიდგომა გამოიკვეთა: პირველი არის ობიექტური რაოდენობრივი მეთოდი (objective quantitative method), რომელიც განეკუთვნებოდა ამერიკელი ენათმეცნიერების ჯგუფს, რომელშიც წამყვან ფიგურას წარმოადგენდა ედუარდ თრონდაიკი (Edward Thron-dike) და მეორე - ჰაროლდ პალმერის (Harold Palmer) ეგრეთ წოდებული სუბიექტური მეთოდი (subjective method). ობიექტური რაოდენობრივი მეთოდის თანახმად, „ლექსიკური მინიმუმის“ სიტყვები ტექსტური კორპუსიდან უნდა შერჩეულიყო სიხშირული პრინციპით. ამ მეთოდის წარმომადგენლების აზრით, მინიმუმ ოთხი მილიონი სიტყვის შემცველი ტექსტური კორპუსი საკმარისი იყო სიტყვების სიხშირეების განსასაზღვრავად. მეორე მიდგომა - სუბიექტური მეთოდი კი „ლექსიკური მინიმუმის“ შერჩევას უპირატესობას ანიჭებდა არა სიხშირულ პრინციპს, არამედ ინლისური ენის მასწავლებლების გამოცდილებას. 1937 წელს ამერიკაში გაიმართა კონფერენცია, რომელიც „კარნეგის კონფერენციის“ სახელით არის ცნობილი, სწორედ აქ შეჯერდა ორივე მეთოდი

და ამის შემდგომ „ლექსიკური მინიმუმის“ დასადგენად გამოიყენება როგორც სიხშირული პრინციპი, ასევე ინგლისური ენის მასწავლებელთა გამოცდილება.

1930 წლიდან დაიწყო კვლევები „ლექსიკური მინიმუმის“ სასწავლო ლექსიკონებში გამოყენების კუთხით. 1935 წელს ვესტმა და ენდიკოტმა (Michael West and Endicott) გამოაქვეყნეს ახალი ლექსიკონი – “The New Method English Dictionary”, რომელიც პირველად დაეფუძნა სალექსიკონო დეფინიციებში „ლექსიკური მინიმუმის“ გამოყენების პრინციპს. ლექსიკონში შევიდა 24,000 სიტყვა, რომელიც განიმარტა „ლექსიკური მინიმუმის“ 1,923 სიტყვით. ამის შემდეგ ეს პრინციპი, „ლექსიკური მინიმუმის“ გამოყენება ლექსიკონში გადაიქცა სასწავლო ლექსიკოგრაფიის ძირითად პრინციპად. დღეისათვის ინგლისური ენის შემსწავლელთათვის შექმნილია სხვადასხვა სახის ლექსიკონი: ერთენოვანი, ორენოვანი და მრავალენოვანიც კი. მათ შორის ყველაზე პოპულარულია ხუთი სასწავლო ლექსიკონი, ე.წ. „დიდი ხუთეული“ (Big-Five):

1. Oxford Advanced Learner’s Dictionary
2. The Longman Dictionary of Contemporary English
3. The Collins COBUILD English Language Dictionary
4. The Cambridge International Dictionary of English
5. The Macmillan English Dictionary.

სწორედ ამ ხუთ ლექსიკონზეა განხორციელებული ლექსიკონთა მომხმარებლების მრავალი კვლევა.

ენათა რაოდენობის მიხედვით ლექსიკონები იყოფა განმარტებით, ორენოვან, მრავალენოვან ლექსიკონებად. ბოლო წლებში გაჩნდა შერეული ტიპის (bilingualized, semi-bilingual, hybrid) ლექსიკონები, რომლებიც ორენოვან ლექსიკონებად გადაკეთებული განმარტებითი ლექსიკონებია და საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. ასევე განასხვავებენ აკადემიურ და კომერციულ ლექსიკონებს.

ამერიკულ ტრადიციაში ლექსიკონებს ზომის მიხედვითაც ყოფენ: ვრცელი / შეუმოკლებელი (unabridged) ლექსიკონები, ჩვეულებრივ, 250 000 სიტყვა-

სტატიაზე მეტ მასალას შეიცავს; ნახევრად შემოკლებულს (semi-unabridged) უწოდებენ ლექსიკონებს, რომლებიც მოიცავს 130 000 სიტყვა-სტატიიდან 250 000 სიტყვა-სტატიას, ხოლო შემოკლებულ (abridged) ლექსიკონებს უწოდებენ ისეთ ლექსიკონებს, რომლებშიც სიტყვა-სტატიების რაოდენობა 130 000-ზე ნაკლებია. ამერიკულ ბაზარზე ასევე გვხვდება ე.წ. კოლეჯის ლექსიკონები (college dictionaries), რომლებიც სტუდენტებისთვისაა გამიზნული და 160 000-დან 180 000-მდე სიტყვა-სტატიას მოიცავს; ასევე არსებობს სამაგიდო ლექსიკონები (desk dictionaries), რომელთა მოცულობა 60 000 – 80 000 სიტყვა-სტატიაა.

ლექსიკონები ბეჭდურია, თუმცა ბოლო ხანებში იმდენად გავრცელდა ელექტრონული და ონლაინ-ლექსიკონები, რომ ბევრმა გამომცემლობამ საერთოდ უარი თქვა ლექსიკონების წიგნად გამოცემაზე.

მიუხედავად ზემოთ აღწერილი ტიპოლოგიისა, ყოველი ლექსიკოგრაფიული პროექტი საკმაოდ უნიკალურია და მარტივად ვერ ჯდება კლასიფიკაციის კლასიკურ ჩარჩოებში. ლექსიკონების მიზანია დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნები და აჩვენოს ის მრავალფეროვნება, რომელსაც თვით ენა გვთავაზობს. შეუძლებელია ერთ ლექსიკონში ყველაფრის გათვალისწინება. ლექსიკოგრაფის ოსტატობა კი სწორედ საუკეთესო ლექსიკოგრაფიული პრაქტიკის ცოდნაა, რომლის საფუძველზეც, მიზნებიდან გამომდინარე, იგი მარჯვედ ათავსებს სხვადასხვა ლექსიკოგრაფიულ პრინციპებს და ქმნის უნიკალურ ლექსიკოგრაფიულ ნაწარმოებს.

### 1.4 კორპუსის ლინგვისტიკა

ვინაიდან სასწავლო ლექსიკონების შექმნა კორპუსებს ეფუძნება, აქ მოკლედ შევჩერდებით ელექტრონულ კორპუსებსა და კორპუსულ მეთოდოლოგიაზე.

კორპუსის/კორპუსული ლინგვისტიკა (Corpus Linguistics) არის კომპიუტერული ლინგვისტიკის მიმართულება, რომელიც ამუშავებს კომპიუტერული

ტექნოლოგიების გამოყენებით ლინგვისტიკური კორპუსების (ტექსტური კორპუსების) შექმნისა და გამოყენების ზოგად პრინციპებს. კორპუსული ლინგვისტიკა არის ლინგვისტიკური მოვლენის შესწავლა ელექტრონული სახით მოცემული ტექსტების - კორპუსის საშუალებით.

ენის შესწავლის პროცესში ტექსტებიდან რეალური მაგალითების გამოყენება არ არის სიახლე ლინგვისტიკის ისტორიაში. თუმცა, კორპუსის ლინგვისტიკა განვითარდა და მას ახალი სიცოცხლე შესძინა კომპიუტერული ტექნიკის განვითარებამ. კომპიუტერმა და ელექტრონულ ფორმატში მოცემულმა ტექსტებმა შესაძლებელი გახადა მონაცემების სწრაფად და ადვილად შეგროვება და ანალიზი.

კორპუსული ლინგვისტიკა არ არის მარტოდენ კომპიუტერის საშუალებით ენის მონაცემების შეგროვება. კორპუსული ლინგვისტიკა არის შესწავლა და ანალიზი შეგროვილი მონაცემებისა, კომპიუტერი კი ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ პროცესში.

კორპუსული ლინგვისტიკა არის ენის შესწავლა და ლინგვისტიკური ანალიზის მეთოდი, რომელიც იყენებს ბუნებრივი ან „რეალური სამყაროს“ ტექსტების კრებულს, რომელსაც ეწოდება კორპუსი. კორპუსული ლინგვისტიკა გამოიყენება მთელი რიგი ლინგვისტიკური საკითხების ანალიზისათვის და შესწავლისათვის.

კორპუსის ლინგვისტიკის გააჩნია ორბუნებოვანი ხასიათი. კერძოდ, კორპუსის ლინგვისტიკა არის მეცნიერება კორპუსების შექმნის შესახებ და ასევე კორპუსულ მონაცემებზე დაყრდნობილი ლინგვისტიკა. კორპუსის ლინგვისტიკა თავად ქმნის თავის მასალას, დამოუკიდებლად ახდენს მის სტრუქტურირებას. სწორედ ეს აქცევს მას დამოუკიდებელ ლინგვისტიკურ დისციპლინად, მას აქვს სიტყვიერი მასალის სპეციფიკური სახეც (კორპუსი) და საკუთარი ინსტრუმენტებიც (კორპუსის ანალიზის პროგრამები).

მას შემდეგ რაც კორპუსის ლინგვისტიკაში მოიაზრება დიდი კორპუსების გამოყენება, რომლებიც შედგება მილიონი და მილიარდი სიტყვისაგან, დამოკიდებულია კომპიუტერის გამოყენებაზე, ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ კორპუსულმა ლინგვისტიკამ მიიღო თავისი თანამედროვე ფორმა მხოლოდ კომპიუტერული რევოლუციის შემდგომ, 1980-იან წლებში. ბრაუნის კორპუსი, რომელიც არის პირველი თანამედროვე და ელექტრონული კორპუსი, შეიქმნა ჰენრი კუჩერასა (Henry Kucera) და ნელსონ ფრანციზის (W. Nelson Francis) მიერ 1960 წელს.

კორპუსის / კორპუსული ლინგვისტიკა ძირითად ყურადღებას მეტყველების შესწავლას უთმობს, „ტრადიციული“ ლინგვისტიკა კი ენას; ერთი არჩევს კვანტიტატიურ მეთოდებს მეორე კვალიტატიურს; პირველი ეყრდნობა კვლევის ემპირიულ, მეორე რაციონალისტურ მეთოდებს; პირველი ტექსტს განიხილავს, როგორც გარკვეულ ფიზიკურ მოცემულობას, მეორე როგორც აბსტრაქციას; პირველი სტატისტიკურ მასალას აანალიზებს, მეორე ლოგიკურ მსჯელობას ამჯობინებს და ემპირიულ მასალასაც ინტუიციასზე დაყრდნობით არჩევს; ერთი მონაცემთა ბაზას იყენებს, მეორე ხელოვნურ მაგალითებს, ან ტექსტიდან იზოლირებულ სიტყვახმარებებს; ერთი ინდუქციურ მეთოდს არჩევს, მეორე დედუქციურს, ერთი ემპირიულ მასალაზე დაფუძნებულ აღმოჩენებს აღიარებს, მეორე პროცედურებზე, შედარებებზე, შეფასებებზე და ა. შ. დაფუძნებულს.

კორპუსის ლინგვისტიკის იდეოლოგიის მთავარი ორიენტირს წარმოადგენს განსაკუთრებული ყურადღება ტექსტისადმი (დისკურსისადმი), ენის რაოდენობრივი (კვანტიტატიური) კომპონენტისადმი, ენის სინქრონიული და დიაქრონიული ვარიაციულობისადმი, განსხვავებული მიდგომა ენობრივი ნორმისა და ენობრივი ფაქტისადმი .

ადამ კილგარიფი (Adam Kilgarriff 2001) და დევიდ თაგუელი (David Tugwell 2002) კორპუსული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში გამოყოფენ ოთხ პერიოდს:

- 1) პირველი პერიოდი, კომპიუტერის გამოგონებამდე, ანუ ეს არის ის პერიოდი, როდესაც ლექსიკოგრაფები აგროვებდნენ / აბარათებდნენ

ციტატებს, როგორც ეს დიდი ოქსფორდის ლექსიკონის მაგალითზე მოხდა.

- 2) მეორე პერიოდი კი არის ქობილდის ლექსიკონის შედგენის პერიოდი ადრეულ 1980-იან წლებში, როდესაც ლექსიკოგრაფები აგროვებდნენ ყველა მონაცემებს კორპუსიდან.
- 3) მესამე პერიოდი კი არის გვიანი 1990-იანი წლები, როდესაც კორპუსი გახდა იმდენად დიდი, რომ მის მომხმარებელს სჭირდებოდა კორპუსიდან მიღებული ვრცელი მონაცემების დაჯამება.
- 4) მეოთხე პერიოდი კი არის უკვე კომპიუტერული პროგრამებით აღჭურვილი კორპუსის პერიოდი.

ზოგადად, კორპუსის ლინგვისტიკა ორ პერიოდად იყოფა: **ადრეული კორპუსული ლინგვისტიკა**, ასევე ცნობილია როგორც **ხომსკიმდელი კორპუსის ლინგვისტიკა** და **თანამედროვე კორპუსის ლინგვისტიკა**.

კორპუსის ლინგვისტიკის ადრეული მაგალითები თარიღდება გვიანი XIX საუკუნით და გერმანიაში იღებს სათავეს. 1897 წელს გერმანელმა ლინგვისტმა ჯ. კადინგმა (J. Kading) გამოიყენა დიდი კორპუსი, რომელიც მოიცავდა დაახლოებით 11 მილიონ სიტყვას. ასეთი დიდი კორპუსის გამოყენება, რომელიც თანამედროვე კორპუსის მოცულობას შეესაბამება, იმ დროს რევოლუციური მოვლენა იყო.

სხვა ადრეული პერიოდის ლინგვისტები, რომლებმაც გამოიყენეს ენის შესწავლისათვის კორპუსი არიან ფრანც ბოასი (Franz Boas 1911), ცელინგ ჰარისი (Zellig Harris 1951), ჩარლზ ფრაიზი (Charles C. Fries 1952), ლეონარდ ბლუმფილდი (Leonard Bloomfield 1933), არქიბალდ ჰილი (Archibald A. Hill 1969) და სხვები. ზოგიერთი მათგანმა, მაგ: ფრაიზმა დაიწყო კორპუსის გამოყენება უცხო ენის პედაგოგიურ სწავლებაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი კორპუსი გამოჩნდა 1920-იან წლებში.

პირველი, თანამედროვე, დიდი ინგლისური ენის კორპუსი ლექსიკური კვლევებისათვის გამოიყენა ედუარდ თორნდაიკმა (Eduard L. Thorndike 1921), მან გამოიყენა 4.5 მილიონი სიტყვა თავის “Teacher’s Word Book”-ში, რომელიც 1921 წელს გამოსცა. მეორე დიდი მოცულობის კორპუსი იყო ერნესტ ჰორნის (Ernest Horn 1926) “A Basic Writing Vocabulary”, რომელიც 1926 წელს გამოვიდა და მოიცავდა 10 000 სიტყვას.

კორპუსის ადრეული კვლევები ბრიტანეთსა და საფრანგეთში მიზნად ისახავდა სიტყვის გამოყენების სიხშირის დადგენას.

1961 წელს ჰენრი კუჩერამ და ნელსონ ფრანციზმა ბრაუნის უნივერსიტეტიდან დაიწყეს თანამედროვე ამერიკული ინგლისური ენის ბრაუნის უნივერსიტეტის სტანდარტის კორპუსზე მუშაობა, ჩვეულებრივ ცნობილია როგორც ბრაუნის კორპუსი, რომელიც არის პირველი თანამედროვე, ელექტრონული კორპუსი. ბრაუნის კორპუსი შედგება 1 მილიონი ამერიკული ინგლისური სიტყვისაგან სხვადასხვა ტექსტებისაგან, რომელიც დაჯგუფებულია 15 კატეგორიად. კორპუსის ლინგვისტიკის თანამედროვე სტანდარტებისათვის ბრაუნის კორპუსი არის პატარა, თუმცა, მიჩნეულია როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი კორპუსის ლინგვისტიკის ისტორიაში. მაგრამ ეს იყოს ხომსკის კორპუსის ლინგვისტიკის კრიტიკის პერიოდი, რომელმაც ერთგვარი უარყოფითი გავლენა იქონია კორპუსის ლინგვისტიკის, როგორც დარგის განვითარებაზე.

1950-იან წლებში ამერიკასა და სხვა ქვეყნებში კორპუსი ნაკლებად პოპულარული იყო ხომსკისა და მისი მიმდევრების გავლენის გამო, რომელთა აზრით კორპუსი იყო არასწორი მიმართულების მიმცემი. ხომსკის აზრით, კორპუსში ასახულია იყო ის, რაც ხალხმა თქვა და არა ის, რაც უნდა ეთქვა. მიუხედავად ამისა კორპუსის ლინგვისტიკამ კვლავ მოიპოვა წარმატება 1970-იან წლებში. პირველად ტერმინი „კორპუსის ლინგვისტიკა“ გამოყენებულ იქნა 1980-იან წლებში.

კორპუსის ლინგვისტიკამ აღორძინება დაიწყო 1980-იან წლებში კომპიუტერებისა და ტექნოლოგიის გამოგენების კვალდაკვალ და თანამედროვე ფორმა მიიღო.

კორპუსის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია არის მარკაპი/მონიშვნა და ანოტირება, რომლებიც განარჩევს კორპუსს ტექსტების უბრალო კრებულისაგან.

მარკაპი ასახავს ტექსტის გარეგნულ თავისებურებებს, რომლებიც აუცილებელია კორპუსის კონტექსტების გაანალიზებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექსტის სათაური, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ტექსტის შესაბამის კატეგორიას, ჟანრს, თარიღს, ავტორს და ა.შ. რაც უფრო ზუსტია კატეგორიზაცია, მით უფრო უკეთესი შედეგები არის ხელმისაწვდომი, მაგრამ ამავე დროს უფრო შრომატევადი და დროის მომცველია.

ყველაზე გავრცელებული მარკაპის სქემა არის „ტექსტის კოდირების/დაშიფვრის ინიციატივა“ (Text Encoding Initiative - TEI), რომელიც 1980-იან წლებში იქნა შემუშავებული.

TEI თავიდან იყენებდა SGML-ს, მაგრამ ბოლო ვერსია იყენებს XML-ს, რომელიც წარმოადგენს კოდირების სისტემას და შეთავსებადია ვებ-გვერდთან. ზოგიერთი ლინგვისტის აზრით TEI არის რთული და ჯონ სინკლერის აზრით კი არ უნდა იქნეს გამოყენებული რიგი მიზეზების გამო.

უფრო მარტივი სისტემას წარმოადგენს - „კორპუსის კოდირების/დაშიფვრის სტანდარტი“ (Corpus Encoding Standard), რომელიც სპეციალურად შექმნილია კორპუსისათვის ლინგვისტური კვლევების გათვალისწინებით.

### **ლინგვისტური ანოტირება**

ანოტირება წარმოადგენს ტექსტების დანაწევრებას / სემანტიკურად დაყოფას გრაფიკულ სიტყვებად. ეს უკანასკნელი არის ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელი სხვადასხვა ოპერაციების განსახორციელებად, ყველაზე მარტივიდან დაწყებული, რთულით დამთავრებული. ანოტირება არის ძალიან



რთული/კომპლექსური ოპერაცია ზოგიერთ ენაში, მათ შორის ინგლისურ ენაში, მაგ: პრობლემურია დეფისიანი და აპოსტროფიანი სიტყვები.

კორპუსის ანოტირება არის ერთგვარი პრაქტიკა / წესი და ინსტრუმენტი, რომელთა საშუალებითაც კორპუსი აღჭურვილია ლინგვისტური ინფორმაციით. მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ანოტირების ტიპი არის ტეგირება ან სიტყვის კვალიფიკაციის განსაზღვრა, რომელიც აჩვენებს სიტყვის გარკვეულ კლასებს, რომელსაც ესა თუ ის სიტყვა განეკუთვნება. ასეთი სახის ანოტირება არის მეტყველების ნაწილების ტეგირება / მონიშვნა (POS Tagging) - ე.ი. მორფოლოგიური მონიშვნა.

პირველი მეტყველების ნაწილების (POS) ტეგერი შემუშავდა 1970-იან წლებში ბრაუნის კორპუსის ტეგირებისათვის. არსებობს სხვადასხვა სისტემები, რომლებიც იყენებენ სტატისტიკურ (ალბათური) და წესზე დაფუძნებულ მიდგომებს, ან ორივეს ერთად. ალბათური მიდგომა არის უფრო პერსპექტიული, რადგან შესაძლებელია ტეგერის დახვეწა და გაუმჯობესება. CLAWS (Constituent Likelihood Automatic Word Tagging System) წარმოადგენს ჰიბრიდულ სისტემას, რომელიც ლანკასტერის უნივერსიტეტში შემუშავდა და გამოყენებულ იქნა ბრიტანული ეროვნული კორპუსის ტეგირებისათვის. აღნიშნულ სისტემას გააჩნია საშუალო სიზუსტე, რაც 97%-ით არის შეფასებული. The Brill Tagger არის მოქნილი სისტემა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ტეგირებისათვის და სხვადასხვა ენებისათვის.

წინადადებების გარჩევა (parsing) შემადგენელ ელემენტებად / პარსინგი არის ისევე ფართოდ გავრცელებული, როგორც POS ტეგირება და ძალიან ბევრი სისტემის საშუალებით შესაძლებელია, როგორც წინადადების გარჩევა/დაშლა, ასევე ტეგირება. წინადადების გარჩევის/დაშლის სისტემა შეიძლება იყოს ალბათური ან წესზე დაფუძნებული, ამ შემთხვევაშიც ალბათური მიდგომა არის უფრო საინტერესო, რადგან ამ უკანასკნელის საშუალებით შესაძლებელია არაგრამტიკული ფორმულირებების დაძლევა, რომელიც ასე ხშირია მეტყველებაში.

მეტყველების ნაწილების / მორფოლოგიური ტეგირების გარდა არსებობს სხვადასხვა სახის ანოტირება, რომელიც შეესაბამება ლინგვისტური ანალიზის სხვადასხვა დონეს, ესენია:

### *ფონეტიკური ანოტირება*

ეს არის დამატებითი ინფორმაცია სიტყვის გამოთქმის/წარმოთქმის შესახებ. თუ როგორ გამოითქმება ესა თუ ის სიტყვა სასაუბრო კორპუსში. **პროსოდიული** ანოტირება - როგორცაა მახვილი, ინტონაცია. პროსოდიულ კორპუსებში გამოიყენება ტეგები, რომლებიც მახვილსა და ინტონაციას აღნიშნავენ. ზეპირი მეტყველების კორპუსებში პროსოდიული მონიშვნის გვერდით ხშირად გამოიყენება დისკურსული მონიშვნა, რომელიც აღნიშნავს გამეორებებს, პაუზას და ა.შ.

**სინტაქსური ანოტირება** - სინტაქსური მონიშვნა/ანოტირება წარმოადგენს მორფოლოგიური ანალიზის მონაცემთა საფუძველზე შესრულებული „პარსინგის /პარსირების“ შედეგს. მონიშვნის ეს წესი აღწერს სინტაქსურ კონსტრუქციებს.

### *სემანტიკური ანოტირება*

ინფორმაცია სიტყვების სემანტიკური კატეგორიის შესახებ - მაგ: არსებითი სახელი cricket სპორტული ტერმინი არის „კრიკეტი“, მაგრამ ამავე დროს მწერის სახელწოდება „ჭრიჭინა“, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი განსხვავება არ არის წარმოთქმაში, ცალ-ცალკე აღებული ეს ორი მნიშვნელობა სხვა სემანტიკურ კატეგორიას განეკუთვნება.

სემანტიკური ტეგები აღნიშნავენ სემანტიკურ კატეგორიებს, რომელთაც მიეკუთვნება მოცემული სიტყვა ან სიტყვათშეხამება და უფრო ვიწრო ქვეკატეგორიები, რომლებიც მის მნიშვნელობას სპეციფიკურობას განსაზღვრავს.

სემანტიკური მონიშვნა გულისხმობს სიტყვის მნიშვნელობათა სპეციფიკაციას, ომონიმისა და სინონიმის გადაწყვეტას, სიტყვათა კატეგორიზაციას (რიგებად), თემატური კლასების გამოყოფას, კაუზაციის აღნიშვნას, ღირებულებითი და დერივაციული მახასიათებლების აღნიშვნას და ა. შ.

### **ლექსიკური ანოტირება**

თითოეული სიტყვისათვის ლემის რაობის განსაზღვრა ტექსტში - ე.ი. სიტყვის ფუძე, რომელიც შეიძლება იყოს სალექსიკონო სტატიის სასათაურო სიტყვა (მაგ: *lying* -ის ლემა არის LIE).

ლემატიზება წარმოადგენს ფორმების ლემებად დაჯგუფებას, რომელიც ზოგიერთ ენებში შეიძლება ავტომატურად განხორციელდეს. ეს მნიშვნელოვანია ფლექსიური ენებისათვის, მაგრამ ნაკლებად მნიშვნელოვანია საკუთრივ ინგლისური ენისათვის, სწორედ ამიტომ ძალიან მცირე რაოდენობა ინგლისური ენის კორპუსებისა არის ლემატიზებული.

სემანტიკური დაშლა ან სიტყვის მნიშვნელობების ტეგირება ასახავს სიტყვის მნიშვნელობებს. ეს უკანასკნელი ტიპიურად ეყრდნობა გარე წყაროებს, ლექსიკონებს ან ლექსიკურ ბაზას და სიტყვის მნიშვნელობების გამიჯვნა შესაძლებელია როგორც ავტომატურად, ასევე ადამინის უშუალო მონაწილეობით. მაშასადამე, საჭიროებს ადამიანის ბაზისურ ცოდნას და მის უშუალო ჩართულობას ამ კატეგორიებისა და ტეგირების შექმნის პროცესში.

## **1.5 ლექსიკონის მომხმარებლების კვლევები**

### **1.5.1 მეთოდები**

ჩატარებული კვლევების უმრავლესობა დაკავშირებულია ინგლისურენოვანი ლექსიკონების გამოყენებასთან და მოიცავს, როგორც ერთენოვან, ორენოვან, ასევე მრავალენოვან ლექსიკონებს. კვლევის პროცესში ჩართულნი იყვნენ,

როგორც ბავშვები ასევე მოზრდილები, სტუდენტები (სხვადასხვა ენობრივი დონით), სპეციალისტები, კერძოდ მასწავლებლები და თარჯიმნები. კვლევების უმეტესობა შესრულებულია უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლების მიერ. ლექსიკონების გამოყენების კვლევა, რიგ შემთხვევაში, ტარდებოდა კითხვარების საშუალებით. ასეთი გამოკვლევის დადებითი მხარე კარგადაა ცნობილი: მკვლევარს შეუძლია გამოიკვლიოს დიდი რაოდენობის ცდისპირი და შეუძლია ჩანაწერის სახით შეინახოს ეს კვლევა, რომელსაც შემდგომ გაანალიზებს და, საბოლოოდ, სტატისტიკური მაჩვენებლებით წარმოადგენს კვლევის შედეგებს. ეს მეთოდი მოგვიანებით გააკრიტიკეს, რადგან ასეთი კითხვა-პასუხის მეთოდი ხშირად არაეფექტურია, ვინაიდან იგი არ იძლევა ცდისპირთა მოქმედებაზე უშუალო დაკვირვების საშუალებას.

ჰათეროლის (Hatherall 1984) აზრით, ვინაიდან ლექსიკონი არის რთული ნაწარმოები, რომელშიც ჩართულია მომხმარებლის ქმედება, აქ ძალიან სასარგებლოა დიალექტოლოგიისა და სოციო-ლინგვისტიკის მიერ ჩატარებული გამოკითხვების გამოცდილების გაზიარება, რაც აუცილებლად გულისხმობს პირდაპირ დაკვირვებას ცდისპირზე, როდესაც ის ასრულებს ამა თუ იმ დავალებას.

ლექსიკონის მომხმარებლის კვლევის კიდევ ერთი საშუალება ე.წ. “ზმამაღალი-ფიქრის” მეთოდია, რომელიც კარგად აღწერა ვინგეიტმა (Wingate 2002) 2002 წელს. აღნიშნული მეთოდის დროს ცდისპირს სთხოვენ აღწეროს, ანუ სიტყვებით გადმოსცეს თავისი ქმედება დავალების შესრულებისას. ამ შემთხვევაში მკვლევარს საშუალება აქვს ერთდროულად გაანალიზოს რეალურად რას ფიქრობს და რას აკეთებს ცდისპირი. ორივე ამ მეთოდის ნაკლოვანება ცდაში მონაწილეთა შეზღუდული რაოდენობაა. გვიანდელი პერიოდის კვლევებში შეინიშნება ერთდროულად რამდენიმე მეთოდის გამოყენება. ბოლო ხანებში ინტერნეტი ფართოდ გამოიყენება ინფორმაციის მოსაგროვებლად, მაგალითად, ეს მეთოდი გამოიყენა მაკმილანმა MEDAL2-ის (Modern English Dictionary for Advanced Learners) გამოცემისთვის.

### 1.5.2 კვლევა ინფორმაციის მოძიების საჭიროებაზე ანუ რას ეძებს მომხმარებელი

კვლევა, ინფორმაციის მოძიების საჭიროებაზე, ცდილობს პასუხი გასცეს მარტივ შეკითხვას: თუ რას ეძებს მომხმარებელი ლექსიკონში, რა სახის ინფორმაციას?! ჩვენთვის მნიშვნელოვანია დავადგინოთ მომხმარებლის ტიპი, ლექსიკონის ტიპი, მისი ფუნქცია და მისი გამოყენების სიხშირე.

ლინგვისტიკისთვის ლექსიკონი არის ენის ლექსიკის ჩანაწერი, გამომცემლისთვის - კრებული - ყველა კითხვაზე პასუხის გასაცემად. პოლიტიკოსისთვის და ადვოკატისთვის ის არის წიგნი სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად და დავის მოსაგვარებლად. მასწავლებლისთვის არის სახელმძღვანელო შესატყვისი ლინგვისტური გამოყენებისთვის. ჟურნალისტისთვის ის იარაღია აშკარა და დამარწმუნებელი ფაქტების გადმოსაცემად. მშობლისთვის ის ცოდნის წყაროა, ყოველგვარი არგუმენტაციის მოსაყვანად, ხოლო ბებიებისთვის - არაჩვეულებრივი დამხმარე, კროსვორდების შესავსებად. თინეიჯერებისთვის ის საშინაო დავალების შესრულების საუკეთესო საშუალებაა.

### 1.5.3 ლექსიკონის გამოყენების სიხშირე

ლექსიკონის ხარისხზე ხშირად მისი გაყიდვების სიხშირით მსჯელობენ, რაც მტწილად მცდარია. მომხმარებელი შეიძენს იმ ლექსიკონს, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომია. იშვიათად ფიქრობს ის, თუ რამდენად ეფექტური და მიზანშეწონილია ის მისთვის. ლექსიკონს ძალიან ხშირად მიმართავენ. მას იყენებენ მშობლიური ან უცხო ენის შესწავლის მიზნით; ბევრისთვის იგი განძია, სიამაყის საგანი, ეროვნული იდენტობის სიმბოლო; ზოგი მას ბიბლიის ანალოგად აღიქვამს, რადგანაც ბიბლია ღმერთის სიტყვაა, ხოლო ლექსიკონი - სიტყვების კრებული. ლექსიკონი აღიქმება ცოდნის დედად, რომელშიც ყველა სიტყვაა თავმოყრილი და ყველა კითხვაზე შესაძლებელია პასუხის მიღება.

ლექსიკონი უკვდავია, მაგრამ, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ენის დინამიკურობა. იგი ხომ მუდმივად იცვლება მასზე მოლაპარაკე საზოგადოების ცვლილების კვალდაკვალ.

### 1.5.4 კვლევების ძირითადი მიმართულებები

თანამედროვე საზოგადოება უფრო რეალისტური და პრაგმატულია, შესაბამისად უფრო მომთხოვნია ლექსიკონების მიმართ. ამის გაცნობიერება მეტად მნიშვნელოვანია ლექსიკონების შემქმნელებისა და გამომცემლებისათვის, რადგანაც ხელს უწყობს ლექსიკონების სრულყოფასა და დახვეწას.

ჩვენ მიერ ქვემოთ მოყვანილი კვლევები კარგად ასახავს ლექსიკონის ფუნქციას უცხო ენის, კერძოდ, ინგლისური ენის შესწავლისას. ვითარების უკეთ გასარკვევად და ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად, მონაცემების ზედმიწევნით გაანალიზებაა საჭირო.

ბარნჰარტის (Barnhart 1962) კვლევა იყო პირველი, რომელიც 1962 წელს ჩატარდა. მან დააგზავნა თავისი კითხვარი 108 მასწავლებელთან 98 უმაღლეს სასწავლებელში ამერიკის 27 შტატში. გამოიკითხა 56000 პირველკურსელი, რომელთა მშობლიური ენა ინგლისურია. გამოკითხვამ გამოავლინა, რომ კოლეჯში პირველკურსელები ლექსიკონს უფრო ხშირად სიტყვის მნიშვნელობის გასაგებად იყენებდნენ, ვიდრე სწორი მართლწერისთვის. სწორი წარმოთქმა არის მესამე ადგილზე, მას მოჰყვება სინონიმები, საილუსტრაციო მასალა, ხოლო ეტიმოლოგიით დაინტერესება ბოლო ადგილზე აღმოჩნდა.

კვერკმა (Quirk 1973) გამოკითხა უნივერსტეტის 220 ბრიტანელი სტუდენტი. მათ განაცხადეს, რომ ისინი იყენებდნენ განმარტებით ლექსიკონებს ნებისმიერი მნიშვნელობის გასაგებად, იშვიათად მართლწერისთვის, ზოგ შემთხვევებში კი ეტიმოლოგიური მიზნისთვის. სტუდენტებმა განაცხადეს, რომ ისინი

შემდეგისთვის იყენებდნენ ლექსიკონებს: მნიშვნელობის გასაგებად - 37%, მართლწერისთვის - 26%, თამაშებისთვის - 17%.

გრინბაუმმა (Greenbaum 1984), რომელმაც 1964 წელს კვერკის კვლევა გაიმეორა აშშ-ში 240 ამერიკელ სტუდენტზე, დაადგინა, რომ ამერიკელი სტუდენტები უფრო ხშირად მიმართავდნენ ლექსიკონებს, ვიდრე ბრიტანელები. შესაბამისად, ისინი იყენებდნენ ერთზე მეტ ლექსიკონს, უფრო ხშირად კი, მართლწერისთვის.

ტომასჩუკი (Tomaszczyk 1979) იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც გამოიკვლია ლექსიკონების საჭიროება ინგლისური ენის უცხოელი შემსწავლელებისათვის. მან თავისი კვლევა პოლონეთსა და ამერიკაში, უნივერსიტეტის უცხოენოვან სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ჩაატარა. საზოგადოება მთლიანობაში შედგებოდა 16 განსხვავებული ენის ჯგუფის 449 ინდივიდით. ცდისპირები ორენოვან და ერთენოვან ლექსიკონებს იყენებდნენ: მნიშვნელობის გასაგებად (85%), სინონიმებისთვის (74%), მართლწერისთვის (72%), წარმოთქმისთვის (65%), გრამატიკულად სწორი ფორმისთვის (59%) და ეტიმოლოგიური კუთხით (19%). ცდისპირები იყენებდნენ ორენოვან ლექსიკონებს თარგმანის მიზნით, მიუხედავად მათი უცხო ენის ფლობის დონისა, თუმცა უცხო ენის ფლობის უფრო მაღალი დონის მქონე ინდივიდები იყენებდნენ ერთენოვან ლექსიკონებს ამ მიზნისთვის.

ბეჟუნმა (Bejoint 1987) ლექსიკონების გამოყენება ინგლისური ენის შემსწავლელი 122 ფრანგი სტუდენტის მაგალითზე გამოიკვლია. აღნიშნული ჯგუფი ძირითადად იყენებდა ერთენოვან ლექსიკონებს, რომლებიც რეკომენდებული იყო მათი პედაგოგების მიერ. სინამდვილეში მათ სხვა ლექსიკონზე ინფორმაცია არ ჰქონდათ. ცდისპირები ზოგადად არ იყენებდნენ სრულად იმ ინფორმაციას, რომელსაც ლექსიკონი შეიცავდა, ვინაიდან ბევრი მათგანი არ იყო ინფორმირებული ამის შესახებ. ლექსიკონები გამოიყენებოდა თარგმნის დროს ინგლისურიდან ფრანგულზე (86%), წასაკითხად (60%) და ფრანგულიდან ინგლისურზე სათარგმნელად (58%). ლექსიკური ერთეულები,

რომელთაც ყველაზე ხშირად მოიძიებდნენ, იყო იდიომები (68%), ენციკლოპედიური სიტყვები (55%), კულტურულ-სპეციფიკური სიტყვები (53%), აბრევიატურები (შემოკლებები) (49%) და სლენგური სიტყვები (40%). საპირისპიროდ 66% არასოდეს ეძებდა ზოგად სიტყვებს და 47% არასდროს ეძებდა ფუნქციურ სიტყვებს და 45% არასდროს ეძებდა ტაბუდადებულ სიტყვებს. შესაძლოა, სტუდენტებს არ უნდოდათ აღიარება მასწავლებლებთან, რომ ასეთი სახის სიტყვებით ინტერესდებოდნენ. მომხმარებლები ლექსიკონებში უჩიოდნენ ტექნიკური და სამეცნიერო ტერმინოლოგიის, სლენგების ნაკლებობას, რომელიც შესაძლოა დასჭირვებოდათ თანამედროვე ლიტერატურის წასაკითხად. მათი აზრით, სიტყვა-სტატიები იყო საკმაოდ გრძელი, რთული და ძნელად გასაგები.

ბრიტანეთში ლონგმენის გამომცემლობის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ლექსიკონის გამოყენებაზე ცხადყო, რომ ძირითადად ლექსიკონს მიმართავენ არა ზოგადი, არამედ რთულად აღსაქმელი სიტყვებისთვის, როგორებიცაა ახალი, თანამედროვე, იშვიათი, ან მოძველებული სიტყვები. ლექსიკონი, ლონგმენის კვლევის მიხედვით, გამოყენებულია უფრო მეტად სიტყვის მნიშვნელობის გამოცნობასთან დაკავშირებულ საოჯახო თამაშებში, ვიდრე სკოლის დავალებისთვის ან ინდივიდუალური ინტერესისთვის.

იტალიელმა მკვლევარმა ბარეჯიმ (Bareggi 1989) აღმოაჩინა, რომ ინგლისური ენის შემსწავლელი იტალიელი სტუდენტები ლექსიკონებში ეძებენ არა მხოლოდ მნიშვნელობასა და მართლწერას, არამედ საილუსტრაციო მასალასა და შესიტყვებებს.

სიუ ატკინს (Atkins 1997-1998), რომელიც იყო აღნიშნული საკითხების ერთ-ერთი ფართომამტაბიანი მკვლევარი, დასჭირდა რამდენიმე წელი, რათა ჩატარებინა უდიდესი კვლევა ლექსიკონის მოხმარებაზე 1100 სტუდენტთან ევროპის 7 ქვეყანაში, რომლებიც 4 სხვადასხვა ენის მატარებელნი იყვნენ. შედეგმა უჩვენა, რომ ნახევარზე მეტი ცდისპირი იყენებდა სულ ცოტა ერთ ლექსიკონს და 60 % არ ჰქონდა ცოდნა, თუ როგორ უნდა გამოეყენებინა



ლექსიკონი სწორად. ატკინსის კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ ორენოვანი ლექსიკონები უფრო ხშირად გამოიყენებოდა, ვიდრე ერთენოვანი.

### 1.5.4.1 ლექსიკონები სიტყვების მნიშვნელობისთვის და მართლწერისთვის

ლექსიკონის მომხმარებლების კვლევამ შემდეგი შედეგები აჩვენა: 1. ერთენოვანი ლექსიკონები გამოიყენება მნიშვნელობის დასადგენად და შემდეგ მართლწერისთვის. 2. ერთენოვანი ლექსიკონები ხშირად გამოიყენება საოჯახო თამაშებში სიტყვის მნიშვნელობის გამოსაცნობად. 3. ხშირად ხმარებული და განსაკუთრებით ფუნქციური სიტყვები იშვიათად მოიძიება უცხოელი სტუდენტების მიერაც კი. 4. კოდირებული ინფორმაცია ერთენოვან ლექსიკონში ხშირად არ გამოიყენება. ამისათვის უცხოელი სტუდენტები ამჯობინებენ გამოიყენონ ორენოვანი ლექსიკონები. შედეგად, ინგლისური ენის უცხოელი შემსწავლელები სასწავლო ლექსიკონებს უფრო ეფექტურად არ მიიჩნევენ. 5. ლექსიკონის გამოყენების მეთოდი იშვიათად არის შესწავლილი. 6. ცდისპირებს არ აქვთ გათვითცნობიერებული როგორი ტიპის ლექსიკონები უნდა გამოიყენონ.

### 1.5.4.2 კვლევები ლექსიკონების გამოყენების პროცესზე

#### მოძიების პროცესი

ლექსიკონის გამოყენების, ანუ სიტყვა-სტატიის ძიების პროცესში იბადება შემდეგი შეკითხვები: რა ხდება, როცა მომხმარებელი მიმართავს ლექსიკონს? როგორ ეძებს მომხმარებელი საჭირო ინფორმაციას მიკრო და მაკრო სტრუქტურაში? არის თუ არა რამე განსაკუთრებული ლექსიკონის დიზაინში ან შინაარსში, რაც აფერხებს, აბნევს ან პირიქით, ეხმარება მკითხველს ძიების პროცესში? როგორ ახდენს მომხმარებელი მოპოვებული ინფორმაციის

ინტერპრეტაციას? მთელ სიტყვა-სტატიას კითხულობს თუ მხოლოდ ნაწილს? იცის მომხმარებელმა ლექსიკონის სწორი გამოყენება და საჭირო არის თუ არა, ლექსიკონების წარმატებული გამოყენებისთვის სათანადო უნარ-ჩვევების განვითარება? ეს არის განსაკუთრებულად რთული კვლევა, რადგან ის დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, როგორცაა: თუ რა სახის ინფორმაციას ეძებენ, სწორი ლექსიკონის შერჩევა, მომხმარებელი, გარემოება და ა.შ.

ლექსიკონში ინფორმაციის მოძიებისას საჭიროა შემდეგი საკითხების გათვალისწინება: - საჭირო ტიპის ლექსიკონის შერჩევა; - სიტყვის ანბანური რიგით ძიება; - სათანადო მეტყველების ნაწილის შერჩევა; - პოლისემიური სიტყვის შემთხვევაში სწორი კონტექსტუალური მნიშვნელობის შერჩევა; - კონტექსტისათვის სწორი თარგმანის შერჩევა.

მიჩელმა (Mitchell 1983) 1983 წელს 94 სკოლის მოსწავლეზე ჩაატარა დაკვირვება. მან აღმოაჩინა, რომ ტექსტებზე მუშაობისას ისინი იყენებდნენ ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონებს. კვლევამ ცხადყო, რომ მოსწავლეები არ კითხულობდნენ ლექსიკონში მოყვანილ კონტექსტებს, ვერ იგებდნენ რომელი მეტყველების ნაწილი იყო ესა თუ ის სიტყვა, წარმოდგენა არ ჰქონდათ ომონიმიაზე, ამიტომ ვერ ირჩევდნენ და შესაბამისად ვერ თარგმნიდნენ სიტყვას. ამავდროულად, ძალიან ცოტა დროს ხარჯავდნენ სიტყვის მოსაძიებლად და მიღებული პასუხიც არასწორი იყო.

ტონომ (Tono 1984) შეამჩნია, რომ მისი 402 იაპონელი სტუდენტი მხოლოდ მაშინ წყვეტდა კითხვას, როცა საკვანძო სიტყვას აწყდებოდა და თანაც მხოლოდ მოკლე დეფინიციას ნახულობდა. ისინი თავს არიდებდნენ გრძელ განმარტებებს და მეტიც, ლექსიკონში შემოთავაზებულ პირველივე სიტყვას ირჩევდნენ.

რანდელმა (Rundell, 1999) კი 1999 წელს კვლევების შედეგად დაადგინა, რომ ნაკლებად გამოცდილი მომხმარებლები მიმართავდნენ ძირითადად სიტყვა-სტატიის პირველივე განმარტებას. მან ასევე აღმოაჩინა, რომ ინგლისური ენის სპეციალისტები უკეთესად იყენებდნენ ლექსიკონს, ვიდრე არა-სპეციალისტები. ისინი, ვისაც ასწავლეს ლექსიკონის გამოყენება, უკეთეს შედეგებს აჩვენებდნენ,

ვიდრე ისინი, ვისაც ეს უნარები არ გამოუმუშავეს. ეს შედეგები მოგვიანებით კიდევ ერთხელ დამტკიცდა 2001 წელს, ხოლო კიპფერმა (Kipfer 1985) 1985 წელს იგივე ექსპერიმენტი გაიმეორა ამერიკელ სტუდენტებზე და იგივე შედეგი მიიღო.

ერთ-ერთმა კვლევამ, რომელიც ფრანგ სტუდენტებზე ჩატარდა, აჩვენა, რომ ფრანგი სტუდენტები სიტყვა-სტატიიდან ირჩევდნენ იმ განმარტებებს, რომლებიც მათთვის გასაგები იყო და არა იმას, რომელიც შესაფერისი კონტექსტიდან გამომდინარე სჭირდებოდათ.

### **დასკვნები: გამოიყენება თუ არა ლექსიკონები კომპეტენტურად ?**

მიზეზი იმისა, რომ სათანადო ინფორმაციას ლექსიკონებში მომხმარებელი ვერ პოულობს არის ის, რომ:

1. ინფორმაცია არ მოიპოვება ლექსიკონში;
2. მომხმარებელი ვერ პოულობს ინფორმაციას იმიტომ, რომ არ ფლობს ლექსიკონის გამოყენების ტექნიკას;
3. მომხმარებელი არასწორად ახდენს სიტყვა-სტატიის ინტერპრეტაციას;
4. ინფორმაცია ან ძალზე მწირია, ან ზედმეტად დეტალიზებული.

კვლევებმა აჩვენა, რომ მომხმარებლები ცდილობენ სიტყვა-სტატიის მინიმალურად წაკითხვას. ბევრი მომხმარებლისთვის დეფინიცია საკმაოდ რთულია საკუთარ, მშობლიურ ენაზეც კი. საბოლოოდ, ლექსიკონს კომპეტენტურად გაწაფული მომხმარებელი იყენებს.

## 1.5.4.3 სხვა კვლევები

ცალკეული კვლევები ჩატარდა იმის დასადგენად, რამდენად ეფექტურია ლექსიკონი სიტყვის მნიშვნელობის გაგებისათვის, გამოთქმისათვის.

ზოგიერთმა მკვლევარმა შეადარა, თუ როგორ აღიქვამდა მკითხველი ერთსა და იმავე ტექსტს ლექსიკონით და მის გარეშე. მთელი რიგი კვლევები ჩატარდა იმის დასადგენად, რომელი ლექსიკონია ყველაზე ეფექტური უცხო ენების შესწავლისას: ერთენოვანი, ორენოვანი, თუ Bilingualized (ერთენოვანს + ორენოვანი).

ადრეულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ენის შემსწავლელები უპირატესობას ანიჭებენ ორენოვანი ლექსიკონის გამოყენებას, როცა მათ სურთ სიტყვის მნიშვნელობის მოძიება. ამ შემთხვევისთვის ისინი არ გამოიყენებენ ერთენოვან ლექსიკონს, თუ არ ჩავთვლით გაწაფული სტუდენტების მცირე რაოდენობას.

ბლეკის (Black 1985) კვლევა არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ ის არის აღწერილი მეინგის და რანდელის (Maingay and Rundell 1987 : 132-133), სამერის (Summer 1988 : 118-23) ნამუშევრებში. შედარებულია სიტყვა-სტატიის ეფექტურობა წინადადებების წარმოებისთვის დეფინიციის, მაგალითის, ან მათი ერთობლიობის შემთხვევაში. დასკვნაში ნაჩვენებია, რომ ამ სამიდან ყველაზე ეფექტური დეფინიციისა და მაგალითის ერთობლიობაა. ბოგარდსმა (Bogaards 1996) განიხილა ინფორმაციის ვარგისიანობა 4 მთავარ სასწავლო ლექსიკონში: ALD<sub>5</sub>, LDOCE<sub>3</sub>, COB<sub>2</sub> და CIDE. მან დაასკვნა, რომ ყველა ლექსიკონი კარგი იყო, მაგრამ COB<sub>2</sub> უკეთესი გახლდათ.

ნესიმ (Nesi 1996 : 201) შეისწავლა რა LDOCE<sub>3</sub>-ის ეფექტურობა საილუსტრაციო ფრაზებითა და წინადადებებით და მათ გარეშე, მივიდა დასკვნამდე, რომ სტატისტიკურად ცდისპირებს არ ჰქონდათ უკეთესი შედეგები, როდესაც სიტყვა-სტატია ასეთ ფრაზებსა და წინადადებებს შეიცავდა. ეს იყო ერთობ დიდი მოულოდნელობა, რომელიც მოგვიანებით ნესიმ მომდევნო ექსპერიმენტით კვლავ დაამტკიცა.

ჰარვი და იუილი (Harvey and Yuill 1997 : 253-78) დააკვირდნენ, რომ ცდისპირები იყენებდნენ არა დამატებით ინფორმაციას COB<sub>2</sub>-ში, არამედ - საილუსტრაციო წინადადებებსა და განმარტებებს, როდესაც სჭირდებოდათ სიტყვების სწორ კონტექსტში ჩასმა.

ბოგარდსმა და ვან დერ კლოოტმა ( Bogaards&Van Der Kloot 2001) დაასკვნეს, რომ ჰოლანდიელი სტუდენტებისთვის რთული იყო რომელიმე მეთოდის გამოყენება გრამატიკული ცნობების (ფსევდოკოდი, უფრო გამჭირვალე კოდი, ცხადი ცნობები, ცნობები განმარტებაში) ეფექტურობის დასადგენად. მათ აღნიშნეს, რომ ტრადიციული გრამატიკული კოდები სიტყვათა კლასის გაგებით ძალზე იშვიათად გამოიყენება მოწინავე სტუდენტთა შორისაც კი. იმპლიციტური (არაცხადი) ცნობები, რომლებიც მოცემულია Cobuild-ში, საერთოდ არაა გამოყენებული. მომხმარებელი მხოლოდ მაგალითებსა და განმარტებებს იყენებს.

#### 1.5.4.4 კვლევები ლექსიკონის ტიპების ეფექტურობაზე

ლექსიკონის მრავალი სახეობა არსებობს, მაგრამ უცხო ენების სწავლების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამი ტიპის ლექსიკონის ეფექტურობის გამოვლენა, ესენია: **MD (monolingual)**, **BD (bilingual)** და **BLD (bilingualized)**. **MD** - ეს არის ერთენოვანი ლექსიკონი; **BD** - ორენოვანი ლექსიკონი და **BLD = MD+BD**, ანუ ერთენოვანი და ორენოვანი ლექსიკონების კომბინაცია, ერთენოვანი ლექსიკონი ეკვივალენტებით მეორე ენაზე.

ლექსიკონი შეიძლება იყოს ელექტრონული და ნაბეჭდი. აქაც მომხმარებლის ხელმისაწვდომობა და კომფორტია გასათვალისწინებელი. მკვლევრებმა უნდა შემოგვთავაზონ ახალი ტიპის ლექსიკონების სტრუქტურები: განმარტებების, დეფინიციების გარეშე; მხოლოდ კორპუსით; სრული ახსნა-განმარტებით;

ინფორმაციული და ილუსტრირებული ჩართვებით; გრამატიკული განმარტებებით; პოლისემიური მნიშვნელობებით და სხვა.

ლექსიკოგრაფებმა უნდა გაითვალისწინონ მომხმარებლის ასაკი, მიზანი და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შევარჩიონ შესაფერისი ლექსიკონი. ამ მოსაზრებების განსამტკიცებლად საკმარისია მილერის და გილდეას (Miller&Gildea 1987 : 97) ექსპერიმენტი, რომელიც მათ პატარა ამერიკელ ბავშვებში ჩაატარეს ლექსიკონის გამოყენების შესასწავლად. მონაწილეებს მისცეს მათთვის უცნობი სიტყვები განმარტებებით და სთხოვეს ამ სიტყვათა გამოყენებით შეედგინათ წინადადებები. ექსპერიმენტმა ამ ლინგვისტთა არაკომპეტენტურობა გამოავლინა, რადგანაც ლექსიკონი, რომელიც ბავშვებს დაურიგეს, გათვლილი იყო მოზრდილთათვის და არა ბავშვებისთვის.

განმარტებებში იყო ისეთი რთული სიტყვები, როგორებიცაა **celibate** (არაოჯახურ მდგომარეობაში მყოფი), **austere** (ასკეტი), **disown** (უარყოფა), **doctrine** (დოქტრინა, თეორიული შეხედულებანი), **acknowledge** (აღიარება, აღქმა), რომელთა მნიშვნელობაც ბავშვებისათვის აბსოლუტურად გაუგებარი იყო.

ეს განმარტებები ნაცნობი რომ ყოფილიყო ბავშვებისათვის, ისინი არ დაუშვებდნენ ბევრ შეცდომას ექსპერიმენტში.

ზოგადად პრობლემა ჩნდება ან არარელევანტური ინფორმაციის, ან მომხმარებლის მხრიდან ლექსიკონის არასწორი გამოყენების, ან უბრალოდ გაუნათლებლობის გამო, რაც კიდევ უფრო ნათელყოფს ფაქტს, რომ საჭიროა ავუხსნათ ახალგაზრდებს ლექსიკონის არსი, მისი სწორი მოხმარება და მეთოდოლოგია.

ლექსიკონების სხვადასხვა ტიპების ეფექტიანობასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო კვლევა ჩატარდა, რომელთა შორის განსაკუთრებით საინტერესოა ლაუფერისა და ჰადარის მიერ (Laufer & Hadar 1997) 1997 წელს ისრაელში ჩატარებული ექსპერიმენტი, რომელიც, 2011 წელს იუჟენ ჩენმა გაიმეორა

ჩინეთში (Yuzhen Chen). ამ კვლევების შესახებ დეტალურად მე-3 თავში ვისაუბრებთ, რადგან ჩვენ მიერ დაგეგმილი და ჩატარებული ექსპერიმენტი, როგორც ზემოთ აღინიშნა, სწორედ ამ ორი კვლევის მოდიფიცირებული ვერსიაა.

### 1.6 ლექსიკონის მნიშვნელობა კითხვის პროცესში

ქვემოგანხილული კვლევა ჩატარდა 2008 წელს ინგლისური ენის შემსწავლელ იაპონელ სტუდენტებზე, რომლის მიზანიც იყო განსაზღვრა იმ პრინციპების და სიხშირისა, რომლითაც ცდისპირები მიმართავდნენ ლექსიკონს კითხვის პროცესში. შედეგებმა ცხადყო, რომ მაღალი დონის ენის ცოდნის სტუდენტები ლექსიკონის შერჩევით მეთოდს მიმართავდნენ მაშინ, როდესაც ცდისპირთა მესამედი მეტისმეტი სიხშირით იყენებდა მას. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლექსიკონში მოძიებული სიტყვების მეოთხედი საერთოდ არ აღმოჩნდა არსებითი და სასარგებლო კითხვისას. შესაძლოა, ეს ლექსიკონის შერჩევითი მეთოდის უნარ-ჩვევების ნაკლებობამ განაპირობა. მეცნიერთა ნაწილი, რომელთაც ლექსიკონის ცოდნა უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, უპირატესად გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდს მიიჩნევენ (Laufer, Hulstijn, Zhang). თუმცა, არიან თანამედროვე მეთოდების მომხრენი (Grabe & Stoller, Knight, Bensoussan, Sim, Weiss), რომლებიც ლექსიკონის გამოყენებას კითხვის პროცესში არ თვლიან საჭიროდ და სიტყვის მნიშვნელობის გაგებას კონტექსტიდან გამომდინარე მიიჩნევენ მართებულიად. ამ პერიოდში ჩატარებული კვლევების უმეტესობა კითხვისას ლექსიკონის გამოყენების აუცილებლობის საკითხს დაეთმო. შედეგებიც მრავალფეროვანი აღმოჩნდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელთა უმრავლესობა კარგ შედეგს ლექსიკონის გამოყენებისას იღებდა.

## მეთოდოლოგია

შეარჩიეს 34 მდედრობითი სქესის იაპონელი სტუდენტი და მისცეს სხვადასხვა ჟანრის 3 ტექსტი. ცდისპირებს ხელთ ჰქონდათ ონლაინ-ორენოვანი ლექსიკონი და სიტყვები, რომლებიც მათ ლექსიკონით მოიძიეს, საბოლოოდ ტესტი გაანალიზებული იყო სიხშირისა და ტექსტის მთავარ აზრთან შესაბამისობის მიხედვით.

## ცდისპირები

შეირჩა ინგლისური ენის ფაკულტეტის 17 პირველკურსელი და 17 მეორეკურსელი ინგლისური ენის მაღალი დონის ცოდნით. კვლევის მიზანი იყო ტექსტის გააზრება და ლექსიკის კონტექსტიდან მიხვედრა.

## მასალა

შერჩეული 3 ტექსტიდან ერთი იყო მოკლე ტექსტი ახალი ამბებიდან (382 სიტყვიანი), მეორე იყო პარაგრაფი წიგნიდან (420 სიტყვიანი) და მესამე - უფრო მოზრდილი ტექსტი თემატური სტატიიდან (1120 სიტყვიანი). პირველი ტექსტი მოგვითხრობდა ქარხნის მუშაზე, რომელიც ჩავარდა შოკოლადის კასრში; ამონარიდი იყო წიგნიდან ქალთა ჩართულობაზე პოლიტიკაში, როგორც გაეროს ათასწლეულის მიზანი; მესამე ტექსტი კი - მოგვითხრობდა იაპონელთა განსხვავებულ შეხედულებაზე გარემოსა და გლობალურ დათბობაზე. სამივე ტექსტი შეირჩა როგორც გასართობი საკითხავი შემსწავლელთათვის. სამივე ტექსტი სტრუქტურულად განსხვავდებოდა. პირველ ტექსტში მთავარი აზრი ადვილად გასაგები იყო სათაურსა და პირველივე რამოდენიმე აბზაცში. წიგნიდან მოყვანილი ნაწყვეტი შედგებოდა 5 კარგად თანწყობილი აბზაცისგან, თავისი დებულებებითა და თემატური წინადადებებით, რომელშიც მთავარი აზრი იკითხებოდა. სტატია კი იწყებოდა იმ აზრით, რომელიც მკითხველის მისაზიდად იყო განზრახული. შემდგომ ვითარდებოდა სიუჟეტი, რომელიც ერთმანეთზე გადაჯაჭვულ მთავარ აზრს, დეტალებსა და მაგალითებს შეიცავდა.



მაშასადამე, ცდისპირს ზუსტად მესამე ტექსტის კითხვისას უნდა გამოეყენებინა ლექსიკონი.

### პროცედურა

შემოწმებამდე ცდისპირებს წინასწარ ჩამოურიგეს საექსპერიმენტო ტექსტში არსებული სიტყვათა ნუსხა, რათა გაეგოთ იცოდნენ თუ არა საცდელი სიტყვები. სიტყვების რაოდენობა ზედმეტად ბევრი აღმოჩნდა და ამიტომ სტუდენტთა ცოდნის საფუძვლიანი შესწავლა ვერ მოხერხდა. შემოწმების დღეს ცდისპირებს 3 უცხო ტექსტთან ერთად მისცეს საშუალება გამოეყენებინათ ონლაინ-ორენოვანი ინგლისურ-იაპონური ლექსიკონი. ეს ლექსიკონი შეიცავდა ინგლისური სიტყვის თარგმანს იაპონურად, ხოლო საილუსტრაციო წინადადებები ინგლისურად იყო მოცემული. ცდისპირებს მისცეს 1 საათი და 15 წუთი ტექსტების გასაგებად და რამდენიმე წინადადების შესაჯამებლად. მათ ამ კონკრეტული შემთხვევისათვის არც კითხვებზე პასუხის გაცემა უწევდათ და არც თარგმნითი დავალების შესრულება. ექსპერიმენტის მიზანი იყო დაედგინათ ცდისპირთა მიერ ტექსტების გაგებისა და მათი გადმოცემის უნარი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ცდისპირთა ტექსტის შესრულების შედეგი ექსპერიმენტის მსვლელობისას მათ მიერ განცდილ ემოციებს თითქმის არასოდეს ესადაგება, აღარაა გასაკვირი, რომ ამ შემთხვევაშიც ვერ მოხერხდა ტექსტის გააზრების სისწორის დადგენა. სამაგიეროდ, მკვლევრებმა შექმნეს ისეთი პროგრამული მოდელი, რომელიც უკარნახებდა მათ თუ რომელ სიტყვებს მიმართეს ყველაზე მეტად ცდისპირებმა ტექსტზე მუშაობისას.

### ანალიზი

იმის გასაგებად, თუ რამდენად მიმართავდნენ არჩევით მეთოდს ცდისპირები, მეცნიერებმა საკვლევო კითხვები შემდეგნაირად ჩამოაყალიბეს:

1. მიმართავდნენ თუ არა ცდისპირები ლექსიკონს საკმარისი რაოდენობის სიტყვების მოსაძიებლად?
2. გაუადვილა თუ არა ამ პროცესმა ცდისპირებს ტექსტის გაგება?

3. იყენებდნენ თუ არა ცდისპირები სხვა სალექსიკონო სტრატეგიებს?
4. ცდისპირები მიმართავდნენ მაღალი სიხშირის სიტყვებს, თუ იშვიათ, ტექნიკური ტერმინოლოგიის სიტყვებს?
5. ცდისპირები მიმართავდნენ იმ საკვანძო სიტყვებს, რომლებიც ესადაგებოდა ტექსტის მთავარ, თუ იმ ნაწილს, რომელიც უფრო მეტად დეტალებს ეხებოდა?

### შედეგები

წინასწარი შემოწმების შედეგების განხილვისას აღმოჩნდა, რომ ცდისპირების უმეტესობამ არ იცოდა მთელ ტექსტში მოცემული სიტყვების მხოლოდ 4%. მაშასადამე, მათ ლექსიკონის მინიმალურად გამოყენება, ან საერთოდ უგულებელყოფა მოუწევდათ. ეს იქნებოდა კარგი მაჩვენებელი ლექსიკონის შერჩევითი მეთოდის შემთხვევაში. ცდისპირები, რომლებიც ინგლისურ ენას დაბალ დონეზე ფლობდნენ, ხშირად გამოიყენებდნენ ლექსიკონებს ტექსტის მთავარი აზრის გასაგებად. კვლევიდან კარგად გამოჩნდა, რომ მართალია უმეტესობა მიმართავდა ლექსიკონს, თუმც მათ სხვა სტრატეგიებიც გამოიყენეს, როგორებიცაა უცნობი სიტყვების იგნორირება, სიტყვის მნიშვნელობის კონტექსტიდან მიხედვით. ასევე, დაფიქსირდა ის ფაქტიც, რომ მოძიებული სიტყვების ნახევრი (53%) იშვიათად გამოყენებული სიტყვები იყო, და მიუხედავად იმისა, რომ ცდისპირებისათვის მაღალი სიხშირის სიტყვების უმრავლესობა ნაცნობი იყო, როგორც მათ აღნიშნეს ტექსტის დაწყებამდე, დიდი ინტენსივობით ზუსტად ასეთ სიტყვებს მიმართავდნენ.

ტექსტების შინაარსის მიხედვით, ლექსიკონში მოძიებული სიტყვების პროპორციულობა შემდეგნაირად გადანაწილდა: 54% (ახალი ამბები), 64% (წიგნიდან ამონარიდი), 53% (თემატური სტატია), აქედან კარგად ჩანს, რომ მკვლევრების ვარაუდის საპირისპიროდ, ცდისპირებს სრულიად არ გასჭირვებიათ თემატური სტატიის გააზრება ახალი ამბებისა და მხატვრული ნაწარმოების ლექსიკასთან შედარებით. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტიც. ცდისპირები 75%-ით მიმართავენ ზუსტად იმ სიტყვებს, რომლებიც მთავარი აზრის გაგებაში ეხმარებათ.

შეინიშნა ისიც, რომ მაღალი დონის ცდისპირები მიმართავენ ლექსიკონის არჩევითი გამოყენების სტრატეგიებს და, შესაბამისად ტექსტი კარგად აითვისეს. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ცდისპირებმა გამოიყენეს კიდევ დამატებითი სტრატეგია, რაც გულისხმობდა შემდეგს - ისინი საჭიროდ მხოლოდ იმ სიტყვების მოძიებას თვლიდნენ, რომლებიც მთავარი აზრის გაგებაში დაეხმარებოდათ, ხოლო დამატებით ინფორმაციაში არსებულ უცნობ სიტყვებს უგულბებლყოფდნენ. ასე რომ: 1. მიუხედავად იმ ტენდენციისა, რომ პედაგოგები მიჰყვებიან გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდს და შემსწავლელებს უნერგავენ ლექსიკონის გამოყენების აუცილებლობას, საჭიროა მათი კონცენტრირება მთავარი აზრის გასაგებად.

თითოეულ სიტყვაზე ყურადღების გადატანა არასახარბიელოა. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს შემსწავლელებს ნაკლებად დამოკიდებულნი იყვნენ ლექსიკონზე და მხოლოდ მის არჩევით გამოყენებას მიმართონ. 2. მეთოდოლოგიურად მყარი ალტერნატივა შეიძლება იყოს ისიც, რომ ვასწავლოთ საკვანძო სიტყვების მოძიება და უმნიშვნელო სიტყვების იგნორირება. მაგალითად, თუ ტექსტში სიტყვები მეორდება რამდენიმეჯერ, ეს მიუთითებს მაღალი სიხშირის კოეფიციენტზე.

### დასკვნა

ლექსიკონების გამოყენების სტრატეგიები მრავალგვარია. ზოგისთვის შერჩევითი მეთოდია მისაღები, სხვა კი უგულბებლყოფის სტრატეგიას მიმართავს. საჭიროა, მეტი კვლევის ჩატარება, მეთოდოლოგიის შემუშავება, დავალებების განსაზღვრა და საიმედო კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ნათელს მოჰფენს როგორც ცდისპირთა ქცევას, ასევე უზრუნველყოფს მათი შედეგების უკეთ გაანალიზებას.

### 1.7 კვლევა ლექსიკონის გამოყენების სტრატეგიების შესახებ

ჩატარდა ბევრი საინტერესო კვლევა ლექსიკონის გამოყენების სტრატეგიების ანალიზისა და ეფექტურობის გამოვლენის მიზნით. ამ კვლევების საილუსტრაციოდ განვიხილავთ ერთ-ერთ ექსპერიმენტს, რომელიც საუდის არაბეთში პროფესორ ეიდ ალჰაისონის (Eid Alhaisoni) მიერ ჩატარდა 2014 წელს ინგლისური ენის არაბ შემსწავლელელებზე. მკვლევარს აინტერესებდა ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა ლექსიკონები უცხო ენის, კერძოდ, ინგლისური ენის ასათვისებლად. ლექსიკონის გამოყენება შეუცვლელი საშუალებაა ენის ისეთი ასპექტების დაუფლებისათვის, როგორებიცაა კითხვა, წერა და თარგმნა. სხვა კვლევებითაც დადასტურდა, რომ ლექსიკონები არა მარტო უცხოელი შემსწავლელებისთვისაა არსებითი, არამედ მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთა შორისაც წარმატებით გამოიყენება. მათ უცხო ენის პედაგოგებიც აქტიურად იყენებენ შესაბამისი საილუსტრაციო ნიმუშებისა და შესიტყვებების შესარჩევად. ამ კონკრეტული კვლევის მიზანი იყო დაედგინათ რამდენად ეფექტურია ლექსიკონის გამოყენება კითხვის პროცესში უცნობი სიტყვების გასაგებად.

კვლევის წარმართვისას ყურადღება გამახვილდა სამ მოცემულობაზე: ლექსიკონის დონე, სტუდენტის ძირითადი სპეციალობა და ცდისპირის ზოგადი განათლების საფეხური.

#### ცდისპირები

კვლევა ჩატარდა 372 ინგლისური ენის შემსწავლელზე. ცდისპირებში იყვნენ სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეები და უნივერსიტეტის სამი სხვადასხვა დარგის სტუდენტები: ინგლისური ენის, სამედიცინო და არა-სამედიცინო ფაკულტეტების სტუდენტები. არც ერთმა მათგანმა ენა ერთ დონეზე არ იცოდა. ჩატარებული კვლევა კითხვარის შევსებასაც მოიცავდა.

ცდისპირთა ჩამონათვალი

განათლების დონე		რაოდენობა	საშუალო ასაკი	ინგლისურის ენის სწავლის ხანგრძლივობა
სკოლის მაღალი კლასი		128	18	5
უნივერსიტეტი	ინგლისური ენის ფაკულტეტი	123	23	9
	არასამედიცინო ფაკულტეტი	73	22	10
	სამედიცინო ფაკულტეტი	48	20	10
ჯამი	372			

ყველა ცდისპირისათვის მშობლიური ენა არაბული იყო, ხოლო მათი მეორე ენის, ანუ ინგლისური ენის, სწავლა იწყებოდა სკოლიდან. ასე რომ, სკოლის მაღალ კლასელებს ინგლისური ენის სწავლების სამწლიანი გამოცდილება აქვთ,

რასაც ემატება მაღალ კლასში მიღებული 2 წელიც. უნივერსიტეტის სტუდენტები ამ კვლევის დროს მესამე კურსზე იმყოფებოდნენ. აქედან 5 წელი სკოლის პერიოდში ჰქონდათ გავლილი, ერთი - უნივერსიტეტის მოსამზადებელ კურსზე და 3 წელი უნივერსიტეტში ყოფნისას, რაც მთლიანობაში მიახლოებით 10 წელს შეადგენდა.

**კვლევის პროცესი**

ცდისპირებს დაურიგდათ უცხო ტექსტი და და კითხვარები, რომლებიც თავიანთი დაკვირვებიდან გამომდინარე უნდა შეეცნოთ. კონკრეტულად, ცდისპირებს უნდა ჩამოეთვალათ სტრატეგიები, რომლებსაც ისინი მიმართავდნენ კითხვის და ტექსტის გაანალიზების პროცესში. ისინი დროში შეზღუდულნი არ იყვნენ.

კვლევიდან დაფიქსირდა, რომ ცდისპირი მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავდნენ. ნაწილობრივ გამოვლინდა ის ნიუანსებიც, რაც ცდისპირთა ენის ფლობის განსხვავებული დონით იყო გამოწვეული.

**სტრატეგიები**

N	სტრატეგიები	უნივერსიტეტის სტუდენტები	სკოლის მაღალ-კლასელები
1.	ლექსიკონის გამოყენება ყველა უცხო სიტყვის გაგებისათვის	3,56	2,81
2.	ლექსიკონის გამოყენება, როცა ცდისპირი მიახლოებით ხვდება სიტყვის მნიშვნელობას	4,18	3,07
3.	ლექსიკონის გამოყენება, როცა	3,98	2,78

	ცდისპირი სიტყვის მნიშვნელობას ვერ ხვდება კონტექსტიდან		
4.	ლექსიკონის გამოყენება, როცა ცდისპირი მიახლოებით ხვდება სიტყვის მნიშვნელობას	3,71	2,75
5.	ლექსიკონის გამოყენება ტექსტის რამდენჯერმე გადაკითხვის შემდეგ	2,93	2,36
6.	უცნობი სიტყვის მიხვედრა კონტექსტიდან	4,34	3,92
7.	სხვა ლექსიკონის გამოყენება, როცა შესაბამისი მნიშვნელობა ერთ ლექსიკონში არ არის	2,36	2,12
8.	ყველაზე მიახლოებული მნიშვნელობის შერჩევა	4,38	3,24
9.	პირველივე მნიშვნელობის შერჩევა	2,61	2,44
10.	უცნობი სიტყვის იგნორირება	2,56	2,18
11.	არაბული გლოსარიუმების გამოყენება	3,36	3,07
12.	ინგლისური გლოსარიუმების გამოყენება	2,35	1,83

როგორც ვხედავთ, მკვლევრებს შემუშავებული ჰქონდათ სხვადასხვა სტრატეგიის ჩამონათვალი, რომელთა საშუალო ნიშნული 1-დან 5-მდეა. ცხრილიდან თვალსაჩინო ხდება რამდენიმე ფაქტორი, რომელზეც საჭიროა

ყურადღების გამახვილება. უპირველესად, ნათლად ჩანს, რომ მთლიანობაში უცხო ტექსტის კითხვისას ლექსიკონის გამოყენებას ენის ცოდნის მაღალი დონის ცდისპირები უფრო ცდილობენ, ვიდრე ენის ცოდნის შედარებით დაბალი დონისანი. ეს შეიძლება განპირობებული იყოს იმ მიზეზით, რომ ინგლისური ენის ცოდნის დაბალი დონის შემსწავლელებს ძირითადად პედაგოგები აწვდიან ახალი სიტყვების განმარტებებს და ასევე, მათ სახელმძღვანელოში არის ახალი სიტყვების ილუსტრაციები, ასე რომ, მათ არც მიხვედრა უწევთ და არც ლექსიკონში მათი ძებნა, ხოლო მაღალი დონის შემსწავლელები ბევრ ახალ სიტყვას კლასგარეშეც ხვდებიან და პედაგოგებზეც ნაკლებად არიან დამოკიდებულნი. უფრო მეტიც, ენის ცოდნის მაღალი დონის შემსწავლელები უფრო მოტივირებულნი არიან ენის შესასწავლად და რამდენიმე ლექსიკონსაც კი მიმართავენ.

ცდისპირებმა ჩამოთვალეს სხვადასხვა სტრატეგია, რომელთაც ისინი ტექსტის კარგად გაგებისა და ათვისების მიზნით მიმართავენ. მათ შორის აღმოჩნდა ერთ-ერთი პოპულარული სტრატეგია - სიტყვის მნიშვნელობის მიხვედრა ლექსიკონის გამოყენებამდე. ასეთ დროს ლექსიკონს შემდეგ ეტაპზე სიტყვის მნიშვნელობის დასადასტურებლად მიმართავენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენის კარგი მცოდნე უფრო ადვილად ხვდება სიტყვის კონტექსტუალურ მნიშვნელობას.

შედეგებიდან გამომდინარე, სტრატეგიას - უცნობი სიტყვის მიხვედრა კონტექსტიდან - უჭირავს ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი და ეს სტრატეგია დაფიქსირდა სხვა კვლევების დროსაც (Schmitt 1997; Alseweed 1996).

კვლევის ხარვეზები/შეზღუდვები

მიუხედავად ამ შრომატევადი კვლევისა, დაფიქსირდა რიგი უზუსტობებისა, რაც კვლევის ჩატარებამდე ვერ გაითვალისწინეს:



1. კვლევის ძირითადი ინსტრუმენტი კითხვარი იყო და ინფორმაცია, რომელსაც მკვლევრები დაეყრდნენ იყო ცდისპირთა მიერ მოწოდებული, რომელიც შესაძლოა არაზუსტი ყოფილიყო.
2. კვლევა ჩატარდა მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლებზე, რაც განზოგადოების საშუალებას არ იძლევა. მაგრამ მიზეზი არის საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც არ იძლევა საშუალებას ერთობლივად ჩატარდეს კვლევა ორივე სქესის ცდისპირებზე.
3. კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი, ასე რომ, შედეგებიც შეიძლება იყოს მიკერძოებული.
4. მიუხედავად იმისა, რომ კითხვარები შედგენილი იყო პროფესიონალების მიერ ინგლისურ და არაბულ ენებზე, ცდისპირებისთვის მაინც რთული აღმოჩნდა ზოგიერთი პუნქტის გაგება.

კვლევის ეს ხარვეზები ავტორებმა დეტალურად გაანალიზეს, რათა ამ აქტუალურ თემაზე მუშაობისას დაშვებული შეცდომები აღმოიფხვრას და ლექსიკონის გამოყენების სტრატეგიების შესწავლა მომავალში უფრო კომპეტენტურად წარიმართოს.

### 1.8 ლექსიკოგრაფების პარადოქსი

ლექსიკოგრაფების ყველაზე დიდი პარადოქსი ის არის, რომ მომხმარებლები პოლისემიურ სიტყვებს იშვიათად მიმართავენ, ხშირ შემთხვევაში ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ სიტყვა იციან. ამის გამო ლექსიკოგრაფები პარადოქსის წინაშე დგებიან: ლექსიკონები ძირითადად გამოიყენება რთული სიტყვების განმარტებისათვის, მაშინ როდესაც ინფორმაცია, რომლის მომზადებასაც ამდენი დრო სჭირდება, ნაკლებად გამოიყენება. როგორც ჩანს, მომხმარებლები თავს სულაც არ იწუხებენ იმ ინფორმაციის მოსაძიებლად, რომელსაც ლექსიკოგრაფები ასეთი გულისყურით ეკიდებიან. თანამედროვე

საინფორმაციო ტექნოლოგიები რედაქტორებსა და ლექსიკოგრაფებს აძლევს საშუალებას მოიპოვონ ინფორმაცია თუ რას ეძებს, რა სიხშირით და დროის რა მონაკვეთით მომხმარებლები ლექსიკონში და სხვა. ეს კი ლექსიკონების მოხმარების შესახებ საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას იძლევა. ალტერნატივად შეიძლება განვიხილოთ შემდეგი: არ გავაკეთოთ გარკვეული სიტყვა-სტატიები, რომელთაც მომხმარებლები ნაკლებად მიმართავენ, ან ვიპოვოთ გზები, როგორ ვასწავლოთ მომხმარებლებს ლექსიკონის გამოყენება. ორივე ასპექტი რთულია განსახორციელებლად. ერთნი ეწინააღმდეგებიან ტრადიციულ აზრს, რომ ლექსიკონი უნდა შეიცავდეს ენის ყველა სიტყვას და თითოეულ მათგანზე არსებობდეს სრულყოფილი ინფორმაცია, ხოლო მეორენი სრულიად არარეალისტურად უყურებენ ამას. ჩემი პედაგოგიური გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია დავამატო, რომ ეს პარადოქსი მართლაც არსებობს. ფაქტია, რომ ენის შემსწავლელი იშვიათად მიმართავს ლექსიკონს მისთვის ნაცნობი პოლისემიური სიტყვის უცნობი პოლისემიური მნიშვნელობის მოსაძიებლად. მაგალითისათვის, ძნელი წარმოსადგენია, რომ ენის შემსწავლელმა ლექსიკონში ჩაიხედოს პოლისემიური სიტყვა late-ის ისეთი მნიშვნელობებისათვის როგორცაა: 1. ამა თუ იმ პერიოდის მიწურულისა - late 1960s; 2. განსვენებული, გარდაცვლილი - late husband. შედეგად ორივე ეს შემთხვევა თარგმნილი იქნება, როგორც „გვიანი“. ვფიქრობ, შემდგომი კვლევები ჩასატარებელია იმის დასადგენად, თუ რატომ მიმართავენ ზოგ სიტყვას ასე იშვიათად.

### 1.8.1 დასკვნები: რამდენად ეფექტურია ლექსიკონი?!

ვფიქრობ, ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილი მასალა, სრულიად საკმარისია იმ მარტივ დასკვნამდე მისასვლელად, რომელიც არაერთმა კომპეტენტურმა მკვლევარმა გააკეთა - ლექსიკონი ეფექტურია მაშინ, როცა მას კვალიფიციურად იყენებენ, ანუ ლექსიკონზე მუშაობა ისევე უნდა ვასწავლოთ, როგორც ნებისმიერი სხვა საგანი. შემთხვევითი არ არის, რომ ბათუმში გამართულ ლექსიკოგრაფთა მე-2

საერთაშორისო სიმპოზიუმზე პროფესორმა ვიდას კავალიაუსკასმა, თავის მოხსენებაში: „ლიტვური ენის აკადემიური ლექსიკონი – ლიტვური ენის უმნიშვნელოვანესი ძეგლი“, აღნიშნა შემდეგი: „ლიტვური ენის ლექსიკონი“, რომელიც, შეიძლება ითქვას, ლიტვური ენისა და ენათმეცნიერების უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს, შეტანილია საშუალო სკოლების სასწავლო პროგრამებში“.

ასევე, ცნობილმა იტალიელმა ლექსიკოგრაფმა, პროფესორმა კარლა მარელომ, სიმპოზიუმზე წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „საჭირო მასალის მოძიების უნარ-ჩვევები: ბეჭდური ლექსიკონებიდან ონლაინ-ლექსიკონებამდე“, რომელშიც აღნიშნა შემდეგი: „მოსწავლეებს უნდა გამოუშუშაოთ განმარტებით თუ ორენოვან ბეჭდურ ლექსიკონებში საჭირო მასალის ნახვის ჩვევა“;

- ვასწავლოთ, როგორ მუშაობენ ლექსიკოგრაფები, რათა ნათელი იყოს, თუ რა შეუძლიათ ლექსიკოგრაფებს და რა არ შეუძლიათ თვით კომპიუტერულ ეპოქაში და დიდი ონლაინ-კორპუსების დახმარებითაც კი;

- მივმართოთ მასალის ძიების მეთოდებს, რომლებიც სასარგებლოა ნებისმიერი

სახის კვლევის დროს;

- გამოვიყენოთ „სიტყვების გრამატიკა“, ანუ მორფოსინტაქსური ინფორმაციული

შინაარსი სალექსიკონო სიტყვა-სტატიებში, რათა ვასწავლოთ მეტი, ვიდრე მარტოდენ ლექსიკური მარაგი;

- დავარწმუნოთ მასწავლებლები, რომ მათ მოსწავლეებს საჭირო მასალის მოძიების უნარ-ჩვევები უნდა გამოუშუშაონ არა მარტო იმიტომ, რომ ამგვარი უნარ-ჩვევები სასარგებლოა სასკოლო დონეზე, არამედ იმის გამოც, რომ ისინი მათი ცხოვრებისა და პროფესიული კარიერისთვის გადამწყვეტ ფაქტორებად იქცევიან სკოლის დამთავრების შემდეგ“.

ბათუმის სიმპოზიუმზე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორებმა: ცირა ჭყონიამ და ზეინაზ გვარიშვილმა წარმოადგინეს ერთენოვანი და ორენოვანი ლექსიკონების ეფექტურობის კვლევის

ექსპერიმენტის შედეგები, რომელმაც აჩვენა, ინგლისური ენის სწავლებისას ორენოვანი ლექსიკონის გამოყენების დიდი უპირატესობა (67%) განმარტებით ლექსიკონთან შედარებით. ზოგადად, აღნიშნული საკითხების მნიშვნელობა აისახა ბათუმის სიმპოზიუმის ერთ-ერთ წამყვან თემატიკაში: ლექსიკოგრაფია ენების სწავლებისათვის. სიმპოზიუმის რეკომენდაცია მონაწილეთა მიმართვაშიც აღინიშნა.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში ლექსიკოგრაფიის განვითარების პრობლემათა ნუსხაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ლექსიკონის მოხმარებისა და ლექსიკონების მომხმარებელთა კვლევებმა, ასევე ლექსიკონების გამოყენების დიდაქტიკის საკითხებმა.

## II თავი

ლექსიკონების როლი თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში (კვლევის შედეგები)

### 2.1 შესავალი

ლექსიკოგრაფიას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სახელმწიფოებრიობისათვის, რადგან იგი მეცნიერებისა და კულტურის, სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების განვითარების საწინდარია. ლექსიკოგრაფიის ამ დიდი როლის გაცნობიერებამ გამოიწვია დარგის აღმავლობა ევროპის, აზიის, ამერიკის ქვეყნებში. შეიქმნა ლექსიკოგრაფიული ასოციაციები, ცენტრები, გაფართოვდა თეორიული და პრაქტიკული მუშაობა ლექსიკოგრაფიის დარგში, გაიზარდა გამოშვებული ლექსიკონების ტიპები და ასორტიმენტი.

წინამდებარე გამოკითხვა ჩვენი კვლევის პირველი ეტაპია, რომელიც ჩატარდა თბილისში სპეციალურად მომზადებული კითხვარით, რომელსაც უნდა გამოველინა, თუ როგორ ესმის ქართულ საზოგადოებას ლექსიკოგრაფიის მნიშვნელობა, იყენებს თუ არა მას ან სწავლისათვის, ან თავისი პროფესიული საქმიანობისთვის.

ფრიად საინტერესოა საკითხის გამორკვევა, თუ როგორია სხვადასხვა ასაკისა და სოციალური ფენის დამოკიდებულება ლექსიკოგრაფიისადმი ქართულ საზოგადოებაში. განსაკუთრებით ყურადსაღებია ქართველი ახალგაზრდების გამოკითხვა ამ თვალსაზრისით, ამიტომ კითხვარში შევიტანეთ პუნქტები, რომლებიც განსაზღვრავს რესპონდენტის ასაკს, სქესს და განათლებას. ასევე გვინტერესებდა ჰქონდათ თუ არა გამოკითხულებს შეხება უცხო ენასთან; რამდენად ხშირად იყენებდნენ ლექსიკონს; ასევე უცხო ენის შესწავლისას, როგორ ლექსიკონს ანიჭებდნენ უპირატესობას (განმარტებითს თუ ორენოვანს). საკითხის უფრო დეტალური შესწავლისათვის გვინტერესებდა გამოგვერკვია, რესპონდენტების აზრი სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში ინფორმაციის დეტალურად წარმოდგენის შესახებ (მართლწერა, წარმოთქმა, გრამატიკული

ინფორმაცია, პოლისემია, საილუსტრაციო ფრაზები და წინადადებები, სინონიმები, ანტონიმები და სხვა).

დღესდღეობით ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხად რჩება ლექსიკონების მოხმარების წესები და გვინდოდა გამოგვევლინა რესპონდენტების შეხედულება ლექსიკონების გამოყენების, და ზოგადად, ლექსიკოგრაფიის სწავლების აუცილებლობაზე.

აღნიშნულ კითხვარზე მიღებული პასუხები დაგვეხმარა მეტ-ნაკლებად გაგვეგო, თუ როგორია ლექსიკოგრაფიის სტატუსი თანამედროვე საქართველოში, როგორია ლექსიკონების გამოყენების სტრატეგიები, ზოგადად, რა მნიშვნელობას ანიჭებს მათ ქართველი მკითხველი. ამ საკითხებზე პასუხის მიღებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა იმ ექსპერიმენტის სწორად დაგეგმვა, რომელიც კვლევის შემდეგ ეტაპზე ჩატარდა და მიზნად ისახავდა უცხო ენების სწავლებისას / სწავლისას ლექსიკონის ტიპის ეფექტიანობის დადგენას.

ქვემოთ წარმოვადგენთ ჩვენ მიერ მომზადებულ კითხვარს და მის ანალიზს.

### 2.2 კითხვარი

#### 1. რესპონდენტის სქესი

1 - მამრობითი      2 – მდედრობითი

#### 2. რამდენი წლის ბრძანდებით? \_\_\_\_\_

#### 3. თქვენი განათლება? (იგულისხმება მიღწეული განათლების დონე)

1 - უმაღლესი ან უფრო მაღალი

2 - ტექნიკური (მუსიკალური, სამედიცინო, პედაგოგიური, სამხატვრო და სხვა)

3 - პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი (სახელობო სასწავლებელი)

4 - სრული საშუალო

- 5 - არასრული საშუალო
4. თქვენი ამჟამინდელი ძირითადი საქმიანობა?
- 1 - სტუდენტი, სკოლის მოსწავლე
  - 2 - დასაქმებული (დაქირავებული მუშაკი, სახელმწიფო მოხელე)
  - 3 - თვითდასაქმებული
  - 4 - უმუშევარი
  - 5 - დიასახლისი (დაკავებული ოჯახის და სახლის მოვლით)
  - 6 - პენსიონერი
5. იყენებთ თუ არა ლექსიკონებს?
- 1 - დიახ → გააგრძელე
  - 2 - არა → გადადით მე-9-ზე
6. რომელ ლექსიკონებს იყენებთ? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პაუზი)
- 1 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
  - 2 - ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი
  - 3 - უცხო სიტყვათა ლექსიკონი
  - 4 - რუსულ-ქართული
  - 5 - ინგლისურ-ქართული
  - 6 - გერმანულ-ქართული
  - 7 - სხვა (მიუთითეთ) \_\_\_\_\_
7. რამდენად ხშირად იყენებთ ლექსიკონს ?
- 1 - იშვიათად
  - 2 - ხანდახან
  - 3 - ხშირად
  - 4 - ძალიან ხშირად
8. როგორი ტიპის ლექსიკონს ანიჭებთ უპირატესობას ?

- 1 - წიგნად გამოცემულს
- 2 - ელექტრონულს
- 3 - on-line (ინტერნეტ ვერსიას)

9. უცხო ენის შესწავლისას როგორ ლექსიკონს ანიჭებთ უპირატესობას?

- 1 - არც ერთს
- 2 - განმარტებითს
- 3 - ორენოვანს

10. გაქვთ თუ არა შეხება უცხო ენასთან?

- 1 - დიახ → გააგრძელე      2 – არა → გადადით მე-13-ზე

11. რა ტიპის შეხება გაქვთ უცხო ენასთან?

- 1 - ვსწავლობ → გადადით მე-13-ზე
- 2 - ვასწავლი → გადადით მე-13-ზე
- 3 - ვკითხულობ უცხოენოვან ტექსტებს (მხატვრულს, დარგობრივს, საქმიანს) →

**გადადით მე-12-ზე**

- 4 - ვთარგმნი უცხოენოვან ტექსტებს (მხატვრულს, დარგობრივს, საქმიანს) →

**გადადით მე-12-ზე**

12. როგორ ლექსიკონს ანიჭებთ უპირატესობას?

- 1 - არც ერთს
- 2 - განმარტებითს
- 3 - ორენოვანი

13. თქვენი აზრით, უნდა იყოს თუ არა დეტალიზებული ლექსიკონი (გრამატიკული ინფორმაცია, პოლისემია, საილუსტრაციო ფრაზები და წინადადებები, სინონიმები, ანტონიმები)?

- 1 - დიახ      2 – არა



14. მოგწონთ თუ არა ილუსტრირებული ლექსიკონი?

1 - დიახ      2 – არა

15. თვლით თუ არა, რომ ლექსიკონი არის სამაგიდო წიგნი?

1 - დიახ

2 – არა

3 - არ ვიცი

16. უნდა ისწავლებოდეს თუ არა ლექსიკონის მოხმარების (გამოყენების ) წესი ?

1 - დიახ

2 – არა

3 - არ ვიცი

17. მიგაჩნიათ თუ არა, რომ გარკვეულ სიტყვებს (მაგ. უცხო სიტყვებს) უნდა ჰქონდეს

დართული განმარტებითი ინფორმაცია?

1 – არა

2 - დამაბნეველია

3 - უმჯობესია

### 2.3 კვლევა


კითხვარი თბილისის ყველა რაიონის რესპონდენტებზე გადანაწილდა სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და განათლების გათვალისწინებით. სულ 353 ადამიანი გამოიკითხა. (დანართი 1)

თავდაპირველად გავეცანით რესპონდენტთა სქესს, ასაკსა და განათლებას. გამოკითხვაში მონაწილე პირების 75,5% არის უმაღლესი განათლების მქონე, 20% - საშუალო განათლების, ხოლო ტექნიკუმის - 9,2% და არასრული საშუალო სკოლის განათლების მქონე რესპონდენტები - 7,1%.

ზოგადად ლექსიკონის მომხმარებელია გამოკითხულთა 63,5%, რაც თითქმის 2-ჯერ აღემატება ლექსიკონის არამომხმარებელთა რიცხვს. აქვე თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ლექსიკონების გამოყენების თვალსაზრისით ქალების რაოდენობა ბევრად სჭარბობს კაცებისას.

ასაკობრივი მაჩვენებლები გადანაწილდა შემდეგნაირად:

15 - 20 წლის პირები (1 ჯგუფი), 21- 30 წლის (2 ჯგუფი), 31- 40 წლის (3 ჯგუფი) და 41 - 50-წლიანები (4 ჯგუფი). აღმოჩნდა, რომ ლექსიკონის მომხმარებელთა მაქსიმალურ რიცხვს შეადგენს მე-2-ე ჯგუფის რესპონდენტები, დანარჩენი სამი ჯგუფის მონაცემები კი თანაბრად ნაწილდება (იხ. პირველი ცხრილი).



ცხრილი 1.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი განსხვავება, ლექსიკონის გამოყენების თვალსაზრისით, შეიმჩნევა 21-30 წლის ასაკობრივ სექტორში, ხოლო დანარჩენ სამ ასაკობრივ სექტორში ლექსიკონის მოხმარება ერთ ნიშნულზეა.

### 2.3.1 ლექსიკონების ტიპები

ჩვენი კითხვარის ჩამონათვალში შევიყვანეთ ლექსიკონის სხვადასხვა ტიპები (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი; უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი; ორენოვანი ლექსიკონები), რომელთაგანაც რესპონდენტებს უნდა აერჩიათ ის ლექსიკონი, რომელსაც ყველაზე ხშირად მიმართავენ.

გამოკითხვამ გვაჩვენა, რომ მომხმარებელთა 51,8% იყენებს ინგლისურ-ქართულ ლექსიკონს, ანუ მონაცემებით ეს ლექსიკონი ლიდერობს, რომელსაც მოჰყვება რუსულ-ქართული ლექსიკონი 26,8%-ით. თანაბრად განაწილდა ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონისა და უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონის გამოყენების მაჩვენებელი - 7%, ხოლო ყველაზე ნაკლები ყურადღება დღევანდელ რეალობაში ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა და გერმანულ-ქართულ ლექსიკონებს ეთმობა.

ასევე გამოვარკვიეთ, როგორ ლექსიკონს ანიჭებენ უპირატესობას ქართველი მომხმარებლები: ბეჭდურ გამოცემას, ელექტრონულს თუ ონლაინ-ლექსიკონებს. მომხმარებელთა 1/5 ამჯობინებს ელექტრონულ ვერსიას, ხოლო მომხმარებელთა 2/5 თანაბრად მიმართავს დანარჩენ ორს: ბეჭდურსა და ინტერნეტ-ვერსიებს.

ჩვენი გამოკითხვის შემთხვევაში რესპონდენტთა 65,5 % აქვს უცხო ენასთან შეხება და მათი 60% იყენებს ორენოვან ლექსიკონს, ხოლო ორჯერ ნაკლები - განმარტებითს. უცხო ენების შემსწავლელებმა შეადგინეს 9% და, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, არ იყენებდნენ არც ერთ ლექსიკონს.

აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტენდენცია ორენოვანი ლექსიკონის გამოყენებისა დღესაც პრიორიტეტულია. ბევრი სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში კვლავ მიუბრუნდა მთარგმნელობით მეთოდს.

### 2.3.2 სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში ინფორმაციის წარმოდგენის ხარისხი

ლექსიკონი უაღრესად რთული ნაწარმოებია. ლექსიკონში რეგისტრირებულია ამა თუ იმ ენის სიტყვები და მათი მნიშვნელობები. სალექსიკონო სიტყვა-სტატია მრავალი კომპონენტისაგან შედგება, კერძოდ: სიტყვის მართლწერა, წარმოთქმა, სიტყვის გრამატიკული დახასიათება, პოლისემიური მნიშვნელობების აღწერა, საილუსტრაციო ფრაზები და წინადადებები, სხვადასხვა კვალიფიკაციები (დროისმიერი, ადგილისმიერი, სტილისტიკური, დარგობრივი) და სხვა.

ჩვენი რესპონდენტების 85,5% მიაჩნია, რომ ლექსიკონში უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების გათვალისწინებით.

როგორც გამოკითხვიდან დადასტურდა, მომხმარებელთა 57% მიაჩნია, რომ ლექსიკონი უნდა იყოს ილუსტრირებული, ხოლო 43%-ს ილუსტრაციები არსებითად არ მიაჩნია.

ჩვენ მიერ გამოკითხულ მომხმარებელთა 85 % ასევე საჭიროდ მიაჩნია განმარტებების დართვა უცხო სიტყვებისათვის, ცალკეული ტერმინებისათვის, რაც გასათვალისწინებელია ლექსიკოგრაფიული პროექტების დაგეგმვისას.

ჩვენს გამოკვლევაში ერთხმად დაფიქსირდა აზრი - კარგი იქნება თუ მომხმარებელს შევასწავლით ინფორმაციის საფუძვლიანად მოძიებას, ანუ ლექსიკონის გამოყენების ტექნიკას. როცა მომხმარებელი არაკვალიფიციურია იგი მიმართავს ორენოვან ლექსიკონს. მაშინაც კი, როცა ერთენოვანი ლექსიკონი გამოყენებულია სრულად, თარგმანი და საილუსტრაციო ფრაზები განამტკიცებს და გააძლიერებს შემსწავლელის მიერ სიტყვის ათვისება-გამოყენებას.

ჩვენმა გამოკითხვამ ასევე აჩვენა, რომ ლექსიკოგრაფიასა და ლექსიკონებს კვლავ ენიჭება მნიშვნელოვანი როლი ქართული საზოგადოების ცხოვრებაში, თუმცა გამოიკვეთა ისიც, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა გამოყენებული ლექსიკონების ხარისხსა და წარმომავლობას, რაც უდავოდ

გასათვალისწინებელია სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგების მიერ.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ კიდევ ერთხელ დაგვანახა ლექსიკონების შესაძლო ფუნქციები:

- ენის ლექსიკური მარაგის სრულად აღნუსხვა და აღწერა;
- ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური აღწერა, მისი დიაქრონიული / დროსა და სივრცეში განვითარების ჩვენება;
- უცხო ენასთან გაცნობის საუკეთესო საშუალება;
- კომუნიკაციის დამყარების საშუალება;
- ენის დახვეწის უპირველესი იარაღი;
- უცხო ენის შემსწავლელთა უპირობო დამხმარე;
- იდეოლოგიური იარაღი და სხვა.

### III თავი

## განმარტებითი, ორენოვანი და კომბინირებული ლექსიკონების ეფექტიანობის განსაზღვრა ინგლისური ენის ქართველი შემსწავლელებისათვის

(ექსპერიმენტის დაგეგმვა)

### 3.1 შესავალი

საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან მოყოლებული საბჭოთა პერიოდის ჩათვლით, რუსული ენა ძირითად უცხო ენას წარმოადგენდა საქართველოში. რუსული ენის სწავლებისათვის მზადდებოდა მასწავლებელთა კორპუსი, რუსულ ენასთან მიმართებით იქმნებოდა ორენოვანი ლექსიკონები, როგორც ზოგადი, ისე სპეციალიზებული, ითარგმნებოდა რუსული ლიტერატურა, მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებიც არა ორიგინალიდან, არამედ მათი რუსული თარგმანებიდან სრულდებოდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ-ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დაარსების შემდეგ, საქართველოში დაიწყო ევროპული ენების სწავლება, თუმცა აქაც, პედაგოგები და სტუდენტები რუსულ-ევროპულ ლექსიკონებს იყენებდნენ და ევროპულ ენებს შუალედური რუსული ენის მეშვეობით ეუფლებოდნენ. დღეს საქართველო სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდა, ახალგაზრდა თაობამ რუსული აღარ იცის, ინფორმაციასაც ვეღარ იღებს ამ ენის მეშვეობით, ვერც უცხო ენების, განსაკუთრებით ინგლისური ენის, შესწავლა ხერხდება ისე, რომ მან თანამედროვე ქართველ ახალგაზრდებს ის ფუნქცია ჩაუნაცვლოს, რაც რუსულ ენას ჰქონდა უფროსი თაობისათვის. ქართველი ერისთვის, რომელმაც დასავლური განვითარების მოდელი აირჩია, უცხო ენების ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ გვჭირდება უცხო ენების მცოდნე სხვადასხვა დარგის პროგრესულად მოაზროვნე სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ მსოფლიოს სტანდარტებს გაუთანაბრდნენ და სამაგალითონი იყვნენ ქართულ რეალობაში. ეს კი, დახვეწილი ლექსიკონებისა და უცხო ენების სწავლების სწორად შერჩეული მეთოდების გარეშე წარმოუდგენელია.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, კლასიკური ენების სწავლებისას, გრამატიკულ-მთარგმნელობითმა მეთოდმა მრავალჯერ განიცადა მოდიფიცირება, რაც სხვადასხვა ეპოქამ თუ სიტუაციამ განაპრობა. მას ხან სწავლების მეთოდოლოგიად მიიჩნევდნენ, ხან კი სრულიად აკნინებდნენ. ამ საკითხით საქართველოშიც დაინტერესდნენ. მაგ. 2012 წელს ბათუმის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმზე ლექსიკოგრაფიაში, სიმპოზიუმის ერთ-ერთ თემად გამოტანილი იყო „ლექსიკოგრაფია ენების სწავლებისათვის“. ამ თემაზე არაერთი საინტერესო მოხსენება წარმოადგინეს, როგორც ქართველმა მეცნიერებმა, ისე უცხოელმა ლექსიკოგრაფებმა. მაგ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათა ცენტრის პედაგოგმა, ინა ბარათაშვილმა, ისაუბრა იმ დისკუსიაზე, რომელიც ფილიპ კერიმ, დიდი გამოცდილების მქონე პედაგოგმა, მასწავლებელთა ტრენერმა, თეორეტიკოსმა, მაკმილანის პოპულარული სახელმძღვანელოების ავტორმა, გამართა თავის ბლოგზე და რომლის მიზანი იყო თარგმნის აუცილებლობის წარმოჩენა ენის სწავლების პროცესში. „საკუთარ ბლოგზე გამოქვეყნებული მრავალი გამოცდილი, მყარი პედაგოგიური და სამეცნიერო რეპუტაციის მქონე პრაქტიკოსთა და თეორეტიკოსთა მოსაზრებებზე, ნაშრომებსა და წერილებზე დაყრდნობით, კერი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ თარგმნისა და ორენოვანი ლექსიკონის გამოყენება ისევე ეფექტური და სასარგებლოა უცხო ენების შესწავლის პროცესში, როგორც სხვა დანარჩენი გავრცელებული და პოპულარული მეთოდებისა და ერთენოვანი ლექსიკონებისა“ (ბარათაშვილი ი. სიმპოზიუმის მასალები, გვ. 48).

უცხოელი მეცნიერები, ამ საკითხების გამოკვლევის მიზნით, უფრო შორს წავიდნენ და უცხო ენების სწავლებისას დაიწყეს სხვადასხვა მეთოდოლოგიის ეფექტიანობის ემპირიული კვლევები. აღნიშნული კვლევების დიდი ნაწილი, სწორედ ლექსიკონების გამოყენების ეფექტიანობას უკავშირდება, რადგან უცხო ენების სწავლებისას ყველაზე დიდი მნიშვნელობა სწორედ ლექსიკონებს განეკუთვნება. ამ კვლევებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო მონაცემები მოცემული სადისერტაციო ნაშრომის წინა თავშია განხილული.

ლექსიკონების ქართველი მომხმარებლების შესწავლის მეორე ეტაპზე შევეცადეთ განგვესაზღვრა იმ ლექსიკონის ტიპი, რომელიც უცხო ენის სწავლებისას და შესწავლისას, უცხო ენის ლექსიკონის ათვისებისას ყველაზე ეფექტიანია ქართველი შემსწავლელისათვის. ამ ამოცანის განსასაზღვრად, კერძოდ, ინგლისური ლექსიკონის ათვისების საუკეთესო მეთოდისა და ლექსიკონების არჩევისათვის, გადავწყვიტეთ საქართველოში ჩაგვეტარებინა ემპირიული კვლევები. არჩევანი შევაჩერეთ ლაუფერისა და ჰადარის მიერ მომზადებულ ექსპერიმენტზე (Laufer & Hadar), რომელიც მათ 1997 წელს ჩაატარეს ისრაელში. მოგვიანებით, 2011 წელს, აღნიშნული ექსპერიმენტი, მცირედ მოდიფიცირებული, იუჟენ ჩენმა (Yuzhen Chen) გაიმეორა ჩინეთში. ამ ორ ექსპერიმენტზე დაყრდნობით შევიმუშავეთ ჩვენი მეთოდოლოგია საუკეთესო ლექსიკონის ტიპზე. მეტად საინტერესოა ქართველი ლექსიკონის მომხმარებლის შეხედულება სამი ტიპის ლექსიკონზე და მათ გამოყენებაზე, და ზოგადად ლექსიკონის გამოყენების ცოდნასა და სწავლების უპირატესობაზე.

### 3.2 ლაუფერისა და ჰადარის ექსპერიმენტი

თავდაპირველად გავეცნოთ ორიგინალ ექსპერიმენტს და მისი ავტორების, ლაუფერისა და ჰადარის მიერ მიღებულ შედეგებს.

მათი ექსპერიმენტის მთავარი მიზანი იყო გამოევლინა სამი სხვადასხვა ტიპის ლექსიკონის, კერძოდ ერთენოვანი (monolingual), ორენოვანი (bilingual) და კომბინირებული (ორენოვანი+ერთენოვანი bilingualized) ლექსიკონების ეფექტიანობა ინგლისური ენის შესწავლისათვის. უფრო კონკრეტულად, ექსპერიმენტს უნდა გამოევლინა ზემოხსენებული ტიპის ლექსიკონების ეფექტიანობა, ერთი მხრივ, უცხო სიტყვების სწორად გაგებისათვის (comprehension), ხოლო მეორე მხრივ, მათი სწორად / სწორ კონტექსტში გამოყენებისათვის (production).

ექსპერიმენტის მონაწილეები იყვნენ ინგლისური ენის შემსწავლელები, რომლებიც ორ ჯგუფად დაყვეს. სულ კვლევაში მონაწილეობდა 123



რესპონდენტი. მათი მშობლიური ენა ებრაული იყო. ერთ ჯგუფში გაერთიანდა 76 საშუალო სკოლის მაღალი კლასის მოსწავლე (მე-11 კლასი), რომელთაც უცხო ენის შესწავლაზე დახარჯული ჰქონდათ 800 საათი და რომელთა ენის ცოდნის დონე განისაზღვრებოდა, როგორც preadvanced - „მაღალ საფეხურზე დაბლა მდგომი“. მეორე ჯგუფში კი გაერთიანდა 47 უნივერსიტეტის სტუდენტი, რომლებიც ინგლისურს სწავლობდნენ, როგორც მეორე ენას. ექსპერიმენტის დროს მათ უკვე ჰქონდათ რვაწლიანი სწავლის გამოცდილება სკოლიდან და საუნივერსიტეტო სწავლების 100 საათი რთული ტექსტების გააზრებითა და თემების წერის გამოცდილებით. ასე რომ, ეს სტუდენტები მოიაზრებოდნენ, როგორც advanced - „მაღალ საფეხურზე მდგომი“. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ არც ერთი ჯგუფისთვის წინასწარ არ ჩაუტარებიათ უცხო ენის დონის შესამოწმებელი ტესტი, მათი უცხო ენის ცოდნის დონის განსაზღვრა არ იყო რთული, რადგან ისრაელში უნივერსიტეტის სტუდენტები აბარებენ ტესტს, რომლის შედეგების მიხედვით ხდება მათი კლასიფიცირება როგორც: (1) advanced I ან (2) advanced II. საშუალო 100 ქულიდან მაქსიმუმ 80 ქულიანები ხვდებიან მაღალ საფეხურის I ჯგუფში (advanced I). რაც შეეხება სკოლის მოსწავლეებს, მათი ცოდნის დონე უფრო დაბალია, ვიდრე უნივერსიტეტის სტუდენტებისა და განისაზღვრა, როგორც - preadvanced.

### 3.2.1 ტესტის შერჩევა

ექსპერიმენტისათვის შეარჩიეს 22 ყველაზე ნაკლებ გამოყენებადი სიტყვა *The American Heritage Word Frequency Book* (Carroll 1971)-დან. ეს სიტყვები არ იყო შეტანილი არც სკოლის და არც უნივერსიტეტის სილაბუსში (სასწავლო პროგრამაში). სიტყვების ჩამონათვალი მისცეს ინგლისური ფაკულტეტის 7 ჯგუფს, კერძოდ, ყველაზე მაღალ საფეხურზე მდგომ სტუდენტებს სათარგმნელად და აქედან შეარჩიეს ის 15 სიტყვა, რომელთა მნიშვნელობა არც ერთმა სტუდენტმა არ იცოდა. ეს 15 სიტყვა იყო: deride, fete, permeate, resilient, dais, swindle, influx, occult, insipid, variegated, bequeath, hoard, stub, terse, venerable.

მაშასადამე, მათ ივარაუდეს, რომ თუკი მაღალ საფეხურზე მდგომმა (advanced) უნივერსიტეტის სტუდენტებმა არ იცოდნენ ეს სიტყვები, ექსპერიმენტის მონაწილეთაც არ უნდა ჰქონოდათ მათზე წარმოდგენა. მართლაც, გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ მათთვის ეს სიტყვები უცნობი იყო. ექსპერიმენტში გამოიყენეს შემდეგი გამოცემის ლექსიკონები: *Longman Dictionary of Contemporary English* (ერთენოვანი), *The Meggido Modern Dictionary* (ორენოვანი ინგლისურ-ებრაული) და *Oxford Student's Dictionary for Hebrew Speakers* (კომბინირებული თარგმნით-განმარტებითი).

### 3.2.2 ექსპერიმენტის მსვლელობის წესები

მონაწილეებმა ტესტი ჩააბარეს გაკვეთილის მსვლელობის განმავლობაში, სავარჯიშოების შესრულების საფუძველზე. თითოეულ მონაწილეს დაურიგეს 15 სამიზნე სიტყვა, რომელთაც დართული ჰქონდა განმარტებები ლექსიკონებიდან. ამ ექსპერიმენტის მიზანი იყო გამოერკვიათ, ამ სამი ტიპის ლექსიკონიდან რომელი იყო ყველაზე ეფექტიანი. მათ თითოეულ დავალებაში შეიყვანეს 5 სიტყვა, თანდართული განმარტებებით ერთენოვანი ლექსიკონიდან; 5 სიტყვა, თანდართული სიტყვა-სტატიებით ორენოვანი ლექსიკონიდან, და 5 სიტყვა - განმარტებებით კომბინირებული თარგმნით-განმარტებითი ლექსიკონიდან. როგორც ვხედავთ, ექსპერიმენტის ყველა მონაწილეს დაურიგდა სამი განსხვავებული ვარიანტი.

ტესტს ორი მკვლევარი ამოწმებდა. წერითი ტესტი ემსახურებოდა უცხო სიტყვების სწორად გაგებას (comprehension), რომელშიც რამდენიმე სავარაუდო პასუხიდან რესპონდენტებს უნდა შეერჩიათ ერთი სწორი ვარიანტი. დავალების მიცემის დროს მონაწილეებს ჰქონდათ როგორც მოცემული სიტყვები, ისე სალექსიკონო სიტყვა-სტატიები. თითოეულ სიტყვას ერთვოდა სამი სავარაუდო მნიშვნელობის ეკვივალენტი და სტუდენტებს უნდა აერჩიათ სწორი ვერსია. ერთ-ერთი სამი მნიშვნელობიდან იყო სწორი მნიშვნელობის ეკვივალენტი, მეორე - მიახლოებითი მნიშვნელობისა, ხოლო მესამე - მცდარი.

სიტყვის სწორად გამოყენების (production) ტესტისათვის სტუდენტებს სთხოვეს სამიზნე სიტყვებზე საკუთარი წინადადებების შედგენა, ამჯერად, ლექსიკონების გარეშე.

შეფასების კრიტერიუმი შემდეგნაირად გაანაწილეს: ორივე ტესტის შემთხვევაში, სწორი პასუხი ფასდებოდა 2 ქულით, მიახლოებითი პასუხი -1 ქულით, ხოლო არასწორი პასუხი - 0 ქულით. წინადადებისა და სიტყვის გამოყენების სისწორე განიხილებოდა მხოლოდ სემანტიკური კუთხით. იმის მიუხედავად, რომ გრამატიკული ინფორმაცია ნებისმიერ ლექსიკონში მოიპოვებოდა, ასეთი ტიპის შეცდომები მხედველობაში არ მიუღიათ. რთული იყო იმის გაგება, მათ მიერ დაშვებული გრამატიკული შეცდომები კონკრეტული სიტყვა-სტატიის გაუგებრობით იყო გამოწვეული თუ ენის უცოდინრობით. სავარაუდოდ, შეცდომები შემსწავლელთა ენის ცოდნის დონიდან მომდინარეობდა. მაშასადამე, მაქსიმუმი ქულა თითოეული დავალებისათვის (სიტყვის გაგება და მისი სწორად გამოყენება) თითოეული ლექსიკონის ტიპის გამოყენებით ფასდებოდა 10 ქულით (5\2). შესაბამისად, შემაჯამებელი ქულა თითოეული ტიპის ლექსიკონისათვის ფასდებოდა 20 ქულით.

### 3.2.3 შედეგები

ლექსიკონების განსხვავება შემოწმდა დისპერსიული ანალიზის (ANOVA)<sup>3</sup> მეთოდის დახმარებით. შედეგების გადახედვისას გაირკვა, რომ ნავარაუდები განსხვავება ენის ცოდნის დონეებს შორის არ აღმოჩნდა. ფაქტია, რომ ენის ცოდნა, ანუ დონე, არ განსაზღვრავს შემსწავლელის უნარს გამოიყენოს ამა თუ იმ ტიპის ლექსიკონი. საინტერესო მონაცემები დაფიქსირდა სხვადასხვა ლექსიკონის გამოყენების შემთხვევაში. ლექსიკონის მოხმარების უნარი განსაზღვრული იყო ტესტის მთლიანი ქულიდან. თითოეულ ლექსიკონზე მოდიოდა 20 ქულა, ანუ მთლიანი ჯამი 60 ქულას შეადგენდა. ექსპერიმენტის

<sup>3</sup> სტატისტიკური კომპიუტერული პაკეტი სოციალური მეცნიერებებისათვის

მონაწილეები სამ ჯგუფად გადანაწილდნენ. მათ, ვინც მიიღეს 30 ქულა, მოხვდნენ პირველ ჯგუფში; მათ, ვინც მიიღეს 30-45 ქულა - მეორე ჯგუფში, ხოლო 45 ქულაზე მეტის მქონე სტუდენტები - მესამე ჯგუფში.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველ ჯგუფში მოხვედრილებმა ლექსიკონიდან გამოიყენეს 1/3 ინფორმაცია და მათ „ლექსიკონის არმცოდნე მომხმარებლები“ უწოდეს. მთლიანი ექსპერიმენტის 123 მონაწილესაგან 23 მიაკუთვნეს პირველ ჯგუფს, მეორე ჯგუფში მოხვდა 75 რესპონდენტი და მათ „ლექსიკონის საშუალო მომხმარებლები“ დაარქვეს. მესამე ჯგუფში გაერთიანდა 25 შემსწავლელი, რომლებმაც 45 ქულაზე მეტი დააგროვეს და მათ „ლექსიკონის კარგი მომხმარებლები“ უწოდეს. ამის შემდეგ ექსპერიმენტის ავტორებმა გამოიკვლიეს სამი სხვადასხვა ლექსიკონის ეფექტიანობა თითოეული ჯგუფის წევრებისათვის. შედეგებმა აჩვენა, რომ პირველ ჯგუფში „ლექსიკონის არმცოდნე მომხმარებლებისათვის“ ორენოვანი ლექსიკონი აღმოჩნდა ყველაზე ეფექტიანი ახალი სიტყვის ათვისებასა და გამოყენებაში, ხოლო ერთენოვანი ლექსიკონი - ყველაზე არაეფექტური. შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ „ლექსიკონის საშუალო მომხმარებლებმა“ უკეთესი შედეგები აჩვენეს, ვიდრე „ლექსიკონის არმცოდნე მომხმარებლებმა“. ამ შეთხვევაში კომბინირებულ ლექსიკონს მიენიჭა უპირატესობა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „ლექსიკონის საშუალო მომხმარებლებმა“ უფრო კარგად გამოიყენეს ერთენოვანი ლექსიკონი, ვიდრე „ლექსიკონის არმცოდნე მომხმარებლებმა“.

ჩატარებულმა ექსპერიმენტმა ერთი საინტერესო ფაქტი გამოავლინა, კერძოდ, „ლექსიკონის კარგი მომხმარებელი“ დიდ განსხვავებას ვერ პოულობს სამ სხვადასხვა ტიპის ლექსიკონს შორის. თუმცა, უმნიშვნელო განსხვავება და უპირატესობა ამ შემთხვევაშიც კომბინირებულმა ლექსიკონმა მოიპოვა.

დასკვნა ასეთია - უცხო ენის სამივე დონის ჯგუფიდან უცნობი სიტყვების ათვისებისას უპირატესობა კომბინირებულ ლექსიკონს მიენიჭა. ასეთ დროს არაპროფესიონალი მომხმარებლები ორენოვან ლექსიკონს მიიჩნევენ უკეთესად,

ხოლო ლექსიკონის საშუალო და კარგი მომხმარებლები - ერთენოვანს. რაც შეეხება სიტყვის სწორად გამოყენებას, ლექსიკონის არმცოდნე მომხმარებელი უპირატესად თვლის ორენოვან ლექსიკონს, თუმცა ლექსიკონის საშუალო მომხმარებლისთვისაც ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა ერთენოვანი ლექსიკონი უცხო სიტყვის ათვისებისას. ლექსიკონის კარგი მომხმარებლისათვის ერთენოვანი ლექსიკონი უფრო ეფექტიანი აღმოჩნდა, ვიდრე ორენოვანი, თუმცა ყველაზე კარგი ქულები მაინც კომბინირებული ლექსიკონის გამოყენებისას დაფიქსირდა.

ქვემოთ მოცემული ცხრილები კარგი მაჩვენებელია მიღებული შედეგებისა, რომელიც ლაუფერისა და ჰადარის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტისგან გამომდინარეობდა.

### ცხრილი 1

---

#### ლექსიკონების ეფექტიანობა სიტყვის გაგებაზე

---

არმცოდნე მომხმარებლები: კომბინირებული > ორენოვანი > ერთენოვანი

საშუალო მომხმარებლები: კომბინირებული > ერთენოვანი > ორენოვანი

კომბინირებული\* > ორენოვანი

კარგი მომხმარებლები: კომბინირებული > ერთენოვანი > ორენოვანი

---

შენიშნ. ნიშანი > ნიშნავს „უკეთესი ვიდრე“; ხოლო

ნიშანი \* ნიშნავს „მნიშვნელოვნად უკეთესი ვიდრე“

---

ცხრილი 2

---

**ლექსიკონების ეფექტიანობა სიტყვის გამოყენებაზე**

---

არმცოდნე მომხმარებლები: ორენოვანი > კომბინირებული > ერთენოვანი  
ორენოვანი\* > ერთენოვანი  
კომბინირებული\* > ერთენოვანი

საშუალო მომხმარებლები: კომბინირებული > ორენოვანი > ერთენოვანი

კარგი მომხმარებლები: კომბინირებული > ერთენოვანი > ორენოვანი

---

შენიშნ. ნიშანი > ნიშნავს „უკეთესი ვიდრე“; ხოლო  
ნიშანი \* ნიშნავს „მნიშვნელოვნად უკეთესი ვიდრე“

---

### 3.2.4 დასკვნა

ექსპერიმენტის ავტორებმა შენიშნეს თითქმის უმნიშვნელო განსხვავება მაღალ საფეხურზე მდგომი (advanced) და მაღალ საფეხურზე დაბლა მდგომი სტუდენტების (preadvanced) მიერ ლექსიკონების შეფასებებს შორის, იგულისხმება სიტყვა-სტატიის გაგების ქვედა ზღვარი. ორივე ჯგუფს ჰქონდა საკმარისი ლექსიკური მარაგი ერთენოვან ლექსიკონში განმარტების გაგებისთვის.

რაც შეეხება ამ სამი ლექსიკონის ეფექტიანობას, ყველაზე შედეგიანი გამოდგა კომბინირებული ანუ თარგმნით-განმარტებითი ლექსიკონი. სიტყვის გაგების მხრივ იგი სჯობდა ორ დანარჩენს, ხოლო სიტყვის სწორად გამოყენების

შემთხვევაში - ერთენოვან ლექსიკონს. აქედან გამომდინარე, ამ ექსპერიმენტს მივყავართ დასკვნამდე, რომ შედარებით უკეთეს შედეგებს ვიღებთ მაშინ, თუ ლექსიკონს კომბინირებულად აქვს ერთენოვანი ლექსიკონის განმარტება და ორენოვანი ლექსიკონის მშობლიურ ენაზე თარგმანი თავისი საილუსტრაციო ფრაზებითა და წინადადებებით. ეს ტენდენცია გასათვალისწინებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საქმე გვაქვს თითქმის ერთნაირი ენობრივი ცოდნის დონის მომხმარებლებთან.

ერთენოვანი და ორენოვანი ლექსიკონების შედარებისას დადასტურდა, რომ მათი ეფექტიანობა დამოკიდებულია ლექსიკონის მომხმარებელსა და მოცემულ დავალებაზე. რაც უფრო მაღალ საფეხურზე მდგომია ინგლისური ენის შემსწავლელი, მით უფრო უნარიანია მოიძიოს და მიიღოს სრული ინფორმაცია ერთენოვანი ლექსიკონიდან. არაკვალიფიციური შემსწავლელი საერთოდ არ უყურებს ერთენოვან ახსნა-განმარტებას კომბინირებული ლექსიკონის გამოყენებისას. საშუალო დონის შემსწავლელთათვის ერთენოვანი ლექსიკონი მისაღებია სიტყვის გაგებისათვის, მაგრამ საკმაოდ რთული გამოდგა სიტყვის სწორად გამოყენების შემთხვევაში. მაშასადამე, განსხვავების ახსნა შესაძლებელია განსხვავებული დავალებების შესრულების დროსაც. კარგი მომხმარებელი წარმატებით გამოიყენებს ერთენოვან ლექსიკონს ორივე დავალების (სიტყვის გაგებისა და მისი სწორად გამოყენების) შემთხვევაში. თუმც, ამ წარმატებული სტუდენტების შემთხვევაშიც კი კომბინირებული ლექსიკონი მეტად ეფექტიანი აღმოჩნდა ორივე დავალების შესრულებისას. თუ ამ შედეგებს შევადარებთ ლაუფერისა და კიმელის (Laufer & Kimmel 1995) კვლევას, ლექსიკონის კარგი მომხმარებელი სარგებელს იღებს კომბინირებული ლექსიკონის გამოყენებისას, იყენებს რა, ერთი მხრივ, ერთენოვან განმარტებებს და, მეორე მხრივ, ეკვივალენტებს მშობლიურ ენაზე.

ექსპერიმენტის ავტორების აზრით, კარგი იქნება თუ მომხმარებელს შევასწავლით ინფორმაციის საფუძვლიანად მოძიებას, ანუ ლექსიკონის გამოყენების ტექნიკას. კიდევ ერთი პრაქტიკული რჩევაა მათგან - კომბინირებული ლექსიკონი მისაღებია ყველა ტიპის მომხმარებლისათვის.

როცა მომხმარებელი არაკვალიფიციურია იგი მიმართავს ორენოვან ლექსიკონს. მაშინაც კი, როცა ერთენოვანი ლექსიკონი გამოყენებულია მთელი დატვირთვით, თარგმანი და საილუსტრაციო ფრაზები განამტკიცებს და გააძლიერებს შემსწავლელის მიერ სიტყვის ათვისებასა და მის გამოყენებას.

ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ლექსიკოგრაფები და მკვლევრები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ არამართო სრულყოფილი ლექსიკონების შექმნას, არამედ მისი გამოყენების სწავლებას. არაერთი სიმპოზიუმი დაეთმო ამ საკითხს (Dictionary and Use Symposium, AILA, 1996), სადაც ხაზგასმით აღინიშნა კომბინირებული ლექსიკონის უპირატესობა შემსწავლელთა კომფორტისთვის, ლექსიკის განმტკიცებისა და გაღრმავებისათვის.

### 3.3 იუჟენ ჩენის მიერ ჩინეთში ჩატარებული ექსპერიმენტი

2011 წელს ჩინეთში მსგავსი ექსპერიმენტი ჩინელმა ლინგვისტმა და ინგლისური ფაკულტეტის ლექტორმა, იუჟენ ჩენმა, გაიმეორა.

მისი ექსპერიმენტი გახლდათ განსხვავებული, რომლის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ. კომბინირებული ლექსიკონი მეტად პოპულარული გახდა ჩინურად მოლაპარაკე ინგლისური ენის შემსწავლელებში და ამის დადასტურება კიდევ ერთხელ შესძლო იუჟენ ჩენმა. მან თავისი ექსპერიმენტისათვის აიღო *Longman Dictionary of Contemporary English (LDOCE3)* ერთენოვან ლექსიკონად, *A New English-Chinese Dictionary (NECD century edition)* ორენოვან ლექსიკონად, და *Oxford Advanced Learner's English-Chinese Dictionary (OALECD6)* კომბინირებულ ლექსიკონად. მან დაასკვნა, რომ ამ სამი მოცემული ლექსიკონიდან კომბინირებული ლექსიკონი აღმოჩნდა ყველაზე ეფექტიანი სიტყვის გაგებისა და სწორად გამოყენებისათვის. ამ ლექსიკონმა უპირატესობა მოიპოვა სიტყვათა დამახსოვრების ტესტის დროსაც. ამ ექსპერიმენტმა გამოაშკარავა, რომ სტუდენტი ორ შემთხვევაში ანიჭებდა უპირატესობას ამ ლექსიკონის გამოყენებას - ინფორმაციის მოძიებისას და



ამავდროულად თარგმნის ნახვისას, და კიდევ უფრო ცხადი გახადა ლექსიკონის გამოყენების უნარების შესწავლის აუცილებლობა.

### 3.3.1 კვლევის საგანი

(1) არის თუ არა მნიშვნელოვანი გასხვავება სამი ტიპის - ერთენოვანი, ორენოვანი და კომბინირებულ ლექსიკონებს შორის? და თუ არის, რომელია მათგან ყველაზე ეფექტიანი?

მან შეადარა ერთმანეთს *Longman Dictionary of Contemporary English (LDOCE3)* ერთენოვანი ლექსიკონი, *A New English-Chinese Dictionary (NECD century edition)* ორენოვანი ლექსიკონი, და *Oxford Advanced Learner's English-Chinese Dictionary (OALECD6)* კომბინირებული ლექსიკონი.

(2) და რამდენად კარგია თითოეული ლექსიკონი სიტყვის დამახსოვრების ტესტის დროს. ეს ტესტი ითვალისწინებს გარკვეული პერიოდის შემდეგ მსგავსი ტესტის განმეორებას იმავე სამიზნე სიტყვებზე.

### 3.3.2 ცდისპირები

ამ ექსპერიმენტში ცდისპირები იყვნენ პუტიან უნივერსიტეტის მე-3 კურსის ინგლისური ფაკულტეტის მაღალ საფეხურზე მდგომი სტუდენტები, რომელთაც თვითონ იუყენ ჩენი ასწავლიდა. ისინი დაყვეს სამ ჯგუფად, რომელთაც ჰქონდათ 8-9 წლიანი გამოცდილება ინგლისური ენის შესწავლისა და ჩაბარებული ჰქონდათ Band Four Test for English Majors (TEM4), რომლის შედეგად სტუდენტები ირიცხებოდნენ ინგლისური ენის მაღალ საფეხურზე.

თავდაპირველად ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად 90 სტუდენტი შეირჩა. 14 სტუდენტი გამოაკლდა კვლევას სხვადასხვა მიზეზის გამო და საბოლოოდ ცდისპირთა რაოდენობამ 76 სტუდენტი შეადგინა.

### 3.3.3 მეთოდოლოგია

კვლევის სქემა: კვლევა მოიცავდა 3 ეტაპს.

(1) ეტაპი: ლექსიკური სავარჯიშო (vocabulary exercise). ამისათვის იუჟენ ჩენმა მიმართა ლაუფერისა და ჰადარის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტს. მან შეარჩია 10 ნაკლებად გამოყენებადი სამიზნე სიტყვა *Oxford Advanced Learner's English-Chinese Dictionary (OALECD6)* ლექსიკონიდან, რომელშიც შედიოდა ზედსართავი სახელები, არსებითი სახელები და ზმნები. ეს სიტყვები არ იყო სასწავლო პროგრამაში შეტანილი. თითოეულ მონაწილეს სთხოვდნენ დაესახელებინათ სიტყვები, რომლებიც მათთვის ნაცნობი იყო. როგორც აღმოჩნდა, ხუთმა სტუდენტმა იცოდა ერთიდან სამ სიტყვამდე, რის გამოც გამოეთიშნენ ექსპერიმენტს. ეს ათი სამიზნე სიტყვა იყო: ancillary, callow, derision, embalm, homily, finicky, recant, orifice, traduce, და pucker.

ლექსიკური სავარჯიშოს მიზანი იყო შეედარებინა სამი ტიპის ლექსიკონის ეფექტიანობა უცნობი სიტყვის გაგების და მისი სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თითოეულ სამიზნე სიტყვას აქაც სამი ალტერნატიული პასუხი მოჰყვებოდა. ერთი სწორი პასუხი, მეორე - მიახლოებითი და მესამე - მცდარი. სწორი მნიშვნელობა სიტყვებისა აღებული იყო ჯერ კიდევ გამოყენებელი *Macmillan English Dictionary for Advanced Learners (CD-ROM 2<sup>nd</sup> Edition)* ლექსიკონიდან. პოლისემიური სიტყვების შემთხვევაში იღებდნენ მხოლოდ ერთ-ერთს. მაგ., homily ნიშნავს ა) ჭკუის დარიგება (მომაბეზრებელი) ბ) ქადაგება (ეკლ.). ამ შემთხვევაში აიღეს მხოლოდ ა) ვერსია.

ცდისპირებს დაურიგეს სამიზნე სიტყვები და მათი შესატყვისი სალექსიკონო განმარტებები სამი სხვადასხვა ტიპის ლექსიკონიდან. ერთ-ერთი განსხვავება ლაუფერისა და ჰადარის ექსპერიმენტისა იყო ის, რომ იუჟენ ჩენმა აიღო 10 სამიზნე სიტყვა, ხოლო ლაუფერმა - 15 და აქ ცდისპირებს დაურიგეს თითოეულ 10 სამიზნე სიტყვაზე 10-10 განმარტება სამივე ტიპის ლექსიკონიდან, მაშინ

როდესაც წინა შემთხვევაში 5-5 სიტყვა იყო განაწილებული თითო ლექსიკონის ტიპზე.

(2) და (3) ეტაპი მოიაზრებდა დაუყონებლივ და მახსოვრობის ტესტებს. დაუყონებლივ ტესტში სტუდენტს მოეთხოვებოდა გაეხსენებინა მნიშვნელობა, სინონიმი ან ექვივალენტი სამიზნე სიტყვებისა, ხოლო მახსოვრობის ტესტი მოიაზრებდა გარკვეული პერიოდის შემდეგ იმავე ტესტის განმეორებას იმის დასადგენად, თუ რამდენად ახსოვდა სტუდენტს ექსპერიმენტის დროს ათვისებული სამიზნე სიტყვები.

### 3.3.4 შემოწმების პროცედურა

ექსპერიმენტის ავტორმა თვითონ უხელმძღვანელა, როგორც ტესტების ჩატარებას, ასევე შეფასებას. პირველ კვირაში, თითოეული ჯგუფი ხელმძღვანელობდა მხოლოდ ერთი ტიპის ლექსიკონით. სტუდენტები გააფრთხილეს ლექსიკონის გამოყენების (სავარჯიშოს) მიზნის შესახებ. მათ მიუთითეს, რომ აერჩიათ ერთი პასუხი და არ გამოეყენებინათ ლექსიკონის განმარტებებში მოცემული მაგალითები. სავარჯიშოების შესრულებისას ცდისპირები არ იყვნენ დროში შეზღუდულები. როცა ყველა სტუდენტმა ჩააბარა ლექსიკური სავარჯიშოების ფურცელი, მათ მოულოდნელად დაურიგეს დაუყონებლივი ტესტი, რომელიც მოითხოვდა მათგან სამიზნე სიტყვების გახსენებას, ოღონდ ლექსიკონების გამოყენების (დახმარების) გარეშე. ცხრა დღის შემდეგ მათ კიდევ ერთი მოულოდნელი ტესტი ჩაუტარეს.

მთლიანი ლექსიკური სავარჯიშოს ტესტის ქულა ფასდებოდა 40-ით, აქედან 20 ქულა ნაწილდებოდა სიტყვის გაგებაზე, ხოლო დარჩენილი 20 ქულა - სიტყვის სწორად გამოყენებაზე. თითოეული სწორი პასუხი ფასდებოდა 2 ქულით, მიახლოებითი პასუხი - 1 ქულით, ხოლო მცდარი - 0 ქულით. თუ პასუხი სემანტიკურად სწორი იყო, მაგრამ შეიცავდა უმნიშვნელო შეცდომებს, მაგ., გრამატიკულს, პასუხი ფასდებოდა 1 ქულით. იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი

სამიზნე სიტყვას შეცდომით იყენებდა, წინადადება გამართული რომც ყოფილიყო, პასუხი ფასდებოდა 0 ქულით. ექსპერიმენტის დროს ასეთი 2 შემთხვევა დაფიქსირდა.

(2) და (3) ეტაპი ფასდებოდა იგივენაირად, ანუ თითოეული სწორი პასუხი ფასდებოდა 2 ქულით, მიახლოებითი პასუხი -1 ქულით, ხოლო მცდარი - 0 ქულით. პოლისემიური სიტყვების დროს, თუკი სტუდენტი დაწერდა სწორ მნიშვნელობას, მაგრამ არა ტესტში შეყვანილს, მისი პასუხი ფასდებოდა 1 ქულით. დიდი ყურადღება ეთმობოდა (2) და (3) ეტაპის ქულებს. თუ ცდისპირი უფრო მაღალ ქულას მიიღებდა მახსოვრობის ტესტში, ვიდრე დაუყონებლივი ტესტის დროს, იგი ავტომატურად ირიცხებოდა საბოლოო ანალიზიდან. ეს მიანიშნებდა იმას, რომ სტუდენტი იყო მეტად მოტივირებული და (2) ეტაპის შემდეგ გულმოდგინედ სწავლობდა სამიზნე სიტყვებს. სხვა მიზეზი შეიძლება ყოფილიყო უპატიოსნოდ ლექსიკონის გამოყენება. საბოლოოდ, ექვსი სტუდენტი გამოირიცხა და მთლიანმა რაოდენობამ შეადგინა 76.

### 3.3.5 შედეგები

დასკვნაში, კვლევამ აჩვენა, რომ სამ სხვადასხვა ლექსიკონს შორის კომბინირებული **BLD** - Oxford Advanced Learner's English-Chinese Dictionary (OALECD6) გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ერთენოვანი **MD** - Longman Dictionary of Contemporary English (LDOCE3) და ორენოვანი **BD** - A New English-Chinese Dictionary (NECD century edition) ლექსიკონი. რაც შეეხება მახსოვრობის დავალების შესრულებისას, ერთენოვანმა ლექსიკონმა შედარებით კარგი შედეგები აჩვენა. ნაჩვენები იყო, რომ კომბინირებული ლექსიკონი ყველაზე პოპულარულია ინგლისური ენის ფაკულტეტის ჩინელი სტუდენტებისათვის. ისინი თვლიან, რომ კომბინირებულ ლექსიკონს აქვს ფასეული პედაგოგიური მიდგომა უცხო და მშობლიურ ენებზე კომბინირებული ინფორმაციის მხრივ. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კომბინირებული ლექსიკონი გაცილებით მისაღებია სიტყვის ათვისების და გაგების მიზნით, ის არ აღმოჩნდა ეფექტური

სიტყვის გამოყენებისას. ამ შემთხვევაში უპირატესობა ორენოვანმა ლექსიკონმა მოიპოვა. მეხსიერების დავალებისას ორენოვანი ლექსიკონი აღმოჩნდა მეტად მისაღები.

დასკვნის სახით ითქმის, რომ თუ გვსურს მივიღოთ ზედმიწევნითი შედეგები, უნდა ვეცადოთ, რომ ნებისმიერი ლექსიკონი იყოს მაღალხარისხიანი და მომხმარებელზე მორგებული, სრულყოფილი და ადვილად გასაგები. მხოლოდ ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ შევძლებთ ლექსიკონის კომპეტენტურად გამოყენებას.

### **3.4. ჩვენი ექსპერიმენტის დაგეგმვა**

ჩვენი მეთოდოლოგია საუკეთესო ლექსიკონის ტიპის გამოსავლენად სწორედ ამ ორ ექსპერიმენტზე დაყრდნობით გამოვიმუშავეთ. მეტად საინტერესოა ქართველი მომხმარებლის დამოკიდებულება სამი ტიპის ლექსიკონზე, მათ გამოყენებაზე, და ზოგადად ლექსიკონის გამოყენების ცოდნასა და სწავლების უპირატესობაზე.

#### **3.4.1 კვლევის საგანი**

ჩვენი კვლევის მიზანია დავადგინოთ:

- (1) სამი ტიპის: ერთენოვანი, ორენოვანი და კომბინირებულ ლექსიკონებს შორის რომელია ყველაზე მისაღები ქართველი მომხმარებლისათვის
- (2) რამდენად ეფექტურია თითოეული ლექსიკონი მოცემული დავალებების შესრულებისას.
- (3) უნდა გამოუმუშავდებოდეს თუ არა ლექსიკონის გამოყენების უნარი.

### 3.4.2 ცდისპირები

ჩვენი ექსპერიმენტისათვის შევარჩევთ ცდისპირებს საშუალო სკოლის მოსწავლეებსა (მე-11-მე-12 კლასელები) და უნივერსიტეტის სტუდენტებს (მე-3-მე-4 კურსელი) შორის, რომელთაც ექნებათ ენის ფლობის განსხვავებული დონეები. ცდისპირთა რაოდენობა პირველ ეტაპზე იქნება დაახლოებით 110. მაჩვენებელი შეიძლება შემცირდეს ენის შეუსაბამო ცოდნის დონის გამო. სავარაუდოდ, შევქმნით ორი განსხვავებული დონის, კერძოდ, საშუალო და მაღალ საფეხურზე მდგომ ჯგუფებს, რომელთაც შევარჩევთ ჩვენ მიერ შედგენილი სპეციალური placement test-ით (ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტი). ამ ტესტში შესული სავარჯიშოები არის ერთ, ორ ან სამქულიანი. რაც უფრო მეტი 3 ქულიანი პასუხი ექნება სტუდენტს, მით მეტი ალბათობაა მისი მაღალი დონის ჯგუფში მოხვედრის, და ასე საპირისპიროდ, რაც უფრო მეტი 1 ან 2 ქულიანი ექნება და ნაკლები 3 ქულიანი პასუხი, სტუდენტი ავტომატურად მოხვდება საშუალო დონის ჯგუფში.

პირველ ეტაპზე განვსაზღვრავთ ინგლისური ენის ცოდნას ცდისპირებში, რადგან როგორც მოგახსენეთ, ვაპირებთ ორი დონის შერჩევას: საშუალო (intermediate) და მაღალ (upper-intermediate) საფეხურზე მდგომებისას. სკოლის მოსწავლეებს მე-11-მე-12 კლასში მოეთხოვებათ B1 ანუ საშუალო დონის ინგლისური ენის ცოდნა, მაშინ როდესაც უნივერსიტეტის სტუდენტები ამთავრებენ ბაკალავრიატს B2 მაღალი ენის ცოდნის დონით. ჩვენ მიერ შერჩეული ენის დონის შესამოწმებელი ტესტი კიდევ ერთხელ მოგვცემს საშუალებას განვსაზღვროთ მომავალი ცდისპირების ინგლისური ენის ცოდნის დონე.

საბოლოოდ, გამოვლინდებიან სხვადასხვა დონის ინგლისური ენის მცოდნე ცდისპირები. შესაძლოა, ექსპერიმენტიდან ბევრი მათგანი გამოირიცხოს, ტესტს სათანადო დონეზე თუ ვერ შეასრულებენ.

### 3.4.3 მეთოდოლოგია

შემდეგ ეტაპზე ჩამოვყალიბებთ ორ-ორ ჯგუფს ინგლისური ენის ორი სხვადასხვა დონით და ჩვენი ექსპერიმენტის საწყის ეტაპზე ორივე მათგანს შერჩევითობის წესით ჩამოვურიგებთ 15-15 განსხვავებულ სიტყვას, რომლებიც მათთვის უცნობი უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სიტყვა ნაცნობი იქნება, ის გამოირიცხება ტესტიდან. შესაძლოა, ცდისპირი გამოეთიშოს ექსპერიმენტს.

ამ ერთობ მნიშვნელოვანი ეტაპის შემდეგ, ცდისპირებს დაურიგდებათ სიტყვების ფურცელი და შესაბამისი დეფინიციები სხვადასხვა ლექსიკონებიდან. ორი სხვადასხვა დონის ჯგუფში სხვადასხვა რაოდენობის ცდისპირი შეიძლება დაახლოებით გადანაწილდეს, ანუ ჯამში ექსპერიმენტის 130-მდე მონაწილე იქნება. აქედან თითო ჯგუფში მოხვდება 10-15 სიტყვა, ეს დამოკიდებულია გაცხრილვის რაოდენობაზე. დარჩენილი სიტყვების ჩამონათვალს თან დაერთვება განსხვავებული ლექსიკონების განმარტებები. სტუდენტებსა და მოსწავლეებს ორი დონის ჯგუფიდან დაურიგდებათ 3 ტიპის ლექსიკონი: ერთენოვანი, ორენოვანი და კომბინირებული. ერთენოვანი ლექსიკონის შემთხვევაში ავიღებთ Longman Dictionary of Contemporary English, ორენოვანი ლექსიკონის შემთხვევაში მივმართავთ დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინ-ლექსიკონს (თ. მარგალიტაძის საერთო რედაქტორობით, [www.dict.ge](http://www.dict.ge)) და კომბინირებულ ლექსიკონად გამოვიყენებთ ჩვენ მიერ შედგენილ სიტყვა-სტატიებს,

რადგანაც დღევანდელ რეალობაში საქართველოსა და მსოფლიოში არ მოიძებნება ინგლისურ-ქართული კომბინირებული ლექსიკონი. უფრო მეტიც, ეს ექსპერიმენტი საწინდარი იქნება ლექსიკოგრაფებსა და ლინგვისტებისთვის შექმნან და აწარმოონ ამ ტიპის ლექსიკონი იმ შემთხვევაში, თუკი სწორედ ასეთი მოიპოვებს უპირატესობას ჩვენი ექსპერიმენტის ბოლოს.

### 3.4.4 ტესტის შერჩევა

ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე, ენის ცოდნის დონეების განსაზღვრის შემდგომ, ცდისპირები შემოწმდებიან ჩვენ მიერ შერჩეული სამიზნე სიტყვების ცოდნაში.

სავარაუდოდ შერჩეული გვაქვს 15 სამიზნე სიტყვა, რომელთაგანაც შეიძლება გამოირიცხოს რამდენიმე, თუკი ჩამონათვალში აღმოჩნდება მონაწილეთათვის ნაცნობი სიტყვები.

შემდეგი ეტაპი არის სიტყვების გაცნობის და გაგების ეტაპი, რომელსაც თითოეული ჯგუფი სხვადასხვა ლექსიკონით გაივლის. საინტერესოა, იქნება თუ არა განსხვავება თითოეული ლექსიკონის ეფექტიანობის დადგენისას, მაშინ როდესაც ცდისპირების დონეები განსხვავდება. ამას ექსპერიმენტის შედეგები გვიჩვენებს.

საშუალო დონის ცდისპირებისათვის შერჩეული გვაქვს შემდეგი სავარაუდო სამიზნე სიტყვები, რომელთა შორისაა არსებითი სახელი, ზედსართავი და ზმნა: loathe, culprit, tangible, perpetuate, acme, fallible, myriad, reprimand, prolific, voluble, hoax, inherent, nebulous, indigenous, affluent. ამ 15 სიტყვიდან 5-ს ექნება დეფინიცია ერთენოვანი ლექსიკონიდან, 5-ს ექნება - ორენოვანიდან და 5 სიტყვას - კომბინირებულიდან, ანუ თითოეულ ჯგუფს ექნება სამივე სახის ლექსიკონის გამოყენების საშუალება, რათა, მიუხედავად მათი თანაბარი შესაძლებლობისა, თითოეულმა განსაზღვროს ლექსიკონის ტიპის ეფექტიანობა. ეს სიტყვები შემდეგი სახით მიეწოდებათ:

1. **voluble** ["vɒləbəl] *adjective*

talking a lot or talking quickly; voluble protests.

2. **culprit** ["kʌlprɪt] *noun*

the person who is guilty of a crime or doing something wrong; All the men were being deported even though the real culprits in the fight have not been identified.



3. **affluent** [ˈæfɪluənt] *adjective*

having plenty of money and good standard of living; the affluent neighborhoods of Malibu.

4. **loathe** [l@UD] *verb*

to hate someone or something very much; I loathe having to get up early in the morning!

5. **tangible** [ˈtæŋɡɪbəl] *adjective*

clear enough or definite enough to be easily seen or noticed, not imaginary; The relief was almost tangible.

როგორც აღვნიშნეთ, პირველი 5 სიტყვა განსაზღვრულია ერთენოვანი ლექსიკონიდან, შემდეგი 5 სიტყვა - ორენოვანი ლექსიკონიდან.

6. **fallible** [ˈfælɪbəl] *adjective*

მცდარი, არასწორი; They are only human and all too fallible ... ადამიანიც კი ცდება...

7. **hoax** [h@S] *noun*

ტყუილი, სიცრუე, ოინი; the bomb warning turned out to be a hoax  
ასაფეთქებელი მოწყობილობის პოვნის შესახებ ატეხილი განგაში ცრუ აღმოჩნდა.

8. **inherent** [ɪnˈɪ@] *adjective*

თანდაყოლილი, ბუნებრივი; inherent modesty თანდაყოლილი / ბუნებრივი თავმდაბლობა.

9. **perpetuate** [p@ˈE] *verb*

რისამე (ჩვეულ. უარყოფითის) გახანგრძლივება; his deeds will be perpetuated in the history of mankind მისი საქმენი კაცობრიობის ისტორიას დარჩება.

10. **nebulous** [ˈE] *adjective*

გაურკვეველი, ბუნდოვანი; Music is such a nebulous thing მუსიკა ასეთი ბუნდოვანი რამაა.

ბოლო 5 სიტყვის განმარტება კომბინირებულია, რომელშიც გამოვიყენეთ, როგორც ერთენოვანი, ასევე ორენოვანი ლექსიკონები. ესენია:

11. **myriad** [ˈmɪrɪə] *adjective*

very many, a great and varied number; ბევრი, უთვალავი; he gazed at the myriad lights of the city ის უმზერდა ქალაქის უთვალავ შუქურას.

12. **reprimand** [ˈrɛprɪmænd] *verb*

to tell smb off; საყვედურის გამოცხადება, დატუქსვა; the teacher reprimanded him მასწავლებელმა მას საყვედური უთხრა / დატუქსა.

13. **prolific** [ˈprɒlɪfɪk] *adjective*

fruitful, plentiful; ნაყოფიერი, პროდუქტიული; the most prolific goalscorer this decade ყველაზე მრავალი გოლის გამტანი ამ დეკადაში

14. **acme** [ˈæksmeɪ] *noun*

the highest point of perfection or achievement; მწვერვალი, უმაღლესი წერტილი; Schubert reached the acme of his skill while quite young შუბერტმა სრულიად ახალგაზრდამ მიაღწია ოსტატობის მწვერვალს.

15. **indigenous** [ɪnˈdɪdʒɪnəs] *adjective*

originating in and naturally living, growing, or occurring in a region or country; ბუნებრივი, ადგილობრივი; kangaroos are indigenous to Australia კენგურუები არის მკვიდრი ცხოველები ავსტრალიისთვის.

მაღალი დონის ცდისპირებისთვის კი შევარჩიეთ შემდეგ სიტყვები: crave, stipulate, construe, sojourn, exacerbate, obsolete, parsimonious, skirmish, abstain, deride, eschew, implacable, alacrity, repugnant, epitome. ამ მოცემული სიტყვებისთვისაც იგივე მეთოდოლოგიაა შემუშავებული.

1. **construe** [kənˈstruː] *verb*  
to understand a remark or action in a particular way; His action was construed as a threat.
2. **obsolete** [ˈɒbsəleɪt] *adjective*  
no longer useful, because something newer and better has been invented; Obsolete fashions are very laughable.
3. **alacrity** [əˈlækrɪti] *noun*  
quick and willing readiness; He accepted invitation to dinner with alacrity.
4. **exacerbate** [ɪkˈsæbrəteɪt] *verb*  
to make a bad situation worse; rising inflation was exacerbated by the collapse of oil prices.
5. **repugnant** [rɪˈpʊɡnənt] *adjective*  
very unpleasant and offensive; The Committee said his actions were improper and repugnant.
6. **crave** [kreɪv] *verb*  
ძლიერი წადილი, სურვილი; to crave for a drink დალევის ძლიერი სურვილი.
7. **sojourn** [ˈsɔɪʒn] *noun*  
ხანმოკლე ყოფნა სადმე; his sojourn at a resort lasted for a month მან ერთი თვე დაჰყო კურორტზე.
8. **deride** [dɪˈraɪd] *verb*  
დაცინვა, სასაცილოდ აგდება; This theory was derided by scientists ეს თეორია მეცნიერებმა სასაცილოდ აიგდეს.
9. **parsimonious** [ˈpɑːsɪˈmɪniəs] *adjective*  
ძუნწი, ხელმოჭერილი; He was too parsimonious to go by taxi ის მეტისმეტად ძუნწი იყო იმისათვის, რომ ტაქსით ესარგებლა.
10. **eschew** [ɪˈtʃuː] *verb*  
თავის არიდება, თავიდან აცილება; he eschews excessive exposure to the sun თავს არიდებს ზედმეტად მზეზე ყოფნას.
11. **stipulate** [ˈstɪpjʊleɪt] *verb*

to demand as a condition; ზუსტად / მკაფიოდ განსაზღვრა, დადგენა, პირობის სახით რისამე დათქმა; the job advertisement stipulates that the applicant must have three years' experience ვაკანსიის შესახებ განცხადებაში ნათქვამია, რომ პრეტენდენტს მუშაობის სამწლიანი გამოცდილება უნდა ჰქონდეს.

12. **skirmish** [ˈskɪrɪʃ; ˈɪs] *noun*

fight, an argument or a disagreement; შეტაკება, შეკამათება, დავა; the young soldier was killed in a skirmish with government troops ახალგაზრდა ჯარისკაცი სამთავრობო ჯარებთან შეტაკებაში მოკლეს / დაიღუპა.

13. **implacable** [ɪmˈpləkəbəl; ɪmˈpləkə] *adjective*

very determined to continue opposing someone or something; ულმობელი, შეუბრალებელი, შეურიგებელი; implacable enemy შეურიგებელი / დაუძინებელი მტერი.

14. **abstain** [əbˈsteɪn; ˈæbsteɪn] *verb*

to keep oneself from doing smth; თავის შეკავება, უარის თქმა; most pregnant women abstain from drinking ფეხმძიმე ქალების უმეტესობა უარს ამბობს დალევაზე.

15. **epitome** [ɪˈpɪtəmi; ˈɛpɪtəmi] *noun*

the best possible example of something; რისამე განსახიერება; the British monarchy itself is the epitome of tradition ბრიტანეთის მონარქია თავადაა ტრადიციის განსახიერება.

ამ სიტყვებიდან შესაძლოა გამოირიცხოს რამდენიმე, თუკი რომელიმე სიტყვა ნაცნობი აღმოჩნდება სტუდენტებისათვის. ეს სიტყვები გადანაწილდება თითოეულ ჯგუფში სხვადასხვა ლექსიკონის განმარტებებით. დრო შეზღუდული არ იქნება, თუმც ერთი სალექციო პერიოდი საკმარისი უნდა იყოს სიტყვების გასაგებად და ასათვისებლად.

ექსპერიმენტის მსვლელობისას სიტყვის გაგების, დამახსოვრებისა და სწორად გამოყენების ტესტი ჩატარდება შემდეგი სავარჯიშოების დახმარებით: ალტერნატიული ტესტი (multiple-choice), სინონიმების შერჩევა, წინადადებაში

გამოტოვებული ადგილის შევსება სათანადო სიტყვით და თარგმანი. აქედან პირველი ორი სავარჯიშო შესრულდება ლექსიკონთან ერთად, ხოლო ბოლო ორი - ლექსიკონის ჩამორთმევის შემდგომ. ალტერნატიული ტესტის და სინონიმების შერჩევისას სტუდენტებს ლექსიკონები არ ჩამოერთმევათ, რაც დაგეხმარება სხვადასხვა ლექსიკონების ეფექტიანობის გამორკვევაში. ხოლო წინადადებაში გამოტოვებული ადგილის შევსებისას და თარგმნის დროს კი მათ ლექსიკონები ჩამოერთმევათ. თარგმნის დროს საშუალო დონის ენის ცოდნის ცდისპირებს მოეთხოვებათ ინგლისურიდან ქართულზე თარგმნა, ხოლო მაღალი ენის ცოდნის ცდისპირებს პირიქით - ქართულიდან ინგლისურად თარგმნა .

თითოეული სტუდენტი შეაფასებს სამი ტიპის ლექსიკონს, ხოლო მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომელი ლექსიკონი - ერთენოვანი, ორენოვანი თუ კომბინირებული - იქნება ეფექტური სიტყვათა გაგებისა და ათვისების თვალსაზრისით.

ქვემოთ მოცემული სავარჯიშოები მოგვცემს საშუალებას კიდევ ერთხელ შევაფასოთ მათი რელევანტურობა ექსპერიმენტთან მიმართებაში:

ალტერნატიული ტესტი (multiple-choice)

**Match the underlined words with the synonyms below:**

1. We loathed the wicked villain.

- (A) admired
- (B) craved
- (C) disliked
- (D) tolerated

2. The culprit of the disorder deserved punishment.

- (A) guilty person

(B) defender

(C) egoist

(D) victim

3. He has no tangible evidence of John's guilt.

(A) ghostly

(B) spiritual

(C) real

(D) indefinite

4. The monument was built to perpetuate the memory of a great statesman.

(A) destroy

(B) erase

(C) wipe out

(D) cause to last

5. The manager has reached the acme of his career.

(A) recede

(B) apex; peak

(C) base

(D) downfall

6. All men are fallible.

(A) inclined to err

(B) mortal

(C) changeable

(D) strong

7. Myriad events have filled our modern history.

(A) limited

(B) numerous

(C) inadequate

(D) sparse

8. Tom was afraid that his parents would reprimand him when he showed them his report card.

- (A) praise
- (B) dissemble
- (C) criticize severely
- (D) disrupt

9. Isaac Asimov is a very prolific writer.

- (A) unfruitful
- (B) productive
- (C) unsuccessful
- (D) unprofitable

10. The salesman is a voluble speaker, always ready to talk.

- (A) slow
- (B) delayed
- (C) glib; fluent
- (D) tongue-tied

11. It's pretty obvious from the one photo that this is a hoax.

- (A) collection
- (B) trick
- (C) beggar
- (D) solicitor

12. The cop's inherent love of justice obliged him to come to their aid.

- (A) additional
- (B) natural
- (C) accidental
- (D) unknown

13. Your idea is too nebulous; please explain it.

- (A) distinct
- (B) indefinable

- (C) clear
- (D) transparent

14. Kangaroos are indigenous to Australia.

- (A) local
- (B) alien
- (C) exotic
- (D) foreign

15. America is an affluent nation.

- (A) miserable
- (B) poor
- (C) greedy
- (D) wealthy

სინონიმების შერჩევა

**Match the best possible definition with the word on the left. Write the correct letter in the appropriate answer space:**

- |   |               |
|---|---------------|
| – not exempt from error, wrong              | a. acme       |
| – unclear, vague                            | b. affluent   |
| – having actual form                        | c. culprit    |
| – countless number                          | d. fallible   |
| – deception                                 | e. loathe     |
| – criminal, offender                        | f. indigenous |
| – producing in large quantities, abundantly | g. inherent   |
| – to hate                                   | h. hoax       |
| – talkative                                 | i. myriad     |
| – to show sharp disapproval                 | j. nebulous   |
| – rich                                      | k. perpetuate |
| – to cause to continue                      | l. prolific   |



– inborn	m. reprimand
– height, zenith	n. tangible
– original, aboriginal	o. voluble

Write the missing word from a new word list to complete the sentences

**gap filling**

1. The usually \_\_\_\_\_ novelist was frustrated by her failure to come up with a good plot.
2. At the \_\_\_\_\_ of his power, the dictator was obsessed with the belief that some people were trying to betray him.
3. He tried to explain the \_\_\_\_\_ facts of his rebellion and punishment.
4. Don Ricardo hoped that his son would \_\_\_\_\_ the family business, but Manuel was too involved with unreal schemes to want to run a restaurant.
5. The source of that story was a press release that proved to be a \_\_\_\_\_.
6. The forest was filled with the kind of wildlife that is \_\_\_\_\_ to Africa.
7. I \_\_\_\_\_ spinach but I love other green vegetables.
8. Under pressure from the tax officer, the beggar admitted that he was truly \_\_\_\_\_.
9. Mr. Dixon belittled our request for \_\_\_\_\_ proof of his loyalty.
10. When Ed arrived late, he knew that his father would \_\_\_\_\_ him.
11. Certain mice have an \_\_\_\_\_ alertness that enables them to conquer the researchers' labyrinths.
12. Even experts can be \_\_\_\_\_ while making decisions.
13. The \_\_\_\_\_ was caught with his fingers in the cookie jar.
14. I could not doze in the chair because of the \_\_\_\_\_ barber.
15. Once the trick had been invented, a \_\_\_\_\_ of problems arose.

### translate:

1. She **loathed** him on sight დანახვისთანავე შეზიზღდა მას იგი.
2. Officials were dismissed or **reprimanded** for poor work მოხელეები დაითხოვეს ან გაკიცხეს ცუდი სამსახურისთვის.
3. Network connects a **myriad** of computers ქსელი აკავშირებს კომპიუტერების ურიცხვ რაოდენობას.
4. They find travelling such a **nebulous** notion მათთვის მოგზაურობა ბუნდოვანი ცნებაა.
5. In the past, scientists often used to dismiss and ridicule the knowledge of the **indigenous** people შორეულ წარსულში მეცნიერები ხშირად უარყოფდნენ და დასცინოდნენ ადგილობრივი ხალხის ცოდნას.
6. All three patterns have the weakness **inherent** for this word ყველა სამი ნიმუში გვიჩვენებს სისუსტეს ამ სიტყვისათვის დამახასიათებელს.
7. Nothing has been known about an explosion as well as about a **culprit** so far დღემდე არაფერია ცნობილი არც აფეთქებაზე და არც დამნაშავეზე.
8. They are anticipating a **tangible** improvement in terms of everyday life ისინი ელიან ყოველდღიური ცხოვრების რეალურ გაუმჯობესებას.
9. Soviet Union school system **perpetuates** inequality საბჭოთა კავშირის სასკოლო სისტემა გაახანგრძლივებს არათანასწორობას.
10. An empire reached the **acme** of its power იმპერიამ მიაღწია მისი სიძლიერის მწვერვალს.
11. In both cases, human memory could be blamed for being **fallible** ორივე შემთხვევაში ადამიანის მეხსიერება მცდარია.
12. The **prolific** economist has given two reports in several days ნაყოფიერმა ეკონომისტმა ორი მოხსენება წარადგინა რამოდენიმე დღეში.
13. Evelyn was very **voluble** on the subject of women's rights ეველინი ძალზედ ბევრს ლაპარაკობდა ქალთა უფლებების თემაზე.
14. The story about the ring from the chest turned out to be a **hoax** ამბავი სკივრში ნაპოვნი ბეჭედის შესახებ ცრუ აღმოჩნდა.

15. The most **affluent** parents spend less time handling homework with their children ყველაზე მდიდარი მშობლები ატარებენ ნაკლებ დროს მათ შვილებთან საშინაო დავალების შესრულებისას.

შემდეგი სავარჯიშოები ნაწილდება მაღალი ენის ცოდნის დონის ცდისპირებთან:

ალტერნატიული ტესტი (multiple-choice)

**Match the underlined words with the synonyms below:**

1. Most young people nowadays crave for a college education.

- (A) reject
- (B) deny
- (C) look down on
- (D) desire

2. The contract stipulated the use of the basement.

- (A) implied
- (B) specified
- (C) stung
- (D) drunk

3. If I construe your remarks correctly, you disagree with the theory already advanced.

- (A) expand
- (B) explain
- (C) allow
- (D) agitate

4. After his sojourn in Florida, he began to long for the colder climate of his native New England.

- (A) temporary stay
- (B) permanent residence
- (C) delay
- (D) comfort

5. Foolish words only exacerbate ill feeling.

- (A) calm down
- (B) pacify
- (C) defeat
- (D) make worse

6. Some old-fashioned social customs are obsolete.

- (A) contemporary
- (B) current
- (C) unique
- (D) no longer active or in use

7. His parsimonious nature did not permit him to enjoy any luxuries.

- (A) luxurious
- (B) miserly
- (C) generous
- (D) philanthropic

8. The verbal skirmish between Sadat and Begin was viewed as the opening round in negotiations.

- (A) nepotism
- (B) clash
- (C) obituary
- (D) bow

9. The doctor advised the patient to abstain from smoking.

- (A) do without
- (B) be absorbed in
- (C) go with

(D) admit of

10. His colleagues derided his grandiose plan.

(A) praised

(B) denied

(C) derailed

(D) ridiculed

11. He tried to eschew all display of temper.

(A) show

(B) avoid

(C) present

(D) adopt

12. There is an implacable hatred between the two families.

(A) polite

(B) peaceful

(C) uncompromising

(D) less intense

13. The disabled child moved with alacrity.

(A) quickness

(B) slowness

(C) hesitation

(D) leisurely

14. The idea of moving again became repugnant to her.

(A) pleasant

(B) disagreeable

(C) inactive

(D) painful

15. She looked the epitome of elegance.

(A) branch

- (B) sequence
- (C) serial
- (D) archetype

**სინონიმების შერჩევა**

**Match the best possible definition with the word on the left. Write the correct letter in the appropriate answer space:**

- |  |                 |
|--|-----------------|
| – disgusting, sickening                                  | a. alacrity     |
| – to irritate, to worsen                                 | b. abstain      |
| – cannot be pacified, inevitable, unstoppable            | c. construe     |
| – temporary stay   | d. crave        |
| – person or thing that symbolizes or represents the best | e. deride       |
| – small fight, combat, battle                            | f. epitome.     |
| – to scorn, mock at                                      | g. eschew       |
| – to long for, want                                      | h. exacerbate   |
| – restrain, reject                                       | i. implacable   |
| – to specify a condition                                 | j. obsolete     |
| – avoid  | k. parsimonious |
| – economical   | l. repugnant    |
| – to explain, to assume                                  | m. skirmish     |
| – briskness, lively action, enthusiasm                   | n. sojourn      |
| – out-of-date  | o. stipulate    |

**Write the missing word from a new word list to complete the sentence:**

**gap filling**

1. In vain, the entire family tried to persuade him to \_\_\_\_\_ from gambling.
2. Is it banal to say that good manners are \_\_\_\_\_ in our society?
3. The detective was \_\_\_\_\_ in his search for the murder weapon.

4. The Taj Mahal in India is said to be the \_\_\_\_\_ of grace as a construction.
5. Why did Silas Marner \_\_\_\_\_ for wealth?
6. The waiter moved with \_\_\_\_\_ because he supposed they were big tippers.
7. The arrest of the spy did much to \_\_\_\_\_ relations between the two countries.
8. Despite his \_\_\_\_\_ way of living, his money had been reduced to a mere pittance.
9. The sight of the dead man was \_\_\_\_\_ to the curious onlookers.
10. The emigrant decided to make his \_\_\_\_\_ in France a permanent one in order to give up his nomadic way of life.
11. Once he searched for the public interest, but now he \_\_\_\_\_ all interviews.
12. The talented boy enjoyed an intellectual \_\_\_\_\_ with his elders.
13. I shall \_\_\_\_\_ your remark as offensive.
14. The Wright brothers didn't become worried when a skeptic would \_\_\_\_\_ their work.
15. We rejected the contract because it did not \_\_\_\_\_ a cost of living bonus.

**translate:**

თარგმნე:

1. It's too difficult to explain why people **crave** for respect and want to be around those that have them already.

ძნელი ასახსნელია, თუ რატომ მიისწრაფვიან ადამიანები პატივისცემისკენ და რატომ უნდათ მათ გვერდზე ყოფნა, ვინც უკვე ისედაც გვერდით ჰყავთ.

2. A delivery date is **stipulated** in the contract.

საქონლის ადგილზე მიტანის თარიღი ხელშეკრულებით არის განსაზღვრული.

3. No one with both working brain hemispheres could **construe** the perception of the world. არავის, ვისაც ტვინის ორივე ნახევარსფერო უმუშავეს, არ შეუძლია ახსნას როგორ ხდება სამყაროს აღქმა.

4. He will be engaged in one research that should be completed during the period of his **sojourn**.

იგი დაკავებული იქნება ერთი კვლევით, რომელიც მისი იქ ყოფნის პერიოდში უნდა დასრულდეს.

5. In some cases, she argues, current policies may even **exacerbate** the problem.

იგი ამტკიცებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ამჟამინდელმა პოლიტიკამ შეიძლება პრობლემა უფრო გაართულოს კიდევაც.

6. All the people involved have their interest in the **obsolete** technology of rocket companies.

ყველა ამ ხალხს აქვს საკუთარი ინტერესი სარაკეტო კომპანიების მოძველებულ ტექნოლოგიაში.

7. Lately, clients have become too **parsimonious** with their money.

ბოლო დროს, მომხმარებლები გახდნენ მეტად ძუნწები.

8. The **skirmish** promptly turned into a full-scale trade war.

კამათი მალე გადაიზარდა სრულმასშტაბიან სავაჭრო ომში.

9. Try to **abstain** from coffee and other stimulants on the day of the interview.

ეცადეთ თავი აარიდოთ ყავას და სხვა სტიმულატორებს გასაუბრების დღეს.

10. Critics **derided** the proposals as a clumsy attempt to find a solution.

კრიტიკოსებმა მასხრად აიგდეს მათი შეთავაზებები, როგორც მოუქნელი მცდელობა პრობლემის გადასაწყვეტად.

11. They **eschew** rock music and nearly all popular culture.

ისინი თავს არიდებენ როკ-მუსიკას და თითქმის მთელს პოპულარულ კულტურას.

12. We faced an **implacable** enemy prepared to die.

ჩვენ დავუპირისპირდით შეუპოვარ მტერს, რომელიც მზად იყო სიკვდილისათვის.

13. They rushed to the spot with **alacrity**, and asked only to be told what to do.

ისინი ხალისით გაემუღრნენ დანიშნულების ადგილისაკენ და მხოლოდ იმას ითხოვდნენ, გვითხარით, რა გავაკეთოთ.



14. I find his political ideas totally *repugnant*.

მისი პოლიტიკური იდეები სრულიად მიუღებელია ჩემთვის.

15. She is the *epitome* of kindness. იგი სიკეთის განსახიერებაა.

### 3.4.5 შემოწმების პროცედურა

